

75-6

993

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# ეპონი

სამართლის  
სერია

IV

(69)

W1-2

1.1993

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

---

---

სამართლის  
ხერია

СЕРИЯ  
ПРАВА



1. 1993

თბილისი  
● ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: თ. შავგულიძე (რედაქტორი), ლ. ალექსიძე, მ. გამურელიძე, გ. თორდია, დ. კიკაძე, თ. ლილუაშვილი, დ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, დ. სულაქვა-ლიძე, გ. ტუეშელიაძე, ი. ფუტკარაძე, ხ. ჭორბენაძე.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგოლია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Т. Шавгулидзе (редактор) Л. Алексидзе, О. Гамкрелидзе, Г. Тодрия, Д. Кикнадзе, Т. Лилуашвили, Д. Меликишвили, Г. Надарейшили, Д. Салуквадзе, Г. Ткешелиадзе, И. Путкарадзе, С. Джорбенадзе

Ответственный секретарь А. Шенгелиа

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
სამართლის სერია, 1993, № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

---

გადაეცა წარმოებას 11. 03. 93; ხელმოწერილია დასბეჭდად 14. 7. 93; შეკ. № 261;  
ანაზონის ზომა 70×12; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 6,65;  
სააღრიცხო-საგამომცემლო თაბახი 4,84; ტირაჟი 550,

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

სიტყვა მკითხველისადმი	5
<b>გ. ნადარეიშვილი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის მართებული გაგებისათვის</b>	7
<b>გ. მირია, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ზოგიერთი ცულილების შეტანის აუცილებლობის შესახებ</b>	14
<b>ე გისარიანი-შემრიღაძე, მშობლების უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები</b>	21
<b>ი. გოძიაშვილი, თეორიის პრობლემები ამერიკულ კრიმინოლოგიაში</b>	29
<b>თ. შავშელიძე, აუცილებელი მოგერიება</b>	35
<b>გ. რობარეიძე, სულიგნობის კვალიფიკაციის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში</b>	55
<b>გ. ნადარეიშვილი, ბეჭა მანდატურთუხცესის სამართლის წიგნის 49-ე მუხლის ერთი ადგილის გაგების საკითხისათვის</b>	62

## ჩეცვაზია, პრონიკა, ინცორმაცია


საერთაშორისო სიმბოზიუმი თბილისში „დემოკრატია და არჩევნები“	64
მიხეილ კეკელიას ნათელ ხსოვნას	68
გიხეილ კურდაძე	70
თამაზ შავშელიძე	72

## СОДЕРЖАНИЕ

Слово к читателю	5
<b>Г. Надарейшвили</b> , К пониманию статьи 205-й судебника царя Вахтанга VI	7
<b>Г. Григорий</b> , О необходимости внесения некоторых изменений в ГПК Республики Грузия	14
<b>Е. Мискарян-Шекриладзе</b> , Основания возникновения родительских прав и обязанностей	21
<b>И. В. Годзиашвили</b> , Проблемы теории в американской криминологии	29
<b>Т. Шавгулидзе</b> . Обязательная оборона	35
<b>М. Т. Робакидзе</b> , Вопросы квалификации хулиганства в судебной практике	55
<b>Г. Н. Надарейшвили</b> , К пониманию одного места 49 статьи правовой книги Бека Мандатурхухеси	62

## РЕЦЕНЗИЯ, ХРОНИКА, ИНФОРМАЦИЯ

Международный симпозиум, «Демократия и выборы» в Тбилиси	4
Светлой памяти Михаила Кекелия	68
Михаил Курдадзе	70
Тамаз Шавгулидзе	72



## სიტყვა მკითხველისადმი

თვენს პირუთვნელ სამსჯავროზე წარმოდგენილია პირველი ნომერი ახ-  
ლადღარსებული სამეცნიერო-პრატიტული და პუბლიცისტური ხასიათის  
იურიდიული უურნალისა — „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე-  
სამართლის სერია“. წლის განმავლობაში გამოვა უურნალის ოთხი ნომერი,  
თითოეული ოთხი თაბახის მოცულობით. ეს ცოტაცა და ბევრიც. ცოტაა იმ  
თვალსაზრისით, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას აურაცხელი პრობლემა აქვს საზოგა-  
დოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სამართლებრივი რეგულირების  
სფეროში. ერთდროულად უურნალის ეს მოცულობა ბევრიცაა, თუკი მხედვე-  
ლობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხსენებულ პრობლემათა სიმრავლეს-  
თან შეფარდებით, სამწუხაროდ, ერთობ მცირედ მოიპოვება მათ გადასაწყვე-  
ტად ვარგისი საფუძვლიანი, დასაბუთებული და კომპეტენტური მოსაზრებები.  
წინამდებარე უურნალის უპირველეს დანიშნულებად მიგვაჩნია გზა გაუსხნას  
ლრმად პროფესიონალურ და შემოქმედებითი ენერგიით დამუხტულ იური-  
დიულ აზროვნებას, ამასთანავე ერთგვარ ჯებირად იქცეს უკანასკნელ პერი-  
ოდში ფრიად მომძლავრებული სამართლებრივი ნიპილიზმისა და დილეტანტი-  
ზმის წინააღმდეგ.

მართალია, ახლადდაარსებულ უურნალზე, ისევე როგორც ახლად დაშერიც წიგნსა თუ ახლად აგებულ ტაძარზე, ბევრი ვერაფერი ითქმის, ვიღრებას არ გამოსცდის დრო-ეპიზოდის ვაივაგლახი, მაგრამ რედაქცია, არსებული ვა-თარებისათვის დამახასიათებელ უამრავ სიძნელეთა მიუხედავად შეეცდება, რომ უურნალი იყოს საინტერესოც, ამასთანავე მაქსიმალურად სასარგებლოდა ხელის შემწყობი როგორც კერძო პირის, ასევე სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერი ინტერესების განხორციელებისათვის.

უურნალში დაიბეჭდება სამეცნიერო-თეორიული და იურიდიული პრაქტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი მასალები, აგრეთვე სამართლებრივი პუბლიცისტიკა. იგი გამოეხმაურება სამართლებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს, მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმებს, საინტერესო იურიდიულ გამოცემებს, უცხოეთის სამართლებრივ ცხოვრებაში მომხდარ ქტუალურ ამბებს. უურნალი საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე გამოიტანს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ისეთ ფაქტებს, რომლებიც მკითხველთა ფართო წრეების ცხოველ ინტერესს იწვევს, თავის ფურცლებზე ადგილს დაუთმობს არა მარტო მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა ნააზრებს, არა მედ ნებისმიერი სხვა ივტორის მიერ მოწოდებულ მასალას, თუკი ამ უკანასკნელს შეიძლება საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდეს დღის სინათლის ხილვისა.

რედაქცია შეეცდება უურნალი აქციოს პრაქტიკის იურისტთა ერთგულ თანაშემწედ და სტუდენტ იურისტთა საიმედო გზამკვლევად იურისპრუდენცის ლაბირინთებში.

როგორც ნათქვამია — „სამყალი ფრიად არს“, მაგრამ რედაქციას ისიც შეგნებული აქვს, რომ ოღნიშნულ მიზანთაგან ვერც ერთი ვერ განხორციელდება საზოგადოებისაგან, და პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოების მხრიდან ესოდენ საჭირო და აუცილებელი მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ რედაქცია უფლებას იტოვებს იქონიოს თქვენი თანადგომის იმედი ერთი დიდი და საერთო საქმის კეთებაში.

რედაქცია

გიორგი ნადარევიშვილი

ବ୍ୟାକେତିଙ୍ଗ ମହିନେରେ ଶାଖାରତ୍ୱାଳି ଉପରେ 205-ୟ ମଞ୍ଚଲୋକ  
ମାରିଥାଏଣାଳି ଯାହାକିମାତ୍ରାଙ୍କିରି

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის აკადემიური გამოცემა ჯერჯერობით შეინც მომავლის საქმეა. საკანონმდებლო ძეგლის საბოლოოდ დადგენილი ტექსტი კი მისი მეცნიერული შესწავლისათვის უპირველესი საზრუნვავია ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისა.

რასაკვირველია, პირველყოვლისა, ჩვენთვის ჯუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა სახე ჰქონდა სამართლის წიგნს ვახტანგ მეექვსის მეფობის წლებში და მის შემდეგ ორანაკლებ საინტერესო იქნება მის დადგენაც, თუ როგორ და რატომ შეჰქონდათ მასში არც თუ მცირე მნიშვნელობის ცვლილებები ათეული წლების განმავლობაში.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი იწერებოდა, ქართულ მეტყველებაში საკმაოდ უხვად იყო შემოსული აღმოსავლური ენებიდან, განსაკუთრებით კი სპარსულ-არაბულიდან ნასესხები სიტყვები.

ცხადია, ამ გარემოებას ასახვა უნდა ეპოვნა სამართლის წიგნშიც. ასეც მოხდა.

ამგერად, გვისურს მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ ვახტანგ მერქვესის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის ერთი ბუნდოვანი აღვილის თაობაზე.

საქეთ ეხება ხსენებულ მუხლში ნახსენებ სიტყვა „დაღათის“ გაგებას, მის შინაარსს.

კანონმდებელი აწესებს ნორმას, თუ ვითარ ხამს დაწერა განაჩენისა. სასამართლოში „მოჩივარმან რომ იჩივლოს, მათი საჩივარი რომ გაიცონონ და საგანაჩენოდ მიყყაროს და განაჩენს წერა დაუწყონ, ორისავე მოჩივრის საჩივარი უნდა დაწერონ. ფიცი მოხდეს თუ უფიცრობა, გინა სისხლი, გინა ბოზობისა, გინა ქურდობისა და რომელისაც ნივთის სამართალი დაიწეროს, ის სამართალი ამ წიგნის რომლისაც სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენშიაც ასე ჩასწერდნენ: ამა და ამ მოსამართლის განაჩენისა და სამართლიდამ, ამდენის თავიდამ ეს სამართალი გვაჩინეთო“.

ამავეობ რომე, როდესაც ან ამ უამაღ და ან ბოლოს, მოჩივარმან ან როდესმე თქვეს „ქრისტიანი და მიდგომითა მოსამართლებ უსამართლო მიყოო“, მაშინ განახენსა და ამ სამართლის წიგნსა შეამოწმებენ და აქედამ ნასამართლი იქნების და ველარავინ იუარებს.

მერმე არის და მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭირს. და ვერც ეს მოსამართლენი, თუ არ ამ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს ვერ გააჩენენ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ვასტანგ მეექვსე, სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად მოაზრდა თ. ენუ-  
შებეგმ. თბ., 1955.

„ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 1 ი. დოკუმენტის რეპ. გვ. 533

„საბართო განტანგ შევეცისას“. ტექსტი დაღვინა, გამკლევა და საძიებელი დაურ-ონ ისილორე დოლიძე. გვ. 243. თბილისი, 1981, გამომც. „საბჭოთა საწართვოთან“.

ზოგ ხელნაწერში სიტყვა „დაღათი“-ს ნაცვლად ვხვდებით „ჰალას“, მაგრამ საუკეთესო ხელნაწერთა უმრავლესობაში მაინც ქარაგმით თუ სრული სახით „დაღათი“ სწერია.

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა შორის დავის ოწვევს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს წინადაღება, „მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭერს“. პირველყოვლისა საცილით „დაღათ“ სიტყვის მნიშვნელობა.

პროფესორ დავით ჩუბინაშვილს, რომელმაც თავის ცნობილ ქრესტომათიაში შეიტანა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, ასევე ნიკო ჩუბინაშვილსაც სიტყვა „დაღათი“ თავიანთ ლექსიკონებში არ განუმარტავთ.

როდესაც ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი რუსულ ენაზე ითარგმნა, ცხადია, მთარგმნელების წინაშე დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა გაგებულიყო საკანონმდებლო ძეგლის ზემოხსენებული მუხლის ჩვენთვის საინტერესო ადგილი.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის პირველმა რუსულად მთარგმნელებმა ჩვენთვის საინტერესო ადგილი 205-ე მუხლისა ასე თარგმნეს: «и тем еще более подтвердить Оный (приговор) «ибо дела могут быть решаемы по сим законам, але по особым мнениям судей»<sup>2</sup>.

1980 წელს გამოქვეყნდა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანი, საიდანაც ჩანს, რომ მთარგმნელი შეეცადა 205-ე მუხლის დედნის დედაზრის უფრო მართებულად და ზუსტად გადმოცემას<sup>3</sup>. «И к тому же, никто не может отказать судье в (сообщении) подлинных обстоятельств (дела) Да и (сами) эти судьи кроме как писанного в сей книге, иного, измышленого суда чинить не могут» (205).

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში ნახსენებ ტერმინ: „დაღათ“-ს ყურადღება მიაქცია ქართული სამართლის მკვლევარმა, ქართული სამართლის ძეგლების ფრანგულად მთარგმნელმა ი. კარსტმა და განსაკუთრებით კი პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილმა. ამ უკანასკნელმა ფართედ გააცნო საერთოდ სამეცნიერო საზოგადოებას ი. კარსტის მოსაზრებები ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე.

მასვე მოაქვს ი. კარსტის ვარიანტი ვახტანგის სამართლის 205-ე მუხლის გაგებასთან დაკავშირებით.

ი. კარსტს სამართლის წიგნის ზემოხსენებული მუხლი გაგებული აქვს შემდეგნაირად:

„თორემ, უარყოფით შემთხვევაში, არავინ მიანიჭებს ნდობას მოსამართლის განაჩენს (დადგენილებას; გადაწყვეტილებას). როგორც აგრეოვე მოსამართლენიც ვერ შესძლებენ სამართლიანი განაჩენის გამოტანას, თუ არ შეითვისეს ამ კოდექსში ჩაწერილი სამართალი და არ განასხვავეს იგი თვითნებურად (ანუ სუბიექტურად) გამოგონილ სამართლისაგან“<sup>4</sup>.

<sup>2</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, под ред. Д. Бакрадзе.

<sup>3</sup> Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. «Мецниереба», 1980, с. 172.

<sup>4</sup> ალ. ვაჩეიშვილი, „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“ წ. 11, თბილისი, 1948, გვ. 91.

პროფ. ალექსანდრე ვაჩეიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის ზოგიერთ ხელნაშერში 205-ე მუხლში „დაღათ“-ს ნაცვლად „ღთს“ იკითხება. ავტორის აზრით, კიბონმდებელი ზემოხსენებულ მუხლში ჯერ ერთი იმის შესახებ მიგვითოთებს, რომ სასამართლოს სხდომა საზოგადოების დასწრებით მიმდინარეობს, მას საჯარო ხსიათი აქვს. სამართლის წიგნის თანახმად, მოსამართლემ თავისი განახენი საკანონმდებლო ძეგლის რომელ მუხლზე დაყრდნობით გამოიტანა, გარკვევით უნდა აღინიშნოს. „განახენში შეფარდებული სამართლის წიგნის ნორმის დასხელება, იმ ნორმისა, რომლის საფუძველზედაც გამოტანილია ეს განახენი, პრევალ ყოვლისა, უზრუნველყოფს მოსამართლეს ბრალდებისაგან, რომ თითქოს იგი ქრთამის გავლენით, მიღომით მოქმედებდაო“, აღნიშნავს რა ამ გარემოებას, პროფ. ალ. ვაჩეიშვილი შემდეგ განაცრძობს: „მერმე არის და მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუჭირსო“ — ამ სიტყვებშიც აუცილებლად კინონმდებლის მიერ მიღებული წესის უპირატესობაა გამოთქმული, მაგრამ აქ საჭიროა კანონის აზრის დაზუსტება. სხვადასხვა ვარიანტების შედარება გვაძლევს საფუძველს ვითიქროთ, რომ კანონის ტექსტში უნდა იკითხებოდეს „ღთს“, ე. ი. ღმერთს და ამის შესაბამისად კანონმდებლის აზრი შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: თუ სამართლის წიგნის ნორმა თვით განახენში იქნება აღნიშნული, ამ განახენს მეტი ძალა და საერთოდ მოსამართლის მოქმედებას მეტი ნდობა და პატივისცემა ექნება მინიჭებულიო. კანონის აზრის ასეთ ინტერპრეტაციის, ვთიქრობთ, აქვს ერთგვარი საფუძველი, მაგრამ, რასაცვირველია, მაინც საჭიროა ამ საკითხის უფრო დაკვირვებით შესწავლა“<sup>5</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. ალ. ვაჩეიშვილმა ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში ნახმარი „დაღათ“ სიტყვის მნიშვნელობის გასარკვევად ხსნებული საკანონმდებლო ძეგლის თერთმეტი ხელნაშერი გასინჯა. (უმთავრესად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაშერები).

ზოგ ხელნაშერში იკითხება „ღა-თს“, ზოგჯერ „ღა ღათს“, ზოგან „ღ-თს“, მაგრამ როგორც წესი, ხელნაშერთა უმრავლესობა აჩვენებს „დაღათ“ — სიტყვას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კუთვნილ ხელნაშერში (F 20351) კი იკითხება „და ვერც მოსამართლეს ხათრს ვერავინ დაუჭირს“ (ვახტანგ VI კანონები, მუხლი სბ).

პროფ. ალ. ვაჩეიშვილს ხელთ ჰქონია აგრეთვე ერთი მანუსკრიპტი, რომლის სწორ მუხლში იკითხებოდა: „მერმე არის მოსამართლეს და ღ-თს ვერავინ დაუჭირს“-ონ. სწორედ ამ ხელნაშერის ჩვენებას მისცა პატივცემულმა ავტორმა, როგორც ჩანს, უპირატესობა. და „დაღათ“ „ღმერთს“ სიტყვით შეცვალა, თუმცა საკითხი უფრო ღრმად შესწავლის ღირსად მიიჩნია.

ვახტანგ მეექვისის განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულს გამომცემელმა ისიდორე დოლიძემ მიიჩნია, რომ ჩვენთვის საინტერესო დაგილი ასე უნდა იკითხებოდეს: „მოსამართლეს ხათრს ვერავინ დაუჭირსო“. ავტორის მოსაზრება ეყრდნობოდა, რა ოქმა უნდა, ერთადერთი ხელნაშერის ჩვენებას<sup>7</sup>.

<sup>5</sup> ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები... 11, 1948, გვ. 92.

<sup>6</sup> იქვე, სქოლი 1.

<sup>7</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1. ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 759.

1967 წელს გამოქვეყნებულ წერილში ი. დოლიძემ ხსენებულ საკითხზე აზრი შეიცვალა<sup>8</sup>. ავტორი მიღის იმ დასკვნამდე, რომ „დაღათი“ ქართული წარმოშობის ტერმინი არ არის. ის უცხოური წარმომავლობის სიტყვა უნდა იყოს, რომელიც დამახინებული ფორმითაა მოცემული ვახტანგის სამართლის წიგნში<sup>9</sup>. ამასთან ერთად ი. დოლიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის დაღათი არის იგივე ალიათი, ოღონდ გრაფიკული შეცდომის ნიადაგზე წარმოშობილი მისი დამახინებული ფორმა ... რომ აღიღოთ იმთავითვე დამახინებული დაღათის ფორმით შევიდა დელნად მიჩნეულ S—3683 ნუსხაში<sup>10</sup>.

ავტორმა მართლაც ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა და ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის შემდგომი გამოცემის დროს<sup>11</sup>. ხსენებულ გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „მერმე არის და მოსამართლეს აღიღოთს ვერავინ დაუჭერს“-ო.

„ასეთ შემთხვევაში, — წერდა ი. დოლიძე, — სრულიად ცხადი ხდება კანონმდებლის აზრი: მოსამართლეს სიმართლეს ვერავინ დაუჭერს, სიმართლეზე უარს ვერავინ ეტყვის“<sup>12</sup>.

რადგანაც საუკეთესოდ მიჩნეულ ხელნაწერებში და მათ შორის თვით ვახტანგ მეექვისის მიერ რედაქტირებულშიც, „დაღათ“ სიტყვა გარკვევით იკითხებოდა, პროფ. მიხეილ კეკელიას დაებადა ეჭვი „ამ სიტყვის სისწორე-თავ-დაპირველობაზე“, თუმცა „მისი აჩსებობა ძველ ქართულ მწერლობაში“ ავტორმა „ვერსად დაადასტურა“<sup>13</sup>.

მ. კეკელიას 1968 წელს სამტრედის რაიონში მთხრობელისაგან ჩაუწერია „დაღათ“ სიტყვა (წინადადებაში „გაქრა შენი დაღათი“-ს ფორმით).

ავტორის აზრით, „დაღათ“ სიტყვას კავშირი უნდა ჰქონდეს ებრაულ „დაყათ“-თან. ავტორს მიუღია სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ. „დაყათ“ ჰქუას ნიშნავს — ებრაულად. ძველი ებრაულის მცოდნე ინფორმატორის 70 წლის ისაკ მიხელაშვილის თქმით საღმრთო წიგნში ნათქვამია: „ყანი ბელი დაყათ ასურ ლერახემ“, რაც ქართულად ნიშნავს: „ღარიბი უჰქუო არამია შესაბრალისად“-ო.

მ. კეკელიას ინფორმაცია, რომ ფუქს „დაყა“-დან წარმოებული სიტყვა დაყათი ძველ ებრაულ ლექსიკონში ახსნილია, როგორც „ცოდნა, ჰქუა, გაგება, აზრი, გონებასუსტი, ბრიყვი, გონებაშეზღუდული აღამიანი“.

მ. კეკელიას აზრით, ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში სიტყვა დაღათი — „ჰქუის, აზრის, ცოდნის, მიხვედრის და მსგავსთა მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული“.

აქედან გამომდინარე პროფ. მ. კეკელია ფიქრობს, რომ 1. ვახტანგ მე-

<sup>8</sup> ი. დოლიძე, ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის ერთი ადგილის აღდგენისათვის. „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 4.

<sup>9</sup> „სამართალი ვახტანგ მეექვისისა“. ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთ ისიდორე დოლიძემ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი — 1981. გვ. 243.

<sup>10</sup> იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 4, 1967, გვ. 63.

<sup>11</sup> მ. კეკელია. „ვახტანგ მეექვისის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის შინაარსის მართული გაგებისათვის“. თსუ შრომები, ტ. 222, თბ., 1981, გვ. 27.

ექვსის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში მოხსენიებული სიტყვა „დაღათს“ უნდა ჩასწორდეს „დაყათს“-ად.

2. ძველი ებრაული სიტყვა დაყათი ქართულად ჰქუას, აზრს, ცოდნას, გაებას-ზეშნავს.

3. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის ჩვენთვის საინტერესო ადგილის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: მოსამართლე თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონში ჩაიხედავს და ამის შემდეგ გამოიტანს განაჩენს, ეს საჭირდარი იქნება იმისა, რომ უჭიერობაში, უცოდინარობაში (მიუხვედრელობაში, უაზრობაში, გაურკვევლობაში) ვერვინ დაიჭერს, ე. ი. ვერვინ იტყვის, რომ უჭიერობაში, გაურკვეველი (მიუხვედრელი, უაზრო, გაურკვეველი) განაჩენი გამოიტანან<sup>12</sup>.

მ. კეკელიას მიერ წამოყენებული მოსაზრება თავისთავად მეტად საინტერესოა. თუ ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალები შემდგომი დაკვირვების შედეგად დადასტურდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ ძველ ებრაული დაყათი სიტყვა ქართულმა შეითვისა იმავე მნიშვნელობით რაც მას თავდაპირველად გააჩნდა. ცხადია, არაფერი შეუძლებელი არ არის იმაში, რომ ქართულ ენას საქართველოში მცხოვრებ ებრაელთაგან შეეთვისებინა რამოდენიმე სიტყვა ან ტერმინი. მაგრამ მ. კეკელიას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მაშინ ვახტანგის სამართლის წიგნის გამოთქმა „მოსამართლეს დალათს ვერავინ დაუჭერს“, მაინც არ ჩანს სავსებით ნათელი. საქმე ისაა, რომ პროფ. კეკელიას მიერ შემოთავაზებული გაება ზემოხსენებული გამოთქმისა ნაძალადევად, არაბუნებრივად გამოიყრება. კანონმდებელი ამბობს: „მოსამართლეს დალათს ვერავინ დაუჭერს“-ო. და დაყათი უჭიერობა-უცოდინარობას ნიშნავს, მაშინ ამ მნიშვნელობის ჩასმით მივიღებდით „მოსამართლეს უჭიერობას (უცოდინარობას) ვერავინ დაუჭერს“-ო, რაც, რა თქმა უნდა, ამ შეიძლება გავიზიაროთ.

თუ „დაღათი“ სიტყვა ებრაულ „დაყათ“-ის დამახინჯებული ფორმაა მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ქართულ სინამდვილეში რაღაც განსხვავებული მნიშვნელობით იხმარებოდა.

ქართულ ეკონომიკურ დოკუმენტებში გვხვდება მედახილე<sup>13</sup>, რომელიც ნიშნავდა ხელისანს, შენობის შეგნითა მხარის მომპირკეთებელს. არაბულად „დახილითუნ“ ნიშნავს შინაგანობას, რუსულ ვнутренностиს-თითქოს შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ არაბული „დახილითუნ“ ქართულში „დაღათ“-ად გადამახინჯდა და მისი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „შინაგანი“, ინტიმური და ა. შ.

მაგრამ ეს სამუშაო ჰიპოთეზა არ გამართლდა.

აქევე გვინდა მეითხველთა ყურადღება მივაჟციოთ იმ გარემოებას, რომ XVIII საუკუნეში ქართულში „დაჭირვება“ ზოგჯერ დაბნელების მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგალითად თეიმურაზ მეორის თხზულებაში<sup>14</sup> „სარკე თქმულთა“ ვკითხულობთ:

„ერთს კიდევ გეტყვი მთვარისას: როს იყოს დაჭირვითათოო  
ვარსკვლავთ-მრიცხველთა წიგნითა შეიტყონ წინა დღითათო,  
რა შეიყარნეს პირის-პირ, დაბნელდეს ისევ მზითათ,

12 თსუ შრომები. ტ. 202, 1981 წ. გვ. 27—28.

13 „მოსალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“, 111, გვ. 20.

14 თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული. გიორგი ჭავბიას წინასიტყვაობით, რედაქტირ, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბ., 1939, გვ. 4.

და როსას მოშორდეს მზე მთვარეს, იქნას შუქ-მოფენითაო“. (28).

რამდენადაც ზოგჯერ „დაჭირვა“ დაბნელებას ნიშნავდა, შეიძლება დავუ-შვათ, რომ „დაუჭერს“ არაიშვითად იხმარებოდა „დაუბნელებს“ მნიშვნელობითაც.

ვფიქრობთ, რომ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში ნახ-სენები „დაღათ“ იგივე სპარსული „დეყათ“ არის, რომელსაც მეოვრამეტე სუკურსის დასაწყისის საქართველოში გამოსტკვამდნენ როგორც დაღათს, დაყათს.

**თემა** „დეყათ“ სიტყვა გვხვდება თანამედროვე სპარსული ენის ლექ-სიკონებში სადაც ის ნიშნავს: 1. ყურადღებას. მაგ. „დეყათ შაგირდან“ მოს-წავლეთა ყურადღება. 2. სიზუსტეს, სისწორეს, შორსმჭვრეტელობას, გულ-მოდგინებას, ბეჭითობას, ყურადღებიანობას, გულმოდგინე გარჩევას, ყურად-ღებით ჟესტავლას, დახვეწილობას, სიფაქიზეს.

ორტომიანი სპარსულ-რუსული ლექსიკონის მიხედვით „დეყათ“-ის ერთ-ერთი მნიშვნელობაა «Подвергать тщательному, внимательному исследованию; სპარსულში «деггät» დეყათ ნიშნავდა „დაკვირვებულობას“-აც<sup>15</sup>.

„დეყათ“ სიტყვის მესამე მნიშვნელობაა «Подробный, детальный; внимательный, точный, пунктуальный, аккуратный და ო. ვ.

ისმის კითხვა, ჟესაძლებელია თუ არა სპარსული „დეყათ“-ის რომელიმე მნიშვნელობა ვიგულისხმოთ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 205-ე მ-ის „დაღათ“-ში ვფიქრობთ, რომ ჟესაძლებელია.

„დეყათ“ სიტყვა, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნში „დაღათ“-ის სახით გვაქვს მოცემული, ვახტანგის სამართლის წინას 205-ე მუხლში ნიშ-ნავდა კანონის აზრის დაზუსტებას, კანონის ნორმის აზრის, მისი დედარსის გარკვევას კანონის ახსნა-განმარტების გზით.

კანონის აზრის დაზუსტების, კანონის აზრის ახსნა-განმარტების მეშვე-ობით კანონმდებლის ნების გამორკვევა, როგორც დასავლეთის, ასევე აღ-მოსავლეთის ფეოდალურ საზოგადოებაში მოსამართლეთა პრეროგატივას ჟეა-დგენდა. თუ კი კანონში რაიმე ხარვეზს შეამჩნევდა, მოსამართლეს სასა-მართლო პრაქტიკის მასალებზე დაყრდნობით მისი ჟევსების უფლება ვააჩნდა. და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით, კანონის ახსნა-განმარტების ბერკეტის გამოყენებით ვითარდებოდა სამართალმცოდნებაც.

<sup>15</sup> Персидско-русский словарь, т. I. M., 1970 (под ред. Ю. А. Рубинчика), с. 646. აგრეთვე Русско-персидский словарь. Составили И. К. Овчинникова, Г. А. Фуручян, Ш. Н. Бади. М., 1965, с. 414.

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ

К ПОНИМАНИЮ СТАТЬИ 205-Й СУДЕБНИКА  
ЦАРЯ ВАХТАНГА VI

Р е з ю м е

Статья 205 Судебника царя Вахтанга содержит непонятное слово დაღათი. Доказывается, что под დაღათი подразумевается персидское слово ~~شاه~~ დეკაт дэггат означающее наблюдательность, подвергать, тщательному, внимательному исследованию, рассмотрению, разбору. В Судебнике царя Вахтанга VI в контексте статьи 205 вышеупомянутое слово по нашему мнению связано с правом суды толковать закон на основании судебной практики.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტის, ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

## გია ქირია

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო  
კოდექსი ზოგიერთი ცელის გადასაცემის შეტანის აუცილებლობის  
შესახებ

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული როლი და ფუნქცია ეკისრება სასამართლოს ხელისუფლებას. კარგ სასამართლოს თავისი მოღვაწეობით, უდავოდ, შეუძლია ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ნორმურ განვითარებას. ის არის საფუძველი სამართლებრივი წესრიგისა ქვეყნაში. იგი ატარებს ცხოვრებაში კანონებს, მაგრამ სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა კარგი კანონები, რომელშიც სახელმწიფო გამოვა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია.

სასამართლო ხელისუფლებაში ჩანს ის ძირითადი დემოკრატიული იდეაბი, რომელთა დაცვისთვისაც მოწოდებულია თვით სახელმწიფო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა — ყველასათვის ერთიანი სასამართლოს მეშვეობითა და კანონისა და სასამართლოს წინაშე მათი თანასწორი მდგომარეობით.

სასამართლოს ძირითად მიზანს უნდა შეადგენდეს მოქალაქის დარღვეული ან სადაცოდ გამხდარი უფლებების დაცვა და არა რაიმე პარტიული ან კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, თთქმის და საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის დეკლარირება.

სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებისას, მხარეთა ნების ავტონომისა და თვით ნების გამოხატვის ავტონომიის დარღვევა, რაც დამახასიათებელია საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისათვის, წლების განმავლობაში მართლდებოდა ლენინური, კლასობრივი თეორიის იდეებით. კერძოდ, ვ. ლენინის განმარტებით, ყველაფერი მეურნეობის დარგში არის საერთო სამართლებრივი და არა კერძო:... აქვე მიუთითებდა, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფოს მხრიდან სამოქალაქო საქმეების განხილვაში ჩარევა აუცილებელი იყო.

ზემოაღნიშნული დებულების შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლო წირმოებაში ოფიციალურად დაკანონებულად იყო და დღესდღეობითაც დაკანონებულია სამძებრო ანუ ინკვიზიციური საწყისი ცივილური ურთიერთობების გარკვევისას, ნაცვლად ისეთი დემოკრატიული და მსოფლიოში პარობირებული საწყისისა, როგორიცაა — სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტა შეჯიბრებითობის პრინციპით. ცნობილი ამერიკელი იურისტი, პროფესორი გ. უიგმორი შეჯიბრებითობის სისტემას „მართლმსაჯულების სპორტულ“ ან „აზარტული თამაშის ლეგალიზებულ“ თეორიას უწოდებდა!. გამოჩენილი ფრანგი იურისტები შერარ კორნიუ და უარ ფუაიე ამტკიცებენ, რომ მოსამართ-

<sup>1</sup> J. H. Wigmore, A Panorama of the World's legal Sistem Boston, 1928, გვ. 235.

ლემ უნდა გადაწყვიტოს სადაც საკითხები სამართლის საფუძველზე, რათა აღდგეს მშვიდობა. ჭეშმარიტებისა და სამართლანობის მიღწევისათვის გლო-სონი და ტისიე თვლიან, რომ მოსამართლე არის მთავარი ფიგურა „მოფარი-კვეთა“ სასამართლო დუელისა ერთადერთი ფუნქციით, დაასახელოს გამარ-ჯვებული. ის არის ხელმძღვანელი ამ ორთაბრძოლისა ანუ თანამდებობის პი-რი, რომლის მოვალეობასაც შეადგენს პროცესი წილივანოს მოკლე მიმარ-თულებით მისი დამთავრებისაკენ და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება. რაიმონდ ლეჟეს მიხედვით, მოსამართლე არის უმაღლესი არბიტრი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რომელი მხარეა მართალი.

ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო-საპროცესო ურთიერთობებში ინკვიზიციუ-რი საწყისის არსებობა დადასტურებულია სამოქალაქო სამართლის საპრო-ცესო კოდექსში სასამართლოს აქტიური როლით სამოქალაქო საქმეების გან-ხლვისას.

თუ არა იურიდიული ნონსენსი, სხვა რით შეიძლება იხსნას ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 11-ე მუხლის I ნაწილი, რო-მელშიც ფიქსირებულია, რომ „სასამართლო მოვალეა არ დასკვრდეს წარ-მოდგენილ მასალებს, ახსნა-განმარტებებს და მიიღოს კანონით გათვალის-წინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამო-არყვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი“. სწორედ აღნიშნული მუხლისა და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების დამახინჯებული პოლიტიკის შესაბამისად სასამართლოს აქტიურობა და დომინირება, მხარეთა ნების ავ-ტონომიაზე იმდენ ზემოქმედებას ახდენს, რომ 39-ე მუხლის შესაბამისად „უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საქ-მეში სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მოპასუხის მხარეზე მე-სამე პირად ჩააბას თანამდებობის ის პირი, რომლის განკარგულებითაც მოხ-და დათხოვნა ან გადაყვანა...“

კანონმდებელი არ სჯერდება რა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კო-დექსში ფიქსირებულ სასამართლოს აქტივობას — მის კონსტატირებას ახდენს ასევე საქორწინო და საოჯახო კოდექსის 34—36 მუხლებში, რომელთა მიხედვი-თაც სასამართლო მოვალეა, განკორწინებასთან ერთად განსაზღვროს, რომე-ლი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა რაოდენობით უნდა გადახდეს ალიმენტი; „სასამართლო ვალდებულია განკორწინების საქ-მის გადაწყვეტისთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს; „სასამართლო ვალდებულია განკორწინების საქ-მის გადაწყვეტისთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რო-მელიც წარმოადგენს შეუღლებათა თანასაკუთრებას“.

ანალოგიური სიტუაცია შექმნილი სისხლის სამართლის საპროცესო კო-დექსის 30-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და 304-ე მუხლის პირველი ნაწილის მეექვე პუნქტით: „...სასამართლო, განაჩენის დადგენის დროს, ვალდებუ-ლია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს საკითხი დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო სახის მითითებები სასამართლოს რო-ლის შესახებ, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში, იმის საფუძველს იძლე-ვა, რათა გამოითქვას მოსაზრება, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით, უნ-და მიეცეს სარჩელის აღმვრის უფლება (მ. ელისევიჩი, მ. შავარიანი, ე. მალ-ცევი, ე. პიატილეტოვი, ვ. ბოიარინცევი და სხვები).

ჩვენს აზრით, სამოქალაქო საქმის აღმგრის უფლება სასამართლოს არ უნდა მიენიჭოს, რადგან თუ სასამართლოს ასეთი უფლება ექნება, მაშინ ის გარკვეულ წილად მხარის როლში გამოვა, ხოლო ზოგად იურიდიული მოსაზრებით ყოვლად მიუღებელია, რომ მხარე იყოს თვით თავის მიერ დაყენებული საკითხის არსებითად გადამტკრელი. აქვე გასათვალსწინებელია ისიც, რომ ძრღვევა კადევ ერთი ზოგადიურიდიული დებულება, რომლის მიხედვითაც მხარე ეს არის პირი, რომლისთვისაც ან რომლის წინააღმდეგ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

გარდა ამისა, აქ უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლწარმოების ფუნდამენტური საკითხი — სასამართლო მოთხოვნისა და საქმის განხილვის ფარგლები.

პროცესუალურ ლიტერატურაში — გამოთქმულია მოსაზრება, რომ სარჩელის შეცვლა შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ მხარეთა, არამედ სასამართლოს ინიციატივითაც; ამასვე უკავშირებენ, სასამართლოსათვის სასამართლო მოთხოვნისა და საქმის განხილვის ფარგლებს გარეთ გასვლის უფლების მინცების საკითხს (ნ. ზეიდერი, მ. ბირკინი, მ. მატიევსკი, ვ. სემიონოვი, ი. ევტოდიევა და სხვები), რასაც ჩვენ, ზემოთაღნიშნულ პრინციპულ დებულებათა გამო, ვერ დავეთანხმებით.

ასევე ვერ დავეთანხმებით იმათ შეხედულებებსაც, რომლებიც თვლიან, თუ სასამართლომ აუცილებლობის გამო შეცვალა სარჩელის საგანი, მან უნდა შეატყობინოს მოსამართლეს და მისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში ახალი საფუძვლით განიხილოს სარჩელი (დ. პოლუმორდვინოვი. ი. მარტკოვიჩი და სხვები).

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით იმათ აზრს, რომლებიც თვლიან, რომ მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია სარჩელის საგნის ან საფუძვლის შეცვლა და მისი თანხმობით სასამართლო ცვლის კიდევაც.

დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე, 306-ე და 339-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს, მისი კოდექსში ფიქსირებული აქტიური როლის გათვალისწინებით, უფლება აქვს გასცილდეს სასამართლო მოთხოვნათა ფარგლებს ან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა შეამოწმოს როგორც გასაჩივრებულ (გაპროტესტებულ), ასევე გაუსაჩივრებელ (გაუპროტესტებელ) ნაწილებში. გარდა ამისა, სასამართლო შეზღუდული არ არის საკასაციო საჩივრის ან პროტესტის მოსაზრებებით. ჩვენის აზრით, აღნიშნული დასაშვებად და გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფსევდო კლასობრივი ინტერესების მქონე სახელმწიფოსა და მის მიერ გატარებული პოლიტიკისათვის. ამიტომაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ და სხვა ზემოთ აღნიშნული მუხლების გაუქმება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში და საკანონმდებლო ინიციატივის სახით ისეთი მუხლის შეტანა კოდექსში, რომელიც ზუსტად, ყოვლისმომცველად განსაზღვრავს მხარეთა ნების ავტონომიურობიდან გამომდინარე მათ კონკრეტულ უფლებამოსილებას, კერძოდ: მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლებამოსილება სასამართლოში საქმის აღმგრისა, სასამართლო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საფუძვლისა და საქმის შეცვლისა, მორიგებისა, უფლებამოსილების სხვა პირზე გადაცემისა, საქმის მხანაგური ან სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემისა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა,

საღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა და მიქუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუღებლად მიგვაჩნია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის არსებობა ისეთი ფორმით, როგორითაც იგი არსებობს დღესდღეობით, კერძოდ — სასამართლო თავისი ინციატივით კრებს მტკიცებულებებს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი გამოიყურებოდეს ასეთნაირად.

მხოლოდ მხარეებმა ან მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად სასამართლომ უნდა წარადგინოს სასამართლოში ის მტკიცებულებები, რომლებიც საჭიროა მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მხოლოდ თითოეულ მხარეს აშევს მოვალეობა დაამტკიცოს ის გარე-მოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღნაიშნავია, რომ მეცნიერებაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც სასამართლოს უნდა მიენიჭოს მტკიცებულებების შეკრების უფლება, რაც, ჩვენის აზრით, არამართლზომიერია და აქ მთლიანად ვეთანხმებით იტალიელ მეცნიერს ენრიკო ტულიო ლიბმანს, რომელსაც მიაჩნია, რომ სასამართლო არ უნდა ერეოდეს მტკიცებულებების შეგროვებაში და ის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მხარეთა მიერ მოწოდებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს. თუმცადა, უცხოურ ლიტერატურაშიც ამ საკითხში არა-ერთგვაროვანი მოსაზრებებია, კერძოდ, გერმანელ მეცნიერს ფ. ბაურს და-საშეგებად მიაჩნია, რომ მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს მტკიცების პროცესში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლში ნაცვლად არსებული ორჭოფული დებულებისა, სა-სამართლომ უპირობოდ უნდა შეასრულოს მხარეთა მოთხოვნები მტკიცებუ-ლებების გამოთხოვისა და გამოკვლევის სფეროში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოვლად მიუღებლად და დაუსაბუ-თებლად მიგვაჩნია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხ-ლის V ნაწილის არსებობა, რომელიც ითვალისწინებს, რომ „თუ სასამართ-ლომ სარჩელზე მოპასუხის უარი მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება არ მიიღო, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ გან-ჩინებას“. არსებული დებულება ადასტურებს მხარის ავტონომიური ნების გამოვლინების შეზღუდვას სახელმწიფოს მხრიდან, სასამართლოს აქტივობის როლის გათვალისწინებით ადამიანის, ამ შემთხვევაში მხარის უფლებების დას-კრედიტაციის გზით.

ჩვენის აზრით, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, გადასასინჯია ასევე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის II ნაწი-ლი, რომლის მიხედვითაც „სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარ-ჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და არ დაამტკიცებს მხარეთა მო-რიგებას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფ-ლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს“. დეტალურად ჩვენ არ შევჩერ-დებით აღნიშნული მუხლის II ნაწილის უარყოფით მხარეებზე, რადგანაც ისედაც ნათელია მხარეთა ნებისა და მისი გამოხატვის ავტონომიის დარღვევა სასამართლოს მხრიდან აქტივობის როლის გაზრდით. რაც შეეხება I ნაწილს, მასზე უფრო ყოვლისმომცველია ჩვენს მიერ შემოთავაზებული ზოგად თეო-2. „მაცნე“. სამართალი, 1993, № 1

როული მუხლი მხარეების უფლებამოსილების შესახებ და ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ 34-ე მუხლი მთლიანად ამოღებული იქნეს კოდექსიდან.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლთან დაკავშირებული ჩვენებული მოსაზრებანი უნდა გავრცელდეს ასევე ამავე კოდექსის 299-ე და მე-300-ე მუხლების შესაბამის დებულებებზე იმ გაგებით, რომ სასამართლოს აქტივობის როლის ზრდა შეფერხდეს მხარეთა ნების ავტონომიურობის გამოვლენასთან შედარებით, საკასაციო საჩივარზე უარის თქმას ან მოსარჩევლის მიერ საერთოდ სარჩელზე უარის თქმისა და მხარეთა მორიგების საჭირებებთან დაკავშირებით.

აქვე, არ შევვიძლია ორიოდე სიტყვით არ შეჩერდეთ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლზე — საკასაციო საჩივრის ან პროტესტის გამო განმარტების ირგვლივ. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით, მხარეთა ნების ავტონომიურობის ფიქსირებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი გამოიყურებოდეს ასეთნაირად: მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ განმარტება საჩივრის ან პროტესტის გამო. ამ განმარტების მტკიცებულებათა წარდგენით. მათ მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე დაავალებს განმარტებისა და მასზე დართული საბუთების პირების წარდგენას მხარეთა რაოდენობის მიხედვით. აღნიშნული პირები უნდა ჩაბარდეს საქმეში მონაწილე მხარეებს.

მხარეთა ნების ავტონომიიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 36 მუხლი უნდა შეიცვალოს იმდაგვარად, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩევლის თანხმობით მოხდეს არასათანადო მხარის შეცვლა.

სასამართლოს აქტივობის როლის გაზრდისა და მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვის ხარჯზე დაფუძნებული ასევე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი — მტკიცებულებათა მიუღებლობა.

ჩვენის აზრით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სასამართლო წარმოებას შევვიძლია სამი ძირითადი მოთხოვნა წავყურნოთ 1) მოსამართლეზე და სასამართლოზე კი არ უნდა იყოს დამკიდებული, არამედ მის მოვალეობას უნდა შეადგენდეს სოციალურად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესრულება. 2) მოსამართლისა და სასამართლოსათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს სოციალურად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების მისადაგება განსაზილეველ საქმესთან და 3) სოციალურად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები თთოეული საქმის განხილვის პროცესში უნდა აღწევდეს პრაქტიკულ გამოხატულებას.

სწორედ, აღნიშნული მოთხოვნების გადაჭრა უნდა განსაზღვრავდეს სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანებს თანამედროვე საზოგადოებაში.

გარდა ამისა, კაცობრიობის ისტორიაში არსებობს ე. წ. ლიბერალური პროცესუალური მოდელი, რომლის მიხედვითაც მხარეები ერთმანეთს ეჭიბრებიან მკაცრად განსაზღვრული კანონის ფარგლებში და მათ შეჯიბრებას თვალყურს ადევნებს სასამართლო. ერთი შეხედვით ეს მოდელი გამოირჩევა დემოკრატიულობით და ამ შეჯიბრებაში იმარჯვებს სიკეთე და სიმართლე, მაგრამ მეორეს მხრივ, აქ თამამად შეიძლება დაისვას ორად ორი შეკითხვა. ლიბერალური სამოქალაქო-სასამართლო წარმოება ხელს ხომ არ უწყობს იმას, რომ გამარჯვება დარჩეს უფრო ძლიერსა და მეორე — აღნიშნული მოდელი არის.

თუ არა დაკავშირებული სოციალური კავშირებით იმ პირებთან, ე. ი. მესამე პირებთან, რომელთაც აქვთ თავიანთი იურიდიული ინტერესები საქმეში. ამი-  
ტომაც, ჩვენს მიერ დასმულ ორივე კითხვაზე პასუხის გასაცემად გვინდა  
ალვნიშნოთ, რომ მოსამართლისა და სასამართლოს როლი მხოლოდ პასური  
ჰედამხედველობის როლით კი არ განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო  
ურთიერთობებში, არამედ ის უნდა გახდეს თთოვეული მხარისათვის დამო-  
უკიდებელი თანაშემწერე.

ამიტომაც, დღესდღობით სამოქალაქო სამართლწარმოების ლიბერალური შროდელიდან სოციალურ მოდელზე<sup>2</sup> გადასვლა მოითხოვს კლასიკური რეგიბრებითობის პრინციპის გადასინჯვას იმ გაეგებით. რომ დადგინდეს გარეული ზღვარი სასამართლოს აქტივობისა და არ მოხდეს მიბრუნება სამოქალაქო სამართლწარმოებაში სამძებრო ანუ ინკიზიციური პროცესისაკენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ცენტრალური აღგილი სა-  
მოქალაქო სამართლის პროცესში უნდა დაიჭიროს დიალოგმა მოსამართლესა  
(სასამართლოსა) და მხარეებს შორის უფლებებისა და დაწესების შესხებ.

მხარეთა ნების ავტონომიისა და სასამართლოს ქუთივობის ზღვარია გაფლებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში (მოსამართლის მოქმედება სასამართლო გარჩევისათვის საქმის მოსამზადებლად). ანალიზით ი იძულური სიტუაცია შექმნილი ასევე საქმეში თარჯიმისათვის, მონაწილე პირთათვის და ექსპერტისათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების განმარტების დროსაც (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე, 162-ე და 171-ე მუხლები). იგივე მდგრამარეობაა შექმნილი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309-ე და 310-ე მუხლებით, რომელშიც ერთის მხრივ მთლიანად არის გამოხატული მხარის ნების ავტონომია, საქმეში მონაწილე მხარეებისათვის აცილების უფლების გამოყენების ოვალ-საზრისით და მეორეს მხრივ, სასამართლოს ქუთივობა — საქმეში მონაწილე პირთათვის თავისი ინიციატივით უფლებების განმარტება.

მხარეების ნების ავტონომიიდან გამომდინარე გათასიჯნას მოითხოვს ასე-

2 სოციოლოგიური ანუ ჰარევარდული სკოლა შეიქმნა როსკი პაუნდის მიერ. მისი მიმღევები არიან სტოუნი, ბრენდაიზი, კარდოზი, სუგმორი, მ. კოენი, ლასველი, მაგლუგალი და კველხე დიდი ამერიკელი პრაგმატიკოსი და ღიუ. მათი აზრით, მოსამართლებ და სასამართლო უნდა იმოქმედოს სოციალური ძალის მიხედვით, რომელიც დგას დაწერილი ნორმის უან — O. W. Holmes, the Common Law, Boston, 1945, გვ. 30.

ვე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლი. ჩვენის აზრით, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ მხარის მიერ, ანდა მხარის ნებართვით გადასინჯვისათვის უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით.

რაც შეეხება, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის I და II ნაწილებს, სააღსრულებო ფურცლის გადაცემის შესახებ, ისევე როგორც კოდექსის 355-ე მუხლს, (ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებლო ფურცლის გაცემა) სადავო არაფერია, რამდენადც არსებობს ზღვარი ერთის მხრივ მხარის ნების ავტონომიისა და მეორეს მხრივ, სასამართლოს მხრიდან განხორციელებული აქტივობისა.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის III ნაწილში, ჩვენის აზრით, მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვის საფუძველზე, სასამართლოს არ უნდა ქონდეს თავისი ინიციატივით სააღსრულებო ფურცლის გადაგზავნის უფლება აღსასრულებლად და ეს უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ გადამხდევინებლის მოთხოვნის საფუძველზე.

### Г. Г. КИРИЯ

## О НЕОБХОДИМОСТИ ВНЕСЕНИЯ НЕКОТОРЫХ ИЗМЕНЕНИЙ В ГПК РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

### Резюме

Статья посвящается особой роли и функциям судебной власти в строительстве демократического государства. Своей деятельностью суд должен способствовать нормальному развитию государства. Он является основанием правопорядка в государстве.

В деятельности судебной власти проявляются основные демократические идеи для защиты которых предназначено само государство, являющееся гарантом соблюдения законных прав и интересов своих граждан путем обеспечения единого для всех суда и равноправия перед законом и судом.

Основной целью суда должна быть защита нарушенных или спорных прав граждан, а не декларирование всестороннего, полного и объективного исследования, исходя из партийных или классовых интересов.

Основное внимание в статье уделено автономичности воли сторон в гражданско-процессуальных отношениях. Соответственно подвергается критике т. н. советская правовая концепция, основанная на ленинских идеях об обязательности вмешательства государства в разбирательство гражданских дел.

Исходя из вышеизложенного, в статье обосновано требование изменения, с учетом автономичности воли сторон, ч. I — ст. 11, ст. 34, 36, 52; ч. V ст. 173; ст. 201, 299, 300, 302, 306, 339, 347 и ч. III ст. 354 ГПК Республики Грузия.

Также необходимо изменить ст. 34—36 Брачно-семейного кодекса и ч. IV ст. 30, п. 6 ст. 304 УПК Республики Грузия.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილებაზე

### ელევ მისარიანი-შეცრილაპე

მშობლების უფლება-მოვალეობათა ზარმოგოგის საფუძვლები

ყველაზე მჭიდრო კავშირი, როგორიც კი კაცობრიობას ოდესმე სცოდნია, მშობლებსა და შვილებს შორის არსებული კავშირია. ქალისა და ვაჟისაგან ნაშობი ბავშვი ანაზღად გვევლინება როგორც მოქალაქე და თვით ფაქტი მისი გაჩენისა სათანადო იურიდიულ გაფორმებას მოითხოვს, რათა მან პირადი და უფლებრივი სტატუსი, ხოლო მშობლებმა მშობლის უფლების სტატუსი მოიპოვონ.

გარკვეული მშობლებისაგან ბავშვის გაჩენა იურიდიული ფაქტი ხდება იმ პირობით, თუ ეს ფაქტი დადასტურებული იქნება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში. სწორედ ამ მომენტიდან წარმოიშობა მშობლებსა და შვილს შორის ურთიერთ უფლება-მოვალეობანი. ეს უფლება-მოვალეობანი ეფუძნება ბავშვის წარმოშობას, დადასტურებულს კანონით დადგენილი წესისამებრ. არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, დაიბადა ბავშვი მშობელთა ქორწინების შედეგად, თუ ქორწინების გარეშე შვა იგი მარტოხელა დედამ, და მამობა მის მიმართ დადგენილია მშობლების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში შეტანილი განცხადების საფუძველზე, სასამართლო წესით, თუ სულაც არ არის დადგენილი. მისი დაბადების ფაქტი დამოწმებული უნდა იყოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში, რის შემდეგაც წარმოიშობა მასა და მშობლებს შორის ან მასა და ერთ-ერთ მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობა.

დაქრწინებულ მშობელთაგან შვილის წარმოშობის დასადგენად საჭიროა ჩანაწერი მშობელთა ქორწინების შესახებ. ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის მანძილზე მშობლების, ერთ-ერთი მათგანის ან იმ პირის განცხადებით, რომელსაც მშობლები ანდობენ, ბავშვის დაბადების ფაქტი დაფიქსირებული უნდა იყოს. ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხდება მშობელთა ქორწინების საქტო ჩანაწერის და მისი დაბადების შესახებ გაცემული ცნობის .(ან თუ ბავშვი სამკურნალო დაწესებულების გარეთ, ვთქვათ, მატარებელში დაბადა, მოწმეთა ჩეკენებების) საფუძველზე.

ამ შემთხვევაში ბავშვის დედად წერენ ქალს, რომელმაც შვა იგი, მამად — იმას, ვინც დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაშია.

იმის პრეზუმეცია (ვარაუდი), რომ ბავშვის მამა დედის ქმარია, საწყისს იღებს რომის სამართლიდან, რომლის თანახმად მამა ის არის, ვისზეც ქორწინების ფაქტი მიუთითებს. ეს დებულება გამეორებულია ნაბოლეონის კოდექსში და გავლენას ახდენს პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის კანონმდებლებზე.

გარდა დედის ქმრის მამობის პრეზუმეციისა აქ გარანტიად გვევლინება მეორე პრეზუმეცია — ქალის ცოლ-ქმრული ერთგულება.

რატომ არის, რომ ჩვენ, როცა ბავშვის დედისაგან წარმოშობას ვაღვენთ, ვლაპარაკობთ ამ ფაქტის მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტით ან მოწმეთა ჩვენებით დადასტურებაზე, ხოლო როცა მამიდან მის წარმოშობას ვადასტურებთ — მამობას ვვარაუდობთ? ეს საკითხი ძალიან ადვილად წყდება, დედაშვილის ბიოლოგიური კავშირი სავსებით ცხადი რამა, მამობა კი იმდენად ღრმად არის ბუნებაში ჩამალული, რომ კანონმდებელი მხოლოდ ვარაუდობს მას. ჯერ ერთი, ივარაუდება დედის ქმრის მამობა, მეორეც, საკმაოდ მნიშვნელოვანი ზნეობრივი დასაბუთება — ივარაუდება ქალის ცოლ-ქმრული ერთგულება.

თუ ბავშვი დაიბადა სულ ბევრი ათი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც გარდაიცვალა მამა, ან მოხდა განქორწინება, ანდა ქორწინების ბათილად ცნობა, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქორწინო და საოგანო კოდექსი, მუხ. 172, 173) მისი დაბადების რეგისტრაციისას ივარაუდება დედის ქმრის მამობა. თუ ბავშვი უფრო გვიან დაიბადა, ითვლება ქორწინების გარეშე შობილად. შესაძლოა სწორედ ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ბევრ ქვეყნაში თანამედროვე კანონმდებლობა აწესებს „გლოვის ვადას“, რომლის მანძილზეც აკრძალულია ქორწინება მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ვადის ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად, დანიაში, პორტუგალიასა და ბელგიაში 12 თვეა, პოლანდიაში — 10 თვე, ჩვენში ასეთი შეზღუდვა და აკრძალვა არ არსებობს, ისევე, როგორც არ არის დაწესებული ვადა ერთი ქორწინების მეტე ხელახლა ქორწინებისათვის. საფრანგეთის კანონმდებლობა კი სხვა გზით წავიდა — განქორწინების შემდეგ ქალს ხელახლა გათხოვების უფლება არა აქვს 300 დღის მანძილზე გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ვადის განმავლობაში შობს შვილს ან როცა განქორწინება მოხდა ოჯახის ფაქტობრივად დანგრევის საფუძველზე. აქ ზნეობრივ საწყისებზე უფრო მეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, რომ განისაზღვროს შვილის უფლებრივი სტატუსი, შვილისა, რომელიც ამ ვადაში მას შეიძლება გაუჩნდეს გარდაცვლილი ან გაყრილი ქმრისაგან.

მაგრამ შვილი მარტო დაქორწინებულ მშობლებს როდი უჩნდებათ. საჭიროა მათი წარმოშობის დადგენაც. რამდენია ასეთი ბავშვი და როგორ ეკიდება მას კანონმდებელი?

იმ დღიდან მოყოლებული, რაც არსებობს საქორწინო და საოგანო კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს დაქორწინების წესს და იურიდიულ ძალას ანიჭებს მხოლოდ კანონის შესაბამისად მომხდარ ქორწინებას, იმ დღემდე, ვიდრე ასეთი კანონმდებლობა იარსებებს, არის და იქნება ბავშვთა გარკვეული კატეგორია, როგორიცაა გაუთხოვარი დედისაგან ნაშობი ბავშვები. ეს ბავშვები ცოტა არ არის და მათი რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს.

ასეთი ბავშვების დაბადებაში საჭიში არაფერია. პირიქით, ბავშვის დაბადება, რა ფორმასაც უნდა ატარებდეს მისი მშობლების ურთიერთობა, ყოველთვის მშენიერებაა. ამიტომ არც კი დგება საკითხი კარგია, ეს თუ ცუდი. აღმიანის დაბადებას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მაგრამ აქ სხვა საკითხები წამოიჭრება. რამდენადც დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენის ინსტიტუტი არსებობს და მოქმედებს, გამოდის,, რომ არც სახელმწიფოსა და არც საზოგადოებისათვის სულ ერთი არ უნდა იყოს რო-

გორ და საიდან ხდება ბავშვის დაბადების ლეგიტიმაცია. მაგრამ ბავშვს მარტო სახელი კი არა, მოვლა, ბინა, უზრუნველყოფა სჭირდება. დიახ, საზოგადოება მიესალმება ბავშვის დაბადებას, სახელმწიფო შეღავათებს აწესებს ნარტონელა დედებისათვის. მაგრამ განა შეიძლება უყველთვიურ დახმარებას ჩენა დავარქვათ? განა ცინიკური არ არის მისცე ასეთ დედას ამ ბავშვის სარჩენად თვეში რაღაც თანხები, ან ბინით უზრუნველსაყოფა აღრიცხვაზე აყვანონ საგანგებო, ეგრეთ წოდებული რიგგარეშე სით მას შემდეგ, რაც მან შვილი შობა? მეტიც, როგორც კი დადგინდება, რომ ბავშვი წარმოშობილა ამ მამისაგან, ქალი ამ მცირე შეღავათებასც კარგავს.

მაგრამ მამობის დადგენა ხომ სულაც არ ნიშნავს ოჯახს შექმნას, თანაცხოვრების მოგვარებას, ურთიერთდახმარებას! ეს მხოლოდ იურიდიული მხარეა საყითხისა, სამართლებრივი სტატუსის გარკვევაა. ცხოვრებაში კი ქალი, რომელმაც თვისი ხალხის წინაშე ვალი მოიხადა და ამის საზღაურად სულ უმნიშვნელო დახმარებას იღებს, უბინაოდ, ჩვილი ბალლიანად გადადის ერთი სერთო საცხოვრებლიდან მეორეში, კერძო ბინაში, გულმოწყალე აღმიანებთან. მან კი მოიხადა ვალი საზოგადოების წინაშე, მაგრამ საზოგადოებამ თუ მოიხადა ვალი მის წინაშე?

ჩენს წინაშე დიდი პრობლემა დგას. ეს პრობლემაა შობადობის გადიდება. იქნებ კარგა ხანია დადგა დრო დედათა რეალურ დახმარებაზე გადასვლისა? გავადიდოთ დახმარება ბავშვებისათვის, მივცეთ ბინა უბინაო ქალებს შვილის შობამდე, მშობიარობის წინახანებში, ფასიანი შვებულება ბავშვის მოსვლელად, ვიდრე მას დაბადებიდან სამი წელი შეუსრულდებოდეს. რაյო ადამიანი გაიჩნდა, იმთავითვე უნდა ჰქონდეს თავზე ჭერი, და მინიმალურად იყოს უზრუნველყოფილი ცველაფრით, რაც კი საჭიროა. მოწოდება, შვილები იყოლიეთ, მოწოდებადვე დარჩება, თუ რეალურ გარანტიებს არ შევუქმნით შვილის საცოცხლის უზრუნველყოფას.

როგორ აწესრიგებს კანონმდებელი იმ მშობელთაგან შობილი შვილების მდგომარეობას, რომლებიც ერთმანეთზე დაქორწინებული არ არიან? აქ მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მამობის დადგენის ორ წესს — ადმინისტრაციულს (მშობლების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ერთობლივი განცხადების შეტანის გზით) და სასამართლოს მეშვეობით. რით განსხვავდება ერთი მეორისაგან?

ადმინისტრაციული წესით მამობის დადგენისას ჩანაწერი დედის შესახებ კეთდება სამედიცინო დაწესებულების ცნობის მიხედვით. რაც შეეხება ჩანაწერს მამის შესახებ, იგი მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია მშობელთა თანხმობის, მათ ერთობლივ განცხადებაზე.

თუ ბავშვის დედის თანხმობა არ იქნება, ვაჟს ვერ ჩაწერენ მამად, რადგან მამის შესახებ ჩანაწერი მამასა და შეიძლება უფლება-მოვალეობებს წარმოშობს. დედამ იცის, ვინ არის ბავშვის მამა, და რამე მოსაზრებით, მაგალითად ზნეობრივით, შეიძლება არ სურს მამასა და შვილს შორის ასეთი უფლება-მოვალეობის წარმოშობა, თვისი მხრივ, მამა შეიძლება თანახმა არ არის ნებაყოფლობით დაადგინოს მამობა, ცნოს, აღიაროს ბავშვი თვის შვილად.

მაშასადამე, მამობის ნებაყოფლობითი დადგენისას მხოლოდ ბავშვის მშობლების თანხმობაა საჭირო. ამასთან მშობლის მეორე მეუღლის ან სხვა ნათესავების თახხმობას უფლებრივი მნიშვნელობა არა აქვს, მათი თანხმობა უბრალოდ საჭირო არ არის.

მამობის ნებაყოფლობით დადგენა შეიძლება ყოველი ასაკის ბავშვისა-თვის, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ სრულშილვანის მიმართ მამობის დასა-დაგენად მისი თანხმობაც საჭიროა. თუ მისი თანხმობა არ იქნა, მამობის დად-გენა არ შეიძლება.

არას კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი: თუ ბავშვის დედა გარდაიცვალა, ან კანონის თანახმად ცნობილია არაქმედუნარიანად, ან თუ შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის დადგენა, მამობა ნებაყოფლობითი წესით შეიძლება დადგინდეს მამის განცხადების თანახმად. ამ შემთხვევაში დედობა დასტურდება ან ადრე გაცემული დაბადების მოწმობით, ანდა სამე-დიცინო დაწესებულების ცნობით, მამა კი თვითონ გამოთქვამს ნებას მამის შესახებ ჩანაწერის გაყეთებაზე. ანალოგიურ სიტუაციაში მოხვედრილ ბავშვის დედას უფლება არა აქვს განცხადებით მიმართოს მოქალაქეობრივი მდგომა-რეობის აქტების ჩამწერ ორგანოს მამობის შესახებ ჩანაწერის გასაყეთებლად, თუნდაც რომ მამობის დამამტკიცებელი საფუძლიანი მტკიცებანი ჰქონდეს. მამის სურვილი აქ უცნობია. იყო თუ არა ის ასეთი ჩანაწერის გაყეთების თანა-ხნა, ამის გარკვევა მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია, რომ ერთმანეთთან დაუ-კორწინებელ მშობელთა უმრავლესობას მამობის ნებაყოფლობითი დადგენა ურჩევნია სასამართლო წესით დადგენას.

როცა დედა ან მამა თანახმა არ არის მამობის ნებაყოფლობით დადგენი-სა, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის განცხადების თანახმად. სასამართლო წესით მამობის დადგენის შესახებ გან-ცხადების მიცემის უფლება მშობლებს გარდა აქვს ბავშვის მეურეებს (მზრუნ-ველს), იმ პირს, ვის კმაყოფზეც ბავშვია, აგრეთვე თვითონ ბავშვს, როცა სრულშილოვანი გახდება (საქორწინო და საოგანო კოდექსის 51-ე მუხლი).

სასამართლო წესით მამობის დადგენის დროს სასამართლომ უნდა განი-ხილოს ბავშვის დედის ან იმ პირის სარჩელი მამობის დადგენაზე, ვისაც კანონით ამის უფლება აქვს. ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა იც-ონბს ისეთ შემთხვევებს როცა სარჩელი მამობის დადგენაზე ბავშვის მამაშ შეიტანა.

მოსარჩელე სასამართლოს წარუდგენს თვის მოთხოვნათა დასაბუთებუ-ლობის დამიდასტურებელ მტკიცებულებებს, სასამართლო შეისწავლის მათ. გარდა ამისა სასამართლო თავისი ინიციატივით გამოიხახებს მოწმეებს, გამო-ითხოვს სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, ღოკუმენტებს, ცნობებს, ყველაფერს, რაც მას საშუალებას მისცემს გაარკვიოს სასამართლოსათვის საინტერესო გარემოებანი და გამოიტანოს გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის შე-საბამისად.

იმ შემთხვევებში, როცა მოპასუხე სასამართლოს სხდომის დაწყებისთა-ნავე აღიარებს თვის მამობას, სასამართლო მყისვე აქმაყოფილებს სარჩელს.

მაგრამ თუ ის უარს ამბობს მამობაზე, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს საქმის ყველა გარემოება, შეისწავლის მისთვის წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები და გმოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებასა თუ უარყოფის შესახებ.

საქორწინო და საოჯახო კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სასამართლო მხედველობაში იღებს: ერთად ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობას ეწეოდნენ თუ არა ბავშვის დაბადებამდე ბავშვის დედა და სავარაუდო მამა, ერთად ზრდიდნენ და არჩენდნენ თუ არა ბავშვს, არის თუ არა დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ რომ მოპასუხე აღიარებს მამობას.

საჭიროა, ამ ჩამოთვლილ პირობათაგან თუნდაც ერთის დამტკიცება და ეს იქნება საფუძველი სასამართლო წესით მამობის დასადგენად.

რა თქმა უნდა ამ საფუძვლების წრე ერთობ ვიწროა, იგი სულაც არ მოიცავს ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციას, მაგრამ ამ ფარგლებს გარეთ გასვლა სასამართლოს არ ძალუდ.

ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობა — ეს ორი პირობა აუცილებლად შეხამებული უნდა იყოს. ეს ერთ ჰერქვეშ ცხოვრებაა, საერთო მეურნეობის გაძლოლაა, ურთიერთდამკიდებულების საჯაროობაა, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ მაინც სტაბილურობაა. ერთი სიტყვით, ქალი და ვაჟი ცოლ-ქარივით უნდა იქცეოდნენ. ამ ურთიერთობის დარღვევის მიზეზი სულ სხვადასხვაა. მეტწილად მამავაცის უარყოფითი დამოკიდებულებაა ბავშვის გაჩენისადმი ან უფრო სწორად, ბავშვის გაჩენის პერსპექტივისადმი.

როგორც წესი, ვაჟი დროის რაღაც მონაკვეთში უნდა ზრუნავდეს ბავშვისათვის, მონაწილეობას იღებდეს მის აღზრდაში, მატერიალურ დახმარებას უწევდეს დედას. არც დახმარების ოდენობას, არც რჩენის ხანგრძლივობას გადამტყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ამ დახმარებას დროის რაიმე მონაკვეთზე სისტემატური ხასიათი ჰქონდეს. მაგრამ შვილის ერთობლივად აღზრდაც და რჩენაც იმ შემთხვევებში, როცა მამას არ სურს ნება-ყოფილობით აღიაროს თავისი მამობა, აქედან გამომდინარე მოელი უფლება-მოვალეობითურთ, სასამართლოში საქმის განხილვის დროს მიიჩნევა ისეთ გარემოებებად, რომლებიც საშუალებას იძლევიან დაკმაყოფილდეს სარჩელი მამობის დადგენის შესახებ.

მაგრამ ზოგჯერ ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ ხანგრძლივად ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობის მქონე ქალ-ვაჟი ერთ ჰერქვეშ არ ცხოვრობენ, ერთ მეურნეობას არ ეწევიან, შვილის გაჩენის შემდეგ მამა არც მის აღზრდაში მონაწილეობს და არც მის რჩენაში. და მაინც ბავშვის მშობელთა შორის ასებული ურთიერთობა რაიმე კვალს მაინც ტოვებს. ეს გახლავთ ნაცნობებთან ნალაპარაკევი, წერილები, ფოტოსურათები და სხვ.; ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ მოპასუხე მამობას აღიარებდა. სრულებით არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როდის აღიარა მან ეს — ბავშვის გაჩენამდე თუ გაჩენის შემდეგ. მთავარია, აღიარება იყოს პირდაპირი დასტური იმ ფაქტისა, რომ შვილი მისია. ყველა სხვა გარემოებას, ისეთს, რო-

გორიც არის ბავშვის მშობელთა ურთიერთდამოკიდებულების ხანგრძლივობა, ბავშვის მსგავსება მამასთან და სხვა, არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს სასამართლო წესით მამობის დასადგენად.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ინიშნება და ისიც მაშინ, როცა სასამართლოს საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ არ შეიძლებოდა ბავშვი მამისაგან წარმოშობილყო.

სასამართლო წესით მამობის დადგენა შეიძლება მხოლოდ იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც 1968 წლის 1 ოქტომბრის მერე არიან დაბადებული. გამონაკლისი მხოლოდ მაშინ კეთდება, როცა მამაკაცი ბავშვზე ზრუნავდა, მას თავის შვილად აღიარებდა, მაგრამ მოკვდა ისე, რომ ნებაყოფლობით მამობა ვერ გააფორმა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მამობის აღიარების ფაქტი. ამ ფაქტის დადგენისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გარდაცვლილი არა მარტო აღიარებდა ბავშვს თავის შვილად, არამედ არჩენდა კიდეც მას.

სასამართლოში ასეთი შემთხვევების განხილვა უფრო რთულია ხოლმე, რადგან მამობის აღიარების ფაქტის დადგენის შემდეგ ბავშვი ისევე, როგორც ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები, მემკვიდრეობის და პენსიის უფლებას იძენს. იღებს მამის გარდაცვალების შემდეგ მისაცემ დახმარებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს გარდაცვლილის მეუღლეს, სრულწლოვან შვილებს, ნათესავებს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებს წარმომადგენელს, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ საქმის შედევით.

მაშასადამე, კანონმდებლობა ამ მამაკაციდან ბავშვის წარმოშობის დადასტურების რამდენიმე ვარიანტს ითვალისწინებს. იმისდა მიუხედავად, თუ როგორ არის დადგენილი მამობა — ნებაყოფლობით თუ სასამართლო წესით — ამის სამართლებრივი შედეგი ერთი იქნება — ამ შვილებს მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ისეთივე უფლება-მოვალეობაზე ექნებათ, როგორც იმათ, ვინც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მშობლებისაგან დაიბადა.

ნებაყოფლობით ან სასამართლო წესით დადგენილი მამობა სადაცო აღარ შეიძლება გახდეს მომავალში. სადაო შეიძლება გახდეს დედაზე ან მამაზე გაკეთებული ჩანაწერი ოლონდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი, დაქორწინებულ მშობლებს გაუჩნდებათ. კანონმდებელმა გაითვალისწინა, რომ მათ უფლება აქვთ სადაცო გახადონ ჩანაწერი ერთი წლის მანძილზე იმ დროიდან, როცა ერთ-ერთმა მათვანმა შეიტყო ან შეეძლო შეეტყო ჩანაწერის გაკეთების ამბავი, გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ჩანაწერის სადაცო გამოტანის მოსურნე მშობელი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიმენტს იხდის, რადგან აღიმენტის დაკისრებელი სასამართლო თითქოსდა დამატებით აღიმენტვალდებული მშობლისაგან ბავშვის წარმოშობასაც აღასტურებს.

აღამიანთა ცხოვრება სხვადასხვანაზეად ეჭყობა. შვილი უჩნდებათ დაქორწინებულთაც და დაუქორწინებელთაც, იმათაც, ვინც საერთო მეურნეობას ეწევა და იმათაც, ვინც ცალ-ცალკე ცხოვრობს, — იმისდა მიხედვით, თუ ცის რას არგუნებს ხევდრი, და ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა მშობ-

ლები არ არიან დაქორწინებული, როცა მათ ერთობლივი განცხადება არ შეუტანიათ მამობის დადგენაზე, არც სასამართლოს გადაწყვეტილება არ-სებობს ამის თაობაზე ან იმიტომ, რომ სარჩელზე უარი უთხრეს, ან კიდევ იმიტომ, რომ ქალმა შეგნებულად გადაწყვიტა იყოს მშობელი და ამჯობინა არაეითარი მოთხოვნა არ წაეყენებინა ბავშვის მამისათვის. მაგრამ ბავშვს სახელიც უნდა, გვარიც და ჩანაწერიც მისი დაბადების შესახებ. ასეთ შემთხვევებში, როცა მამობა დაუდგენელია, ბავშვის მამის შესახებ ჩანაწერი დედის გვარით კეთდება, სახელი და მამის სახელი ბავშვის მამის, ბავშვის დედის ნათქვამით იწერება.

რა თქმა უნდა, ბავშვს, რომლის მამადაც ჩაწერილია არარსებული კაცი, არ შეიძლება წარმოეშვას რაიმე უფლება-მოვალეობა. ასეთი ბავშვის მიმართ ყოველგვარი უფლება თუ მოვალეობა მარტოლენ დედას ეკუთვნის.

მამობის დადგენის შესახებ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა სულაც არ არის უნივერსალური. იგი უამრავ შესაძლებლობას უქმნის მოპასუხეს თავი აარიდოს თავისი საკუთარი შვილის აღზრდა-რჩენის მოვალეობას, იგი ვერ იცავს ვყელა ქალს, ვინც მამაცობა გამოიჩინა ბავშვის დაბადების საკითხის გადაწყვეტისას, იგი არ იცავს იმ ბავშვთა გარკვეულ ნაწილს, რომლებიც დაუქორწინებელი მშობლებისაგან იშვნენ. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ან საზოგადოება რაიმე დასკრიმინაციას უწყობდეს უქორწინოდ დაბადებულ ბავშვებს. პირიქით, ისინი პირდაპირ დაინტერესებული არიან ბავშვების გაჩენით. ბავშვის გაჩენა საზოგადოებისათვის სასურველ, მოსაწონ საქციელად ითვლება. მაგრამ ყოველ ბავშვს სჭირდება იმის შეგნება, რომ მას ჰყავს მამა, სულ ერთია, სად არის იგი, მაგრამ მამა უნდა იყოს. ამიტომ მშობელთა დაუქორწინებლად ბავშვის გაჩენის ყველა შემთხვევაში ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა მამობის დადგენა თუ ბავშვის მამა ცნობილია.

მამობის დადგენასთან, აგრეთვე ბავშვის მიმართ მშობლების უფლება-მოვალეობის წარმოშობის სამართლებრივ საფუძვლების განსაზღვრასთან და-კავშირებით წარმოიშობა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნან საქართველოს რესპუბლიკის ახალ საქორწინო და საოჯახო კოდექსში.

ЕЛЕНА МИСКАРЯН-ШЕКРИЛАДЗЕ

## ОСНОВАНИЯ ВОЗНИКОВЕНИЯ РОДИТЕЛЬСКИХ ПРАВ И ОБЯЗАННОСТЕЙ

### Резюме

Самая тесная связь, которую когда-либо знало человечество — это связь между родителями и детьми. Однако родительское правоотношение возникает с момента удостоверения происхождения ребенка от данных родителей органами ЗАГС.

Для удостоверения происхождения ребенка от родителей, состоящих в браке между собой необходима запись о браке родителей, при этом отцом ребенка является лицо, состоящее в браке с матерью. Если же родители ребенка в браке не состоят, то запись о матери производится на основании справки медицинского учреждения или свидетельских показаний, если ребенок родился вне родильного учреждения, а запись об отце — на основании совместного заявления родителей, сделанного в органы ЗАГС или на основании решения суда об установлении отцовства или факта признания отцовства.

В работе рассматривается необходимость усовершенствования законодательства об институте отцовства и лучшего материального и жилищно-бытового обеспечения женщины, родившей ребенка вне брака.

სტატია წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განცოცილებაში.

## И. ГОДЗИАШВИЛИ

### ПРОБЛЕМЫ ТЕОРИИ В АМЕРИКАНСКОЙ КРИМИНОЛОГИИ

Американская криминология, ориентированная, как известно, преимущественно на социологический анализ преступности, достигла значительных успехов, в особенности в эмпирических исследованиях, которые давали ученым возможность индуктивным путем идти к формированию различных выводов практического характера, имеющих несомненно важное значение для организации борьбы с преступностью. Вместе с тем, в американской криминологии поднимались и теоретически важные вопросы, связанные с необходимостью выработки теоретического обоснования правильности выбора эмпирического массива, а также с разработкой теоретической основы, могущей пролить свет на объяснение функционирования преступности, ее изменений, структуры и других особенностей.

В теоретической дискуссии одним из важных вопросов, требующих разрешения, встал вопрос о предмете криминологии. В целом признается, что традиционными понятиями криминологии являются преступление и преступник. Однако, тот факт, что эти понятия сформулированы правом, со стороны криминологов вызывает определенное недоверие. «Одна из важнейших проблем, с которой сталкивается криминолог, — отмечает Майкл и Адлер, — заключается в том, удовлетворяет ли его целям указанный способ ограничения преступников от остальных лиц»<sup>1</sup>. Т. Селин, являясь принципиальным сторонником антинормативного направления в криминологии, считает, что категории, устанавливаемые уголовным законом, не соответствуют требованиям ученых из-за их «случайного характера» и не «обуславливаются органически самой природой исследуемого объекта»<sup>2</sup>.

У представителей указанного направления возникают большие сомнения относительно возможности выработки всеобщих категорий в условиях изменчивости уголовного закона, из-за которой приходится подвергать изменению и наблюдаемый объект. По мнению Т. Селина, «безоговорочное принятие юридических определений основных единиц или элементов криминологического исследования нарушает основной критерий науки»<sup>3</sup>. По его мнению, «ученый должен быть свободно определять явление в им самим избираемых терминах, основанных на органических свойствах исследуемого материала и обозначающих те его свойства, которые предполагаются имеющими универсальный характер»<sup>4</sup>.

Оппонентом Т. Селина выступает американский криминолог У. Таппен. Он считает, что единственной возможностью не потерять критерий различия преступников от непреступников является строгое следование нормам права, дающим такое разграничение. Автор не видит иного, такого же четкого критерия, применение которого было бы

<sup>1</sup> Цит. по Т. Селин. Социологический подход к изучению причин преступности. В сб. Социология преступности. М., 1966, с. 29.

<sup>2</sup> Там же, с. 30.

<sup>3</sup> Там же, с. 31.

<sup>4</sup> Там же.

более оправдано с криминологической точки зрения, хотя, возможно, правовой критерий и не является идеальным. «Какой бы желательной не представлялась концепция общественно-вредного поведения для выработки общего правила или абстрактного определения, она все же не определяет, что же именно является вредным. Она не устанавливает стандарта»<sup>5</sup>.

Полемизируя с авторами, которые считают, что осужденные преступники представляют собой случайную категорию, У. Таппен пишет, что социологу не следует забывать о том, что все стандарты, в соответствии с которыми устанавливаются социальные нормы, являются относительными, непостоянными, меняющимися, а также о том, что эти стандарты — во всяком случае, это относится к праву — не возникают на случайной или искусственной основе<sup>6</sup>. Указанный аргумент весьма веский и с ним можно согласиться, т. к. если верно, то, что не все социально вредные поступки становятся преступлениями, то верно и то, что право все же охватывает достаточно большой и в социальном отношении наиболее вредный массив человеческих поступков. Третьей точкой зрения на этот вопрос является концепция Э. Сатерленда, который считает, что необходимо не ограничивать изучение преступности, а включать в криминологическое изучение и иных лиц, хотя и нарушивших закон, однако не признанных судом в качестве уголовных преступников<sup>7</sup>.

Ввиду такой разноголосицы мнений в американской криминологии довольно распространена точка зрения на предмет криминологии, пределы которого все же формулируются шире рамок, установленных уголовным законом. Ввиду этого в американской криминологии весьма распространен взгляд, согласно которому интересы криминологии распространяются не только на преступления и даже не только на девиантное поведение (под которым понимается поведение, нарушающее нормы права, не являющиеся уголовными), но и на так называемое девиантное (отклоняющееся от социально приемлемых норм) поведение.

Свообразием подхода в американской криминологии характеризуется и концепция причин преступности. Имея под собой методологическую базу позитивизма, эта концепция стоит в стороне от детерминистической концепции материализма и, естественно, обходит молчанием, точнее, просто игнорирует вопросы ее исторического возникновения, связи с социально-экономическими условиями общества в их марксистской интерпретации, перспектив преодоления в будущем. Для американской и вообще для западной криминологии эти вопросы не представляются даже дискуссионными. По традиции, идущей еще от Э. Дюркгейма, преступность считается характерным, неотъемлемым общественным атрибутом, а задача ее изучения сводится к выявлению механизма ее функционирования с целью организации мер, направленных на сдерживание ее разрастания. Такая концепция преступности весьма вписывается в метод структурно-функционального анализа, посредством которого на западе происходит исследование общественной системы. Именно этот метод, вопреки его антиподу — диалектическому методу, концентрирует внимание ученых социологов на проблемах выживания общественной системы, посредством раскрытия меха-

5 У. Таппен. Кто такой преступник. В сб. Социология преступности, с. 62.

6 Там же.

7 Э. Сатерленд. Являются ли преступления людей в белых воротничках преступлениями? В сб. Социология преступности, с. 45.

низмов, способствующих или создающих угрозу равновесию отдельных социальных институтов, благодаря которым, происходит функционирование всей общественной системы.

Именно исходя из такой изначально поставленной задачи сохранения социальной системы путем выявления механизмов, угрожающих равновесию отдельных ее компонентов, в американской криминологии существует несколько теорий, претендующих на объяснение происхождения преступного поведения. К таким теориям следует отнести прежде всего теорию конфликта культур Т. Селина, теорию дифференцированной связи Э. Сатерленда и теорию аномии Р. Мэртона.

По мнению Т. Селина предметом криминологии должны стать не преступление и преступник, а нормы культуры, которые в результате существования в обществе различных групп представляют собой друг на друга похожие, а порой и прямо конкурирующие друг с другом нормы поведения. Как считает Т. Селин, по мере усложнения общественных отношений повышается наличие общественных образований с различной культурной спецификой, которая, в свою очередь, делает все более актуальным вопрос о конфликте культур как об источнике или причине преступного поведения. По его мнению, включение в предмет криминологии изучения неоднородных норм культуры, являющихся источником преступного или девиантного поведения позволит избежать при эмпирических исследованиях нестабильности и изменчивости объекта криминологии — поведения, запрещенного уголовным законом, на который весьма чувствительно влияет довольно субъективный по своей природе государственный фактор, непосредственно определяющий круг преступных<sup>8</sup> деяний. Такая позиция чрезмерно преувеличивает недоверие к законодателю, который, естественно, при формулировании норм уголовного закона учитывает не только свои узкогосударственные и правовые интересы, но и объективные потребности общества в криминализации социально-вредных деяний, и поэтому справедливо подвергается критике со стороны самих американских криминологов. В свою очередь, в американской криминологии считается, что несмотря на неверное обоснование аргументов в пользу рассмотрения криминологией конфликта культур; тем не менее этой проблеме в науке следует уделить определенное внимание, хотя и не за счет ликвидации подхода к изучению преступности, как нарушения норм уголовного закона<sup>9</sup>.

Одной из наиболее значительных теорий, претендующих на объяснение этиологии преступного поведения, признается в американской криминологии теория дифференцированной связи, автором которой является Е. Сатерленд. Согласно этой теории, преступное поведение усваивается во взаимодействии индивидов в период их общения. При взаимодействии у индивида происходит формирование предпочтительных оценок, которые впоследствии оказываются решающими при выборе преступного поведения. «Лицо, — пишет Е. Сатерленд, — становится делинквентом в результате преобладания у него оценок, благоприятствующих нарушению норм права над оценками, не благоприятствующими нарушения норм права»<sup>10</sup>.

<sup>8</sup> См. Т. Селин. Социологический подход к изучению причин преступности, с. 27—38; Конфликт норм поведения, с. 282—287, в сб.: Социология преступности, М., 1966.

<sup>9</sup> См.: У. Таппен. Цит. работа, с. 63.

<sup>10</sup> Цит. по ДДР. Кресси. Развитие теории. Теория дифференцированной связи, в сб.: Социология преступности, с. 91.

Некоторые авторы, критикуя данную теорию, считают, что она не охватывает всех случаев этиологии преступлений, т. к. не все, кто соприкасается с преступностью, впоследствии совершают преступления. между тем, как отмечает Д. Р. Крэсси, ими неправильно понимается сущность высказывания Е. Сатерленда. Термин, «дифференцированная связь», который вынесен в название данной теории, способен снять это недоразумение. Сущность этиологии преступления по Е. Сатерленду заключается в том, что связь с другими индивидами у лица, находящегося в общении, всегда дифференцирована в том смысле, что он одновременно является мишенью воздействия на него как норм, склоняющих его к совершению преступления, так и удерживающих от него. Поэтому преступление совершается лицом лишь в том случае, если оценки индивида, благоприятствующие нарушению с его стороны норм права, одерживают верх над оценками противоположного характера. «Человек, — отмечает Д. Р. Крэсси, — может научиться преступному образу поведения у лиц, которые сами преступниками не являются, и наоборот, научиться антипреступному образу поведения у хулиганов, профессиональных мошенников, привычных преступников и гангстеров»<sup>11</sup>. Ведь и указанные категории лиц, несмотря на фактический образ их жизни, способны оказать на личность прямо противоположное влияние. И действительно, есть немало примеров того, как преступники стремятся оградить близких им людей от своего отрицательного влияния. Вместе с тем, многие лица, воспитывающие своих детей в духе уважения законов, своим фактическим отношением к этическим и правовым нормам могут сформировать у них прямо противоположную направленность. На наш взгляд, основным недостатком данной теории, претендующей на общекриминологическую, является ее психологизм, что, по-видимому, необоснованно сводит криминологические проблемы этиологии преступного поведения к психологической проблеме. Поэтому обоснованными выглядят аргументы тех критиков, которые не находят в этой теории социологических моментов, объясняющих наличие у индивида тех или иных социальных связей, его включенности в те или иные социальные структуры<sup>12</sup>.

Одной из влиятельных криминологических, социально-ориентированных концепций преступного поведения является теория аномии Р. К. Мэртона. Формулирование теоретической основы своей социально-ориентированной теории концепции возникновения преступности, а точнее, ее воспроизведение в конкретном обществе обусловлено, по мнению Мэртона, тем, что, в объяснении преступного поведения упущен социальный аспект, «повинный» в обуславливании преступления. Как отмечает Р. Мэртон, «в социологической теории существует заметная и настойчивая тенденция относить неудовлетворительное функционирование социальной структуры, в первую очередь, на счет присущих человеку повелительных биологических влечений, которые недостаточно сдерживаются социальным контролем»<sup>13</sup>.

Автор отдает должное Э. Дюркгейму, который, как он считает, был первым, кто заметил, что преступник не относится к числу асоциальных элементов, не поддающихся ассилияции телом, введенным в общественный организм; он представляет собой обычный элемент со-

<sup>11</sup> Там же, с. 93.

<sup>12</sup> См.: Ш. Глюк. Теория и факт в криминологии. Критика теории дифференцированной связи, в сб.: Социология преступности, с. 106—113.

<sup>13</sup> Р. К. Мэртон. Социальная структура и аномия, в сб.: Социология преступности, с. 299.

циальной жизни<sup>14</sup>. Развивая взгляды Э. Дюркгейма о социальной сущности преступления, Р. Мэртон обращается к анализу социальной структуры. По его мнению, такая структура содержит в себе два элемента. Первый элемент — цели, намерения и интересы, определяемые данной культурой, которые представляют собой сферу субъективных устремлений. Мэртон не исключает, что некоторые из этих устремлений относимы к первичным влечениям человека, однако они не определяются ими. Второй момент социальной структуры включает регулирующие и контролирующие элементы социальной структуры, которые направлены на способы достижения этих целей. Как отмечает Р. Мэртон, такие социальные регулятивные нормы не обязательно совпадают с наиболее эффективными способами достижения желательных ценностей. Регулятивные социальные нормы или институциональные нормы по своей природе призваны ограничивать выбор с индивидуальной точки зрения подходящих средств для достижения субъективных целей. Исходя из такой постановки вопроса, автор считает, что отклоняющееся от институциональной нормы поведение может быть расценено как симптом несогласованности между определяемыми культурой устремлениями и социально-организованными средствами их удовлетворения<sup>15</sup>. Почему же возможно возникновение такой рассогласованности? По мнению автора, это происходит в результате того, что культура придает преувеличенное значение цели достижения успеха. Какова же цель, которую культивирует данное общество таким образом, что она начинает нарушать равновесие между целями культуры и институциональными нормами общества? Таковой автор считает финансовый успех. «Чрезвычайное значение, придаваемое в нашем обществе накоплению богатства, в качестве символа успеха, — пишет автор, — препятствует установлению полностью эффективного контроля над использованием институционно урегулированных способов приобретения состояния»<sup>16</sup>. Автор не оставляет без внимания и вопрос о том, почему люди так сильно ориентируемые на цели, выбирают именно антиинституционные способы их достижения. По его мнению, возможность достижения культурно одобряемых, престижных целей в рамках законной деятельности для многих людей не является реальной в силу недостаточного образования или отсутствия достаточных материальных средств. Поэтому в таких социальных группах этот тип поведения признается неэффективным, а его место занимают способы, хотя и незаконные, но достаточно эффективные для достижения цели.

Вместе с тем, автором отмечается отрицательная тенденция в возможностях вертикальной мобильности, которые, по свидетельству ряда исследователей, по мере развития общества все более суживаются. А это обстоятельство весьма коррелирует с ростом преступности.

Исходя из концепции Р. Мэртона, вполне заслуживает внимания, на наш взгляд, гипотеза относительно существования определенной зависимости между, с одной стороны, глубиной несоответствия одобряемых культурой целей, ориентированных на финансовый успех ее представителей, и возможностями общества институциональными средствами обеспечить их удовлетворение, а, с другой стороны, ростом преступности.

В целом концепция Р. Мэртона, на наш взгляд, является весьма плодотворной и во многом оригинальной, т. к. она указывает логиче-

<sup>14</sup> Там же с. 299.

<sup>15</sup> Там же с. 302.

<sup>16</sup> Там же с. 304.

3. „ବ୍ୟାକ୍ସନ୍ ଏ“। ପ୍ରକାଶନାଳୋ 1993 Nେ

ское продолжение факторным исследованиям преступности, которым очень сильно не хватает общей теоретической концепции, в результате отсутствия которой все эмпирические исследования, имеют лишь локальное значение, либо формируют лишь описательную картину преступности. Вместе с тем, указанная теоретическая концепция Р. Мэртона, к сожалению, недостаточно глубоко разработана, в результате чего она нуждается в дальнейшем своем углублении к чему кстати призывал и сам автор. К сожалению, его призывы остались не услышанными, и, возможно, это произошло в результате того, что углубление теоретического поиска могло вывести исследователей на весьма нежелательный в идеологическом отношении уровень критики общественно-экономической системы, порождающей такие культурные ориентиры.

Рассмотренные теоретические концепции американской криминологии позволяют оценить возможности, которые были достигнуты ею на протяжении ее не столь длительного исторического развития. И хотя эти возможности не оказываются весьма значительными, однако новизна науки и ее трудность на данном этапе ее развития вряд ли позволяет ожидать большего, но тем не менее для грузинской криминологии, делающей свои первые шаги, будет интересно и полезно ознакомиться с тем, как эти проблемы разработаны в наиболее развитой социально-экономически стране.

წარმოადგინა საქართველოს ჩესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელ-  
მწიფოსა და სამართლის ინტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილებაში

## სტუდენტთა და პრაქტიკონს იურისტთა დასახმარებლად

† თავაზ შავგულიძე

აუცილებელი მოგერიება

ეს ამბავი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. საქართველოს ერთ-ერთ მთიან რაიონში ზაურბეგ ონიანმა თოფით მოკლა თანასოფლელი მგელიყა ჭინჭარაული<sup>1</sup>.

რა იყო ჭინჭარაულის მიზეზი?

მგელიყა ჭინჭარაულმა და ზაურბეგის მამამ — 65 წლის მოხუცმა ქიტესამ — ცხვარი ერთად გალალეს. ზაურბეგიც ხშირად ადიოდა მთაში და მოხუც მამას ეხმარებოდა. ცუდი შემოღვიმა დადგა. ოცდახუთი ცხვარი დაეცა — ოცი ჭინჭარაულის და ხუთი ქიტესასი.

ჭინჭარაულმა ქიტესას ოცი ცხვარი მიითვისა, თან, რატომლაც, თხაც ჰედ მიაყოლა — თუ ზარალია, ბარემ სულ შენ იზარალეო. ქიტესა ევედრა, ღანაკლისი შეაზე გაეყოთ, მაგრამ ჭინჭარაულმა ყურიც არ გაიბერტყა. ყველაფერ სიკეთესთან ერთად მოხუცი მიბეგვა და მთაში მარტო მიატოვა.

საგზლით ამოსულ ზაურბეგს მამა ნაცემი და გაძარცული დახვდა. მამა შვილმა გადაწყვეტეს ჭინჭარაულს დადევნებოდნენ და საკუთარი ცხვარი დაებრუნებინათ. საღამო ხანს მიეწივნენ კიდეც. ქიტესა მიუახლოვდა ჭინჭარაულს და სთხოვა წართმეულ ცხვარზე ხელი ედო, ზაურბეგი მოშორებით დადგა. ჭინჭარაულმა ოხვინის პასუხად მოხუცი ქვეშ მოიგდო და დანა ჩასცა. ზაურბეგმა შესაშინებლად თოფი დასცალა. ჭინჭარაული წამოხტა და დანამომარჩვებული გაიჭრა მისკენ, მაგრამ ამდენი აღარ აცალეს — ზაურბეგმა კვლავ გაისროლა. მეორე გასროლამ ჭინჭარაული იმსხვერპლა. ქიტესაც მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ სიკვდილს გადაუჩა.

ისმის რამდენიმე კითხვა: ჰქონდა თუ არა უფლება ზაურბეგს მოექლა ჭინჭარაული? იქნებ ცხვრის დაბრუნება სასამართლოს მეშვეობით უნდა ეცადა? ან, იქნებ უფრო სწორი იქნებოდა დანამოლერებულ თავდამსხმელს გაქცევიდა? და, საერთოდ, აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად დააშავოს ან მოკლას მოძალადე?

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნათელ და გადაჭრილ პასუხს იძლევა ბოლო კითხვაზე — დიახ, აქვს უფლება. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში საგანგებო მუხლია შეტანილი, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოქალაქეს უფლება აქვს სახელმწიფო, საზოგადოებ-

<sup>1</sup> ეს და სხვა მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდანაა მოტანილი, შეცვლილია მხოლოდ ესარჩივი და სახელი.

რივი, საკუთარი ან სხვისი ინტერესების დაცვისას ზიანი მიაყენოს მოძალადეს. ეს მისი მოქალაქეობრივი ვალიც არის. ამ უფლებას იურისტები აუცილებელი მოგერიების უფლებას უწოდებენ.

აუცილებელი მოგერიების უფლება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა, მოქალაქის უფლებათა დაცვის ერთგვარი გარანტია. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომზდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შედეგად, როდესაც, ერთი მხრივ, აღვილი აქვს მოქალაქის უფლებების გაფართოებას, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ კი, მართლწესრიგის შესუსტებას, მოქალაქის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების ხელყოფის რეალური საფრთხის განუზომელ გაზრდას.

ჩვენი საუბრის მიზანია ავხსნათ აუცილებელი მოგერიების უფლების შინაარსი. ეს მოქალაქეების საშუალებას მისცემს გაარკვიოს, რისი უფლება აქვს და რისი — არა. ცხადად უნდა დადგინდეს ის საზღვრები, რაც მან აუცილებელი მოგერიებისას უნდა დაიცვას.

### რა არის აუცილებელი მოგარიბება?

1. კანონი სჯის მოქალაქეს, თუ იგი ვინმეს დააშავებს, მოკლავს, განზრახ გაუნადგურებს ქონებას და ა. შ. მაგრამ ისიც შეიძლება მოხდეს, რომ კაცმა სხვა მოკლას ან დააზიანოს და კანონის წინაშე პასუხი არ აგოს. უფრო მეტიც, ასეთი ქცევა ხანდახან საზოგადოებისათვის საზიანოდ არც კი ითვლება. ასეთ შემთხვევებს იურისტები საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველ გარემოებებს უწოდებენ.

აუცილებელი მოგერიება სწორედ საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებაა. თუ აუცილებელი მოგერიებისას მოქალაქე მოკლავს ან დააშავებს სხვას, იგი კანონის წინაშე პასუხს არ აგებს.

2. აუცილებელი მოგერიება მოქალაქეს უფლებას ანიჭებს საკუთარი, სხვისი ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისას დააზიანოს მოძალადე.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში წერია: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, სახელმწიფოს ინტერესების, საზოგადოებრივი ინტერესების, მომგერიებლის ან სხვა პირის პიროვნებისა თუ უფლებების დაცვისას საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან, ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით. თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.“

კანონი უფლებას აძლევს მოქალაქეს მოგერიებისას მოძალადე დააზიანოს, მაგრამ ყოველთვის არა. გარკვეული პირობების დაცვა აქაც არის საჭირო. თუ მომგერიებელი ამ პირობებს არ დაიცავს, მაშინ მისი მოქმედება მართლზომიერი აღარ იქნება. ეს კი ბევრ რამეს შეცვლის — სხვის მავივრად იგი საკუთარ თავს იხილავს საბრალდებო სკამზე.

პირობებს, რომელიც უნდა დაიცვას მომგერიებელმა, იურისტები აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებს უწოდებენ. ნაწილი ამ პირობებისა განეკუთვნება თავდასხმას, ნაწილი კი თვით მოგერიებას.

როგორი თავდასხმა წარმოშობს აუცილებელი მოგერიების უფლებას?

1. კანონი არ სჭის მოქალაქეებს, თუ იგი იძულებულია მოგერიების დროს დააზიანოს მოძალადე. მაგრამ ამგვარი აუცილებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოძალადე თავს ესხმის რაიმე სიკეთეს. ყველა თავდასხმა ხომ ერთნაირი არ არის? ამიტომ, თავდასხმის ხასიათი განსაზღვრავს უპირველეს ყოვლისა იმას, აქვს თუ არა მოქალაქეს აუცილებელი მოგერიების უფლება.

95 წლის მოხუცი ვანო გაბლიანი ვაჟიშვილთან, რძალთან და პატარა შვილშვილთან ერთად სოხუმიდან კელასურში მიღიოდა. გზაზე, საკმაოდ უკაცრიელ ადგილას, მათ სამი ქადაგი კირვების შემოხვდა. ქმები მოვრალები უყნენ და უმიზუხოდ აუხირდნენ გაბლიანის ვაჟს — ემზარ გაბლიანს. წაკანკლავდნენ. სანდრო კირვალიძემ ემზარს თავში ჩაქუჩი ჩარტყა. ემზარმა გონება დაკარგა. მოხუცი მამა შვილს მიეშველა. სანდრო კირვალიძემ ახლა მამა მოიქცია ქვეშ და ის იყო ჩაქუჩის ჩარტყამას უპირებდა, რომ მოხუცმა იმარჩვა და თავდასხმელს ბარძაყში ჭაყვა გაუყარა. სანდრო კირვალიძემ ბევრი სისხლი დაკარგა და გარდაიცვალა.

თავდასხმა საზოგადოებრივად საშიში იყო და ამიტომ მოხუცს აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდა.

ა. ასეთი თავდასხმა წარმოშობს აუცილებელი მოგერიების უფლებას. თავდასხმა საზოგადოებრივად საშიშია, თუ ის საფრთხეს უქმნის ვინმეს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ცტერექსებს და სხვ.

მაგრამ არის მართლზომიერი თავდასხმაც. მაგალითად, თუ მილიციელი ან სხვა მოქალაქე შესაბყრობად თავს ესხმის დამნაშავეს, დამნაშავეს არა აქვს უფლება დააზიანოს ასეთი „თავდასხმელი“.

მართალია, აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში თავდასხმისას წარმოშვება, მაგრამ ყოველგვარი საზოგადოებრივად საშიში თავდასხმა არ ქმნის აუცილებელი მოგერიების უფლებას.

მაგალითა სასამართლო პრაქტიკიდან: ებრალიძემ უნებართვოდ აიშენა ეზოში სათავსო. მისმა სათავსომ მეზობელს ოთახი დაუბნელა. მეზობელმა — სოხაძემ სთხოვა მას, ერთი წყება აგურით მაინც დაედაბლებინა სათავსო, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ სოხაძემ თვითონ დაიწყო სათავსოს დადაბლება. ებრალიძემ სანადირო თოფი ორჯერ ესროლა მას და ტყვია მკერდსა და სახეში მოარტყა.

სოხაძე მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევაში ებრალიძე თითქოს საკუთარ ქონებას იცავდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში ებრალიძის საქციელი აუცილებელ მოგერიებად არ მიიჩნია, რადგან უკანონოდ აგებული სათავსოს ამგვარი ხელყოფა უმნიშვნელოდ ჩათვალი.

ამრიგად, თავდასხმა შეიძლება საზოგადოებრივად საშიში იყოს, მაგრამ აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს კაცს, თუ თავდასხმა მდენად საშიშია, რომ იგი საფრთხეს უქმნის ვინმეს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვა რაიმე მნიშვნელოვან სიკეთეს.

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „შემთხვევა ბაქაზე“ წერილის ავტორი მოგვითხრობდა ერთ საბედისწერო შემთხვევას,

რომელიც სადგურის ბაქანზე მოხდა. ღამით ინუინერი ბეზგაჩოვი საცოლესთან ერთად (პახომოვა) ბაქანზე იდგა და მატარებელს ელოდა. მათ აეკვიატა, მთვრალი ელიანი. იგი ხელებს უფათურებდა პახომოვას, ცდილობდა მოხვეოდა. ბეზგაჩოვი მის დაშოშმინებას შეეცადა, პაპიროსიც კი სთხოვა. ელიანმა მიაწოდა პაპიროსი, მაგრამ მაინც არ დაშოშმინდა. ბოლოსდაბოლოს ბეზგაჩოვმა ხელი ჰქონდა სულიგანს. ელიანმა თავი ვერ შეიმაგრა, ბეტონის ქიბეზე ისე დაეცა, რომ გარდაიცვალა. ხელის კვრის შედეგი მოულოდნელი და მძიმე აღმოჩნდა. ბეზგაჩოვს, რა თქმა უნდა, მოძალადის მოკვლა არ სურდა. ვინ იფიქრებდა ხელის კვრით კაცის მოკვლას, ელიანი მთვრალი რომ არ ყოფილიყო აღბათ, არ დაეცემოდა, ან თუ დაეცემოდა, კისერს მაინც არ მოიტეხდა.

ელიანს თავდასხმა იმდენად საზოგადოებრივად საშიში არ იყო, რომ ვინმეს სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. მისი საქციელი მხოლოდ წვრილმან ხულიგნობად თუ ჩაითვლებოდა. ამიტომ, ბეზგაჩოვს თითქოს არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების უფლება. მაგრამ რა უნდა ექნა მასი! ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კაცმა საცოლე ვეღარ დაიცვას ხულიგნისაგან! ხომ ვერ დაელოდებოდა, როდის გადაიზრდებოდა ელიანის წვრილმანი ხულიგნობა საზოგადოებრივად საშიშ თავდასხმად, რომ შემდეგ შებმოდა! რა თქმა უნდა, მას შეეძლო ხელი მოეკიდა საცოლისათვის და გაქცეულიყო, ან ხვეწნა დაეწყო ელიანისათვის, დახსნოდა. შეეძლო, მაგრამ რომელი თავმომწონე კაცი იზამს ამას, თუ კი ხელის კვრით შეიძლება ხულიგნის მოცილება. ბეზგაჩოვმა ხომ არ იცოდა, რომ ხელის კვრით მოკლავდა მას?

„ჩვენ ეშირად გავჭცევივართ ხულიგანს, — განაცხადა საზოგადოებრივმა დამცველმა ბეზგაჩოვის სასამართლო პროცესზე, — მაგრამ ამით ხულიგნების რიცხვი არ შემცირდა. ხულიგნების წინააღმდეგ საჭიროა არა სიმხდალე, არამედ გაბერულება და შეტევა... ბეზგაჩოვს დანაშაული არ ჩაუდენია. საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების დამრღვევ ლოთებს და ხულიგნებს, „სპორტული ინტერესისათვის“ რომ ეტორლიალებიან ხალხს, საკადრიის პასუხი უნდა გავცეთ. ეს არის ჩვენი აზრი!“. მოქალაქეს კი არ უნდა ეშინოდეს ხულიგნის, პირიქით, ხულიგანს უნდა ეშინოდეს მისი, მაგრამ თუ კაცს თავდაცვის უფლება არ ექნა, იგი დამნაშავის წინაშე სრულიად განიარაღდება.

თავისთავად ცხადია, თუ მოქმედება არავის არ უქმნის საფრთხეს, აუცილებელი მოგერიების საჭიროება არც აღმოცენდება.

ქ. ფოთში, ღამით, მოქალაქე სამანიშვილმა საკუთარ სარდაფში შეუსწრო ვექტოროვას და ნაჯახის დარტყმით მძიმედ დააშავა. ფოთის სახალხო სასამართლომ სამანიშვილი გაამართლა. მისი საქციელი აუცილებელ მოგერიებად ჩათვალი. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა სახალხო სასამართლოს მოსაზრება. კოლეგიის აზრით, სამანიშვილს არ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების უფლება. მას თავს არავინ ესხმოდა. ვიქტოროვა მის სარდაფში საჭიროებისათვის შევიდა და არა ავი განზრახვით.

მოგერიება დაუშვებელია თვით აუცილებელი მოგერიებისას. ამ თითქოს ბუნდოვან აზრს მაგალითით განვითარება.

მთვრალი ეგოროვი სასადილოდან გააძევეს. ამით განაწყენებულმა ბინილან ნაჯახი მოიტანა და სასადილოში მყოფთ დაერია. ხალხის დასაცავად

წითელარმიელმა სემიონოვმა მას ხელები გაუკავა. ეგოროვი გაუსხლტა და მას ნაჯახი დაჰყრა, სემიონოვი მძიმედ დაშავდა.

სასამართლომ ეგოროვს ბრალად დასდო ხულიგნობა და კაცის მძიმედ დაშავება. პროკურორმა განაჩენი იმ მოტივით გააპროტესტა, თითქოს ეგოროვი სემიონოვის თავდასხმას იგერიებდა და ამიტომ, აუცილებელი მოგერიების უფლებას ანხორციელებდა. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა პროტესტი. მან განმარტა, რომ ეგოროვი თვით ესხმოდა თავს სხვებს, ხოლო სემიონოვი მისგან იცავდა ხალხს, ე. ი. სემიონოვს აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდა და მისი დაშავება კანონსაწინააღმდეგო საქციელი იყო.

თუ დამნაშავეს „თავს ესხმიან“ შეპყრობის მიზნით, მას ამ დროს კანონით არა აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება.

მიშკინი მუშათა საერთო საცხოვრებელში შევიდა. მან თავი მიღიცის თანამშრომლად გაასალა და ფოსტის გამგეს ფედორენკოს საბუთები მოსთხოვა. როდესაც ფედორენკომ საპასუხოდ თვით მოსთხოვა საბუთი, იგი სწრაფად გაეცალა იქაურობას. მისმა საქციელმა ფედორენკო დააჭვა. მან თანამშრომელ სოროკინს და იქვე მყოფ მუშებს დაავალა უცნობის ვინაობა დაედგინათ. მდევრები მიშკინს მიუახლოვდნენ. მიშკინმა ორჯერ გაისროლა ნაგანი და გაიჭირა. მუშები დაედევნენ. მიშკინმა მესამედაც ისროლა და სოროკინი მოკლა.

სახალხო სასამართლომ მიშკინის მოქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩათვალა. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა საქმის ამგვარ გადაწყვეტის. მან განმარტა, რომ მიშკინმა კი არ გადაამეტა აუცილებელი მოგერიების უფლებებს, არამედ მას საერთოდ არ ჰქონდა მოგერიების უფლება, რადგან სოროკინს და მის ამხანაგებს სურდათ შეეპყროთ მიშკინი მისი ვინაობის დადგენის მიზნით (შემდეგ გაირკვა, რომ მიშკინი სისხლის სამართლის დამნაშავე იყო).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქალაქეს აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს, როცა თავდამსხმელი საფრთხეში აგდებს ვინმეს სიცოცხლეს, განმრთელობას, საკუთრებას, სახელმწიფო ონ საზოგადოებრივ ინტერესებს და სხვ. ჩევეულებრივად თავდამსხმელი დამნაშავეა, სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელი მოგერიება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა. ამავე დროს ისიც შეიძლება მოხდეს, რომ თავდასხმა საზოგადოებრივად საშიში იყოს, საფრთხეს უქმნიდეს იღამიანის სიცოცხლეს ან მნიშვნელოვან ქონებას, მაგრამ თავდამსხმელი დამნაშავე მაინც არ იყოს.

ეს მაშინაა, როცა თავდამსხმელი სულით ავადმყოფია. მას არ შეუძლია თავისი ქცევა ნებისმიერად წარმართოს, ანგარიში გაუწიოს მას. ამიტომ იგი კანონის წინაშე პასუხს არ აგებს.

იბალება კითხვა: თუკი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისათვის კანონი სულით ავადმყოფს არ სჭის, აქვს თუ არა მოქალაქეს უფლება მოგერიებისას დაშავოს ან მოკლას იგი? უფრო ზუსტად, აქვს თუ არა კაცს უფლება სულით ავადმყოფის წინააღმდეგაც გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება?

რა თქმა უნდა, აქვს!

აუცილებელი მოგერიება სამართლებრივი ინტერესების დაცვის საშუალებაა. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებას თავდასხმის ობიექტური საშიშროება განაპირობებს და არა თავდამსხმელის სულიერი მდგომარეობა. განა სულ ერთი არ არის, ვინ მოგვლავთ — დამაშავე თუ სულით ავადმყოფი? გინდაც წინასწარ იყოს ცნობილი თავდამსხმელის ავადმყოფობა, კანონი ვერავის ვერ შეზღუდავს თავი დაიცვას და მოძალადე მოიგერიოს.

2. აუცილებელი მოგერიების უფლება მოქალაქეს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი უშუალო საფრთხის პირს დგას. თუ თავდასხმა მომავალშია მოსალოდნელი, ან უკვე შეწყდა, დასაცავიც ალარაფერი იქნება და „თავდასხმელის“ დაშავება დაცვის საშუალებად აღარ გამოდგება. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მომგერიებელი მშვიდად უნდა ელოდოს პირველ დარტყმას. ეს მოსწრებულად გამოხატა პეტრე პირველმა „სამხედრო არტიკულებში“ — თავდამცველი არ უნდა ელოდოს პირველ დარტყმას, თორემ შეიძლება ისეთი მოხვდეს წინააღმდეგობის თავიც აღარ ექნესო.

ამის ნათელსაყოფად მოვიყავნოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. მოსი ინვალიდი ივანოვი, რომელსაც მოქვეთილი ჰქონდა ორივე ფეხი, ექვსი თვე მკურნალობდა თბილისის ჰოსპიტალში, შინ არ ყოფნისას მის ბინაში მდგმურად დადგა ტოლიაშვილი. მალე ტოლიაშვილსა და ივანოვის ცოლს შორის ინტიმური კავშირი გაიბა. შინ დაბრუნებულმა ივანოვმა გაიგო ეს და ტოლიაშვილი დაითხოვა. მაგრამ იგი მაინც არ ასვენებდა ივანოვების ოჯახს. მთვრლი მიდიოდა ხოლმე მათთან, ტეხდა აურჩაურს, სთხოვდა ივანოვის ცოლს არ გაწყვეტა მასთან კავშირი. ივანოვმა მილიციას მიმართა ტოლიაშვილს ხელწერილი ჩამოართვეს. ივანოვმა კი სანადირო თოფი შეიძინა და შეუთვალა ტოლიაშვილს, რომ თუ კიდევ მივიღოდა მათთან, თოფით დაწვდებოდა. ტოლიაშვილმა მაინც არ დაიშალა თავისი და ისევ მთვრალი მივიღა. კარი არ გაუდეს. მოძალადემ კარი შეამტკვრია. მას ივანოვის ცოლი გადაუდგა წინ. ტოლიაშვილი მას ყელში წასწვდა. ივანოვმა შესაშინებლად ჰერში გაისროლა, ტოლიაშვილი ქალს დაეხსნა და ივანოვს შესძახა: სროლაც არ გცოდნია, შე გლახა, გიჩენებ, როგორ უნდა სროლაო. ოთახში შესვლა დააპირა. სწორედ მაშინ, როდესაც ტოლიაშვილი კარში იყო გახირული, ივანოვმა ხელმეორედ ესროლა და მოკლა.

ჰქონდა თუ არა ივანოვს ტოლიაშვილის მოკვლის უფლება? საერთოდ კი არა, არამედ იმ დროს, იმ ვითარებაში?

ივანოვს იმ დროს ტოლიაშვილის მოკვლის უფლება ჰქონდა, რადგან იგი რეალურ, საზოგადოებრივად საშიშ თავდასხმას იგერიებდა, მისი საქციელი მართლზომიერი იყო. თუმცა ტოლიაშვილი კარში იყო გახირული, მაგრამ მომგერიებელი საფრთხის წინაშე იდგა და დაგვიანება შეიძლება მისთვის საბედისწერო გამხდარიყო.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა თავდასხმის შეწყვეტასთან ერთად წყდება. თავდასხმის შეწყვეტა შეიძლება სხვადასხვა რამემ გამოიწვიოს:

1. მომგერიებლის წინააღმდეგობამ,
2. სხვა პირის ჩარევამ,
3. თვით მოძალადის სურვილმა — შეწყვიტოს თავდასხმა.
4. მიზნის მიღწევამ (მოძალადემ უკვე მოკლა ვინმე, ან გაანადგურა მისი ქონება...).

თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ კაცს აღარ აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება. ამის განსამარტივად კიდევ მოვიტან მაგალითს სასამართლო პრაქტიკიდან.

სოფ. წინამძღვრიანთკარში ბებიაშვილი დანით ხელში მოსაკლავად დაე-დევნა ღარიბაშვილს. ღარიბაშვილმა მოახერხა თავდამსხმელისათვის დანა წა-ერთმია. ბებიაშვილმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და სთხოვა დახსნოდა, მაგრამ ღარიბაშვილმა დანის ამდენიმე დარტყმით მოკლა იყო.

სასამართლომ ღარიბაშვილის მოქმედება განზრას მკვლელობად მიიჩნია, ვინაიდან მან მაშინ ჩასცა დანა მსხვერპლს, როდესაც თავდასხმა უკვე შე-წყვეტილი იყო.

3. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის აღმოცენებისათვის საჭი-როა, რომ თავდასხმა რეალური იყოს და არა მოჩვენებით.

ისეც ხდება, ზოგჯერ კაცს ეჩვენება, რომ იცავს თავს ან სხვა რაიმე სი-კეთეს და „თავდამსხმელს“ აზიანებს, მაგრამ „თავდასხმა“ რეალურად არ ასებიობს. ასეთ მოგერიებას იურისტები „მოჩვენებით მოგერიებას“ უწო-დებენ.

აი, ამგვარი „მოგერიების“ მაგალითი.

ეს თბილისის გარეუბანში მოხდა: ღამის ათ საათზე დათუნაშვილმა თავის ეზოში ვილაც უცნობი შენიშნა. იგი ძალთან ჩაცუცქეულიყო. დათუნაშვილი ჟეშინდა, უცნობი ყაჩალი ეგონა, — ჯერ ძალს მომიჯლავს და შემდეგ მეც მომიღებს ბოლოს. ბინიდან დანა გამოიტანა, უცნობს მიეპარა და ბეჭედში ჩასცა. უცნობი მძიმედ დაშავდა. ბოლოს გამოირკვა, ის კაცი მთვრალი ყო-ფილა, ეზოში უმიზნოდ შესულიყო და ძალს ეფერებოდა.

ასეთი მოქმედება, რა თქმა უნდა, აუცილებელი მოგერიება არ არის, ასეთ შემთხვევაში დამნაშავე ისჭება.

სხვაგვარადაც ხდება ხოლმე. თავდასხმა შეიძლება მოჩვენებითი იყოს, მაგრამ იგი ისე ჰგავდეს ნამდვილს, რომ მომგერიებელს პასუხს ვერ მოვთხოვთ. ასეთ დროს კაცი შეიძლება სწორად ვერ გაერკვეს ვითარებაში და შეცდომა დაუშვას.

სოფელში ზედიზედ მოხდა რამდენიმე ქურდობა. ზარანდიას ბინაც გა-ქურდეს. ზარანდია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეუთანხმდა და მეზობელ-თან ერთად ღამით ქურდებს ჩაუსაფრდა. შუალიმისას ორლობებში მართლაც გამოჩნდა ოთხი მამაკაცი. ისინი საეჭვოდ იქცეოდნენ: ჩუმად მიღიოდნენ, ჩურდებოდნენ, ეზოებში იხედებოდნენ. ზარანდიას სახლს რომ მიუახლოვდნენ, ერთი მათგანი დაწინაურდა და ზარანდიას ჭიშკრისაკენ გაემართა. „სდექ! ხელები მაღლა“, — შესძახა შეშინებულმა ზარანდიამ. უცნობმა პატი ნა-განი ისროლა. ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ზარანდია, რომ მას ყაჩალები დაესხნენ თავს, და თავდასაცავად თოფი ესროლა. უცნობი გარდაიცვალა. ბოლოს გამოირკვა, რომ უცნობები მილიციის მუშაკები იყვნენ. ისინი სწო-რედ ქურდებს ეძებდნენ.

ზარანდიამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მან მილიციის თანამშრო-მელი მოკლა, თუმცა, სინამდვილეში, თავს არავინ დასხმია. მოგერიება მო-ჩვენებითი იყო.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზარანდია პასუხის-გებისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მან აუცილებელი მო-გერიების უფლება გამოიყენა, არამედ იმიტომ, რომ უნებური შეცდომა მოუ-ვიდა. მართლაც, იგი ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მას არ შეეძლო მეტი წინდახედულობა გამოეჩინა.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს კანონი აუცილებლად მიიჩნევს, რომ მომგერიებელმა ზუსტად იცოდეს მოძალადის ვინაობა და მისი მიზანი.

მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მამედოვი კოლმეურნეობის ბოსტანს იცავდა. მძინარეს შუალიმით ხმაური შემოესმა. მან უეცრად წინ აღმართული ლანდი დაინახა, შეშინდა და ფეხებში ტყვია ესროლა. დაშავებული იუსუბოვი თურმე ტომრით მოსულიყო კარტოფილის მოსაპარავად. მამედოვმა აუცილებელი მოგერიების უფლებით ისარგებლა, თუმცა, წესიერად არც იყო გარგვეული — მას ესხმოდნენ თავს თუ საკოლმეურნეო ქონებას.

### რა შეიძლება დაიცვას მომგერიებისა

მომგერიებელმა, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დაიცვას სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, საკუთრება და სხვ. მოქალაქემ აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების დროს შეიძლება დაიცვას ყველაფერი, რასაც საერთოდ იცავს სისხლის სამართლის კანონი. მაგრამ შეიძლება თუ არა აუცილებელი მოგერიების გზით დაცულ იქნეს პატივი და ღირსება?

სოფელ მაიაკოვსკი სარიძემ უშვერი სიტყვებით აგინა ლევანიძეს. სცემა კიდევ. შემდეგ ეზოში შეჰყვა და გინებით აიკლო. ლევანიძემ ბინიდან სანადირო თოფი გამოიტანა და სარიძეს ესროლა, მომხდური მძიმედ დაშავდა.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ლევანიძეს აუცილებელი მოგერიების უფლება არ ჰქონდა. იგი დასაჯეს.

ახლა მეორე მაგალითს მოვიტან. ღამით პეტრიაშვილი ცოლთან ერთად შინ ბრუნვებოდა. ქუჩაში სამი მთვრალი იყდევნა. ერთი წინ გადაუდგა და ცოლის დათმობა მოსთხოვა, თან, ქალს კერძოზე ხელი მოუფათურა. პეტრიაშვილმა ჯიბადან გასაღები ამოილო და ხულიგანს თავში ჩაჰკრა. მოძალადე მძიმედ დაშავდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პეტრიაშვილს აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდა. ივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლეს.

მოტანილ მაგალითებში მოქალაქე თავის ან ახლობლის ღირსებას იცავდა. ორავე შემთხვევაში მომგერიებელმა მძიმედ დააშავა თავდამსხმელი. სასამართლომ ერთი მათგანი დასაჭა, მეორე კი — არა. რატომ მოხდა ასე?

მთავარი ის კი არ არის, რას ხელჭყოფს თავდამსხმელი, არამედ ის, რაფორმით სჩადის ამას. თუ კაცი მხოლოდ ლანძღვა-გინებით იფარვლება, მის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიება დაუშვებელია. ხოლო, თუ ღირსების შელახვა ძალადობაში გამოიხატება, მაშინ, რასაკვირველია, აუცილებელი მოგერიების უფლება ყველას აქვს.

ცრუ ჩენენების მცცემა, აღმიმენტის გადახდისაგან ბოროტად თავის არიდება, გადასახლებულის თვითნებურად დაბრუნება და სხვ. ისეთი დანაშაულია, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება არ შეიძლება. ამ დროს არ არსებობს თავდასხმის უშუალო საგანი და არც ის უშუალო მატერიალური შედეგი, რაც დანაშაულებრივა მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს.

ამგვარად, აუცილებელი მოგერიების გზით შეიძლება დაცული იქნეს ყოველგვარი ინტერესი, რასაც იცავს სისხლის სამართლის კანონი. მაგრამ ამ ინტერესზე მიმართული ყოველგვარი თავდასხმა ვერ გამართლებს აუცი-

ლებელი მოგერიების უფლების გამოყენებას. აუცილებელი მოგერიება და-საშებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდსაც თავდასხმა სამართლით დაცულ ინტერესს უქმნის ფიზიკური ან მატერიალური ზიანის მიყენების რეალურ და უშუალო საფრთხეს. საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა, რომლის დროს არ დგება საკითხი უშუალო და რეალური ფიზიკური ან მატერიალური ზია-ნის მიყენების შესახებ, როგორც წესი, აუცილებელი მოგერიების უფლებას არ წარმოშობს.

ვისი ინტერესზე ჯეიძლება დაიცვას მოგერიებისა?

უცხოური სისხლის სამართლის კანონმდებლობა აუცილებელი მოგერიე-ბის უფლებას მეტწილად საკუთარი და ახლობლის ინტერესების დაცვას უკავ-შირებს.

საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებ-ლობა პრინციპულად წინააღმდეგია საკითხის ამგვარი გადაწყვეტისა.

მართლაც, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებიდან და მოვალეო-ბებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მოგერიებლის ან მისი ახლობლის ინტერესებით.

სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ყოველი ადამიანის ზეობრივი ვალია. სწორედ ამიტომ საქართველოს რეს-პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი მართლზომიერად აცხადებს მოგერიებას, თუ მოგერიებელი სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სა-კუთარ ან სხვის სიკეთეს იცავს.

ამგვარად, მომგერიებელმა თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების გზით შეიძლება დაიცვას როგორც საკუთარი, ისე სხვა მოქალაქის ინტერესი, აგრე-ოვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები.

ბეგიაშვილი, ჯავახია და მინდორაშვილი მეზობლად ცხოვრობდნენ. ერთ-ხელ ერთად ისადილეს. ჯავახია და მინდორაშვილი არყით დათვრჩნენ. საღილის შემდეგ ერთმანეთს წაეკიდნენ და კინკლაობისას საწოლზე დაეცნენ. ამაზე ჯავახია რატომღაც განაწყენდა და ახლა ბეგიაშვილს ჰკრა ხელი. ბეგიაშვილი მოერადა მას, თავის ოთახში შევიდა და ჩაიკეტა. ჯავახიამ ხორცის საკეპი ცული აიღო, ბეგიაშვილის ოთახის კარის მინა ჩამტვრია და ძახილით — უნდა აგქეხოო, შიგ შეიჭრა. ბეგიაშვილმა დაასწრო, მაგიდიდან დანა აიღო და მომხდურს მკერდში ჩასცა. ჯავახია მძიმედ დაშავდა.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სა-სამართლო კოლეგიამ ბეგიაშვილი გაამართლა. მან საკუთარი თავის გადასარ-ჩენად აუცილებელი მოგერიების უფლება გამოიყენა.

მეორე მაგალითსაც მოვიყენოთ: ხულოს რაიონში მცხოვრებ დოლიძეს ტყის პირას ქალის კივილი შემოესმა. ტყეში შესულმა დაინახა, რომ ვიღაც მამაკაცი ქალის გაუპატიურებას ცდილობდა, დოლიძემ ქვეს ხელი წამოავლო და მოძალადეს თავში ჩასცო. მოძალადე მძიმედ დაშავდა.

დოლიძემ უცხო ქალის ხელშეუხებლობა დაიცვა. ისიც გაამართლეს.

ღვინის ერთ-ერთ ქაჩანაში ღვინოს აკლდებოდა. კარგა ხნის შემდეგ დაცვის მუშაკებმა კარლოვმა და დედოვმა ქურდებს მიაკვლიეს. ქურდები დედოვს თავს დაესხნენ, წააქციეს და დახრჩობას ცდილობდნენ. კარლოვი

ამხანაგს წამოეშველა. მან რკინის ჯობი დაჭრა ერთ-ერთ ქურდს, მიროვს, რომელიც გონდაქარგულ დედოვს არ ეშვებოდა. თავდამსხმელი მიროვი გარდაიცვალა.

კარლოვი სახელმწიფო ქონებას და ამხანაგის სიცოცხლეს იცავდა. იგი არ დაუსჯიათ.

ვის და რა ვება შეიძლება მიაყვანოს მომზადებელა?

1. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების საკითხი შეიძლება დაისეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავდასხმის მოგერიება ხდება „ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით“, თანაც თავდამსხმელისათვის მიყენებული ზიანი ისეთი უნდა იყოს, რომ სხვა შემთხვევაში იგი იწვევლეს სისხლის სამართლის სასჯელს. ეს დებულება კანონიდან გამომდინარეობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში“.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოქალაქე, თავდასხმისაგან თავის დაცვის დროს, მოვალეა აუცილებლად ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს. რასაკვირველია, თუკი მოქალაქე თავდასხმას მოიგერიებს თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ეს მისასალმებელია. მაგრამ ასეთი თავდაცვის მართლზომიერება იმდენად ნათელია, რომ იგი არ მოითხოვს კანონით სპეციალურ რეგლამენტაციას.

ამგარად, აუცილებელი მოგერიება გამოიხატება თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებით. ამ ზიანის მინიმუმი ისეთია, რომ თუ არა აუცილებელი მოგერიება, იგი სასჯელს გამოიწვევდა. აუცილებელი მოგერიების დროს ზიანის მაქსიმუმი კანონით არ არის განსაზღვრული. მომგერიებელმა გარკვეულ პირობებში შეიძლება მოკლას კიდეც თავდამსხმელი და პასუხი არ აღოს კანონის წინაშე.

აუცილებელი მოგერიების დროს დაცვა, წესისამებრ, აქტიურია. იგი შეიძლება თავდამსხმელის ცემით, დაჭრით, დაშვებით, მოკვლით და, საერთოდ, ისეთი საქციელით გამოვლინდეს, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება დანაშაულად მოგვეჩენოს.

წყალტუბოს ერთ-ერთ რესტორანთან აბუთიძეს და ბერიძეს ცემა დაუწყეს. მათაც ცემითვე უპასუხეს ხულიგნებს. ატყდა აყალ-მაყალი, შეგრივდა ხალხი.

აბუთიძე და ბერიძე ხულიგნობისათვის პასუხისმგებაში მისცეს, მაგრამ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ისინი გაამართლა. პრეზიდიუმის დადგენილებაში მითითებული იყო: „მართალია, აბუთიძესა და ბერიძეს მოქმედება გარეგნულად ხულიგნობას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში ისინი თავს იცავდნენ და ამიტომ აუცილებელი მოგერიების უფლება ჰქონდათ“.

2. აუცილებელი მოგერიების დროს, მომგერიებელს უფლება აქვს მხოლოდ მოძალადეს მიაყენოს ზიანი. მესამე პირის დაზიანება დაუშვებელია.

მთვრალი რევაზოვი სამკერვალო ფაბრიკის ეზოში შევიდა, დარაჯმა ბეჭარაშვილმა მისი გაძევება სცადა მაგრამ რევაზოვმა თოფზე უტაცა ხელი და წართმევა დაუპირა. მის მოსაგერიებლად დარაჯმა ფიცარი ჩაჰურა თავში. ფიცარი ასხლტა და თავდამსხმელის დედას მოხვდა, რომელიც შვილის დაშოშმინებას ცდილობდა. ქალი დაშვდა. რაკი იგი თავს არავის ესხმოდა მისი დაშავება არ შეიძლებოდა (ბეჭარაშვილმა პასუხი აგო გაუფრთხილებლობისათვის — მან ხომ უდანაშაულო კაცი დაშვა). მაგრამ თუ დამტკრცებოდა, რომ მას არ შეეძლო ამ მარცხის გათვალისწინება, საერთოდ განთავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან.

3. საკუთარი ქონების დასაცავად ზოგი აწყობს ხაფანგს, სარქმელზე ან ღობეზე უშვებს დენს, ფეთქებად ნივთიერებას დებს მოსალოდნელი ქურღობის თავიდან ასაცილებლად და სხვ.

პახომოვა შენიშვნა, რომ ვიღაც სამშენებლო მასალას და შეშას პარავდა. საკუთარი ქონების დასაცავად მან დინამიტი დაუღო შეშას. ქურღი მართლაც დასწვდა შეშის ნაკერს, დინამიტი აუფეთქდა და მარჯვენა მოწყვიტა.

პახომოვა მსჯავრი დასდეს. კანონი კრძალავს ამგვარ საქციელს. ეს ორაა აუცილებელი მოგერიება. აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ აქვს მოქალაქეს, როცა საფრთხე იმწუთიერი და რეალურია. სავარაუდო თავდასხმის მოსაგერიებლად ამგვარი ხერხის გამოყენება არ შეიძლება. დენის, დაგებული ხაფანგის და სხვა ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენება თავისთავადაა საზოგადოებრივად საშიში მოქმედება. ასეთი „თავდაცვით“ სულ იდვილად შეიძლება უდანაშაულო კაცი დაშავდეს.

აუცილებელი მოგერიება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ თავდამსხმელის წინააღმდეგ ისე, რომ გამორიცხული იყოს მესამე პირის დაშავების შესაძლებლობა.

### რა მიზანი უნდა ამოძრავებდეს მომზრდიგოლს?

1. მოგერიება მხოლოდ მაშინ იქნება მართლზომიერი, თუ კაცი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით მოქმედებს. თუ არა ამგვარი მიზანი, ვერავითარი თავდასხმა ვერ გაამართლებს მოძალადის დაზიანებას.

ეს დებულება თვით აუცილებელი მოგერიების უფლების არსიდან გამომდინარეობს. მოგერიება მხოლოდ იმიტომ კი არ არის მართლზომიერი რომ მომგერიებელი საზოგადოებრივ წესრიგს იცავს, არამედ იმიტომაც. რომ მას საზოგადოებრივად სასარგებლო მიზანი ამოქმედებს.

ლოთი მამინაცვალი შინ გამუდმებით ჩხერიმელი და აბუჩად იგდებდა ოჯახის წევრებს. გერმა ამდენი დამცირება ვერ აიტანა და მისი მოკვლა გაღაწყვიტა. ლამით იგი ნაჯახით შეიპარა დედისა და მამინაცვლის თოახში. სიბნელეში დედის საწოლთან მდგარი მამინაცვალი დაინახა და თავში ნაჯახი დაჰკრა. მამინაცვალი მოკვდა.

ბოლოს გამოირკვა, რომ თურმე იმ წამს მამინაცვალს ხელში რევოლვერი ეჭირა — ცოლის მოკვლას აპირებდა. გერმა მისი მოკვლით დედა ისხსნა. მაგრამ მისი საქციელი მაინც არ არის მართლზომიერი; მისი მიზანი მამინაცვალის მოკვლა იყო და არა დედის სხსნა.

ისეც შეიძლება მოხდეს, რომ კაცი რაღაცას ან ვიღაცას იცავდეს, მაგრამ მისი ქცევის მოტივი უზნეო იყოს (გასამრჩელოს მიღების იმედი, მლიქვნელობა და სხვა). ისჯება ასეთი კაცი თუ არა? საყურადღებო კითხვაა!

ამ კითხვას კანონი ცხად და გადამჭრელ პასუხს აძლევს. მთავარი ის არის, რომ კაცი რაღაცას ან ვიღაცას იცავს, ე. ი. მისი მიზანი იყოს მართლზომერი. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს ქცევის მოტივს.

2. სხვაგვარადაც შეიძლება მოხდეს; კაცმა განგებ გამოიწვიოს სხვა და შემდეგ თვითონვე გაუსწორდეს „თავდამსხმელს“.

ამირიძეს სურდა გასწორებოდა თავის მეზობელს ამბოკაძეს და სისტემატურად ოწვევდა მას ჩეუბში. ერთ დღეს ამირიძე ორლობები შეხვდა ამბოკაძეს და იმდენი ქნა, რომ საჩხუბრად გამოიწვია. ამბოკაძე ეძგერა ამირიძეს. ამირიძე მზად დახვდა მას და ცულით ჩამოაჩეხა მხარი.

ასეთი საქციელი აუცილებელი მოგერიების პროცესაციად ითვლება და ისჯება.

მომგერიებელი არ უნდა გადამიტოს აუცილებელი მოგერიების განხორციელება საზოგადოებრივად სასარგებლოა. იგი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა და ამ ბრძოლაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის ერთგვარი ფორმაა. აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების დროს ხდება დამნაშავის და კანონის დამცველი მოქალაქის ინტერესების დაპირსპირება. დამნაშავის მოქმედება მიმართულია კანონის დარღვევისაკენ, მოქალაქის მოქმედება კი გამიზნულია კანონის დასაცავად. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დამნაშავემ თვით ჩააყენა თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი უფლებები, მოგერიებლის უფლებებთან შედარებით, შეზღუდულია. თავდამსხმელს არა აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება მომგერიებლის წინააღმდეგ. ამიტომ თავდამსხმელი უნდა შეუზრიგდეს მისთვის ზანის მიყენებას მომგერიებლისაგან, რომელიც თვითონ მან ჩააყენა მოგერიების მდგომარეობაში.

დამნაშავის ამგვარმა მდგომარეობამ არ უნდა შეგიქმნას ისეთი წარმოდგენა, თითქოს სახელმწიფო მისი ბედით დაინტერესებული არ იყოს.

აუცილებელი მოგერიების დროს, თავდამსხმელის მოკვლა ან დაშვება დასაშვებია არა იმიტომ, რომ საზოგადოება არ არის დაინტერესებული თავდამსხმელის სიცოცხლის თუ ჯანმრთელობის დაცვით, არამედ იმიტომ, რომ თავდამსხმელის დაშავება თუ მოკვლა აუცილებელია მისი თავდასხმის მოსაგერებლად. სწორედ ამით აისწერა ის, რომ კანონმდებელი აუცილებელ მოგერიებას მართლზომიერად თვლის მხოლოდ მაშინ, როდესაც „გადაცალებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები“.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების დაშვებით კანონმდებელი მოგერიებელს უდებს გარკვეულ ზღვარს, რომლის გადალახვის უფლება მას არა აქვს. ამით კანონი ერთგვარ გარანტიას აძლევს თავდამსხმელს არ მიიღოს იმაზე მეტი ზიანი, რაც გამოწვეულია მისი თავდასხმის მოგერიების აუცალებლობით.

თავდამსხმელის დაზიანება, თუ გადაცილებულია აუცილებელი მოგერიების ფარგლები, სისხლის სამართლის წესით დასჭად მოქმედებად ითვლება.



აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით თავდამსხმელის მოკვლა ან დაშავება წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას იმდენად, რამდენადაც ასეთი მოქმედებით მომგერიებელი თავდამსხმელს აყენებს გაცილებით მეტ ზიანს, ვიდრე ეს აუცილებელია თავდასხმის მოსაგერიებლად. მაგრამ მკვლელობა ან დაშავება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშია, ვიდრე მკვლელობა თუ დაშავება ჩვეულებრივ პირობებში. ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ მომგერიებელი ფარგლების გადამეტების დროსაც ნაშილობრივ აღწევს აუცილებელი მოგერიების ამოცანას, და იმითაც, რომ მომგერიებელი მოქმედებს სამართლებრივი ინტერესების დაცვის შაზნით.

სწორედ ამას გულისხმობს კანონმდებელი, როცა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტში შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის დანაშაულის ჩადენას „საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დაცვის დროს თუნდაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით“.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის მიხედვით, „მკვლელობა, ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით — სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე“; ხოლო სსკ 114-ე მუხლის შესაბამისად „სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების უფლების გადაცილების დროს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ამავე ვადით“.

რაში მდგომარეობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამიტება?

1. ამ კითხვაზე პასუხი თვით კანონშია გაცემული. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის მიხედვით, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩაითვლება დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან“.

დაცვის შეუსაბამობის ხესიათსა და საშიშროებასთან ყოველთვის შეიძლება ქვეით ადგილი, როცა დარღვეულია დაცვის მართლზომიერების ესა თუ ის პირობა. მაგრამ თავდასხმისა და დაცვის ყოველგვარი შეუსაბამობა არ განიხილება როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.

მაგალითად, არ შეიძლება მკვლელობა მივიჩნიოთ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად, როცა მომგერიებელი კლავს არა თავდამსხმელს, არამედ მესამე პირს, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც შეიძლება ვიმსჯელოთ დაცვისა და თავდასხმის აშკარა შეუსაბამობაზე.

მაში, რაში მდგომარეობს დაცვის აშკარა შეუსაბამობა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებასთან?

ჩვეულებრივად, როდესაც იურისტები მსჯელობენ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ორ შემთხვევაზე მიუთითებენ:

1) როცა დაცვა დროში არ შეესაბამება თავდასხმას — არადროული მოგერიება, და 2) როცა არ არის შესაბამისობა დაცვისა და თავდასხმის ინტენსივობას შორის — არათანაზომიერი მოგერიება.

2. არადროული მოგერიება დროით არ ემთხვევა თავდასხმას. ე. ი. თუ მომგერიებელი მოძალადეს თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ დააზიანებს, სწორუდ ეს იქნება მოგერიების ფარგლების გადაცილება.

შინ დაბრუნებულ სურენ ოზგელდოვს პაპა გასისხლიანებული ნაჯახით შეხვდა — დედაშენი ავხეხე, მიდი და ნახეო, სურენმა მართლაც ნახა ძირს დაგდებული, გასისხლიანებული დედა. შეძრუნებული სურენი პაპისკენ გაიქცა. იმ დროს მიუსწრო, როდესაც პაპა ახლა რძალს (სურენის ცოლს) მის დევდა ნაჯახით. სურენი დაეწია მას, ნაჯახი წაგლიჭა, თავში ჩაჰკრა და მოკლა.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ოზგელდოვის საქციელი აუცილებელი მოგერიების ფარგლებად ჩათვალა. მართალია, პაპამ შვილი დაასახიჩრა და რძალს მოსაკლავიდ მისდევდა, მაგრამ, რა წამს შვილიშვილმა მას ნაჯახი გამოსტაცა, თავდასხმა შეწყდა კიდეც, ამის შემდეგ მისი მოკვლა აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის „საშიშროებასა და ხასიათთან“.

ზოგჯერ თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ განხორციელებული მოგერიება მისი ფარგლების გადაცილებად კი აღარ ითვლება, არამედ ჩვეულებრივ დანაშაულად. 1969 წლის 4 დეკემბრის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად არ ჩაითვლება ის შემთხვევები, როდესაც მოგერიება ხორციელდება „უკვე მას შემდეგ, როცა თავდასხმა აცილებული ანდა დამთავრებულია, დაცვითი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობამ აშკარად გაიარა და, მაშასადამე, ეს მოქმედება გვევლინება, როგორც შურისძიების აქტი — ანგარიშის გასწორება. ამ შემთხვევებში, პასუხისმგებლობა დგება საერთო საფუძველზე, როგორც განხრახი დანაშაულის ჩადენისათვის“.

ბაირამაშვილს ღამით ხმაური შემოესმა, სარქმლიდან გადაიხედა და დაინახა, ბავშვები მისი მანქანის ბორბლებს ხუფებს ხსნიდნენ. მან აივანზე სანადირო თოფი გამოიტანა და შესძახა; ხელები ზევითო. შეშინებულმა ბავშვებმა ხუფები დაყარეს და ხელები ასწიეს. ბაირამაშვილმა ერთ-ერთს თოფი დაუმიზნა, ესროლა და იქვე მოკლა. ეს არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება. კერძომესაკუთრული გრძნობით გონებაშართმეულმა კაცმა ბავშვს მანქანის ხელყოფა არ აპატია — ხელებაშეულს ესროლა. მკვლელობა დამამდიმებელ გარემოებაში იყო ჩადენილი. ბაირამიშვილი მკაცრად დაისაჭა.

ვეცდებით ისეთ შემთხვევასაც, როცა თავდასხმა დამთავრებულია, პიროვნებამ ამის შესახებ იცის და მაინც კლავს ან ასახიჩრებს თავდამსხმელს, მაგრამ მიუხედავად ამისა კანონი ამ დანაშაულს შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად თვლის. ასეთ შემთხვევას აღვილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაული ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში.

შანშიაშვილმა თოფის ხმა გაიგონა, საკუთარ ეზოში შეირჩინა და ერთადერთი შვილი ტყვიით განგმირული ნახა. მისი მკვლელი წყარად მიდიოდა ტყვისკენ. გამწარებული მამა მკვლელს დაედევნა და წალდით თავი გაუჩეხა. შანშიაშვილის მოქმედება არ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად. მან კარგად დაინახა, რომ შვილი უკვე მკვდარი იყო და თავს აღარავინ ესხმოდა. მისი შურისძიება აფექტური იყო. აფექტი უკანონო ძალადობამ გამოიწვია — მას შვილი მოუკლეს — და ამიტომ საპატიოა. ამგვარი მკვლელობისათვის

შემსუბუქებული სასჯელია დაწესებული, რადგან იგი უეცარი, ძლიერი სუ-  
ლიერი აღელვების მომენტშია ჩადენილი.

საქართველოს რესუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხ-  
ლის თანახმად, აფექტში ჩადენილი მცვლელობისათვის დამნაშავეს არ შეიძ-  
ლება მიესაჭოს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღვეთა.

ხანდახან ისეც შეიძლება მოხდეს, რომ თავდასხმა შეწყვდეს, მაგრამ შე-  
ქმნილ ვითარებაში მოგერიებელმა ეს ვერ გაიგოს და მოძალადე მაინც და-  
აზიანოს. ასეთ დროს იგი, რა თქმა უნდა, არადროული მოგერიებისათვის პა-  
სუსხს არ აგებს.

მაგალითით განვმარტავ. კოლმეურნეობის მეველეს ღვენეფაძეს აუხირდა  
მოგრალი თანასოფლელი ღვანწყავა და ორჯერ ესროლი რევოლვერი. ღვენე-  
ფაძემ იმ წამსვე თოფი გადმოიღო, დაახალა ღვანწყავას და მოკლა. ამის შემ-  
დევ აღმოჩნდა, რომ მოკლულ მეტი ტყვია აღარ ჰქონია ნაგანში. თუმცა  
ფაქტიურად ღვენეფაძემ იგი თავდასხმის შეწყვეტის შემდევ მოკლა და ამით  
დაარღვია აუცილებელი მოგერიების ფარგლები, მაგრამ მას არ შეეძლო სცო-  
ლნოდა, თავდასხმა შეწყვეტილი იყო თუ არა. წინასწარ ტყვია ხომ არ დაუ-  
თვლია. ამიტომ ღვენეფაძემ პასუხი არ უნდა აღოს.

თუ მომგერიებელს შეუძლია გაითვალისწინოს და მოვალეც არის იცო-  
დეს, რომ თავდასხმა შეწყვეტილია და მაინც აშავებს მოძალადეს, მშინ იგი  
პასუხს აგებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების დარღვევისათვის.

თუ მომგერიებლისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ თავდასხმა დამთავრ-  
და ან შეწყდა, და მან მაინც დააშავა ან მოკლა მოძალადე შურის ძიების  
ან სხვა მოტივით იმის მიუხედავად, რომ საშიშროება აღარ ელოდა, ეს  
აუცილებელი მოგერიების ფარგლების დარღვევა კი არ იქნება, არამედ ჩვეუ-  
ლებრივი დანაშაული. ამიტომ დამნაშავე სისხლის სამართლის კოდექსის შე-  
საბამისი მუხლით დაისჯება.

3. არსებობს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების სხვა  
სახეც. ესაა „არათანაზომიერი მოგერიება“.

არათანაზომიერ მოგერიებად ითვლება ისეთი მოგერიება, როდესაც აშ-  
კარად არის დარღვეული თანაფარდობა დაცვისა და თავდასხმის ინტენსი-  
ვობას შორის, ანდა ისეთი, როდესაც ფაქტიურად მიყენებული ზიანი აშკარად  
არ შეესაბამება თავდასხმისაგან მოსალოდნელ ზიანს.

როდის არის დაცვა შეუსაბამო და როდის არა, ეს თითოეულ შემთხვე-  
ვაში ცალკე უნდა გადაწყდეს.

ამ საკითხის გადაწყვეტილისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთ-  
ლი რიგი ფაქტიური გარემოებანი: თავდასხმის ადგილი, დრო, ვითარება, თავ-  
დამსხმელის და მომგერიებლის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ერთი  
ან მეორე მხარის რაოდენობა, იარაღი და მრავალი სხვა.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების განხილვისას არ შე-  
იძლება განყენებული მსჯელობა — თავდასხმა „ინტენსიურია“ თუ „არაინ-  
ტენსიური“. მომგერიებლის დაცვითი უნარი თუ არ იქნა გათვალისწინებული,  
ცალმხრივობას ვერ გავეძევეთ. თავდასხმა საშიში ან არასაშიშია სწორედ მო-  
მგერიებლის დაცვით უნართან შეფარდებით და არა დამოუკიდებლად.

სწორედ ამ თვალსაზრისს ადგას სასამართლო პრაქტიკა თავდასხმის სა-  
შიშროების განსაზღვრის დროს. მაგალითად, თბილისში ავჭალის გზატკეცილ-

ზე აკიმიანი და ჯაბადარი შეკამათდნენ. აკიმიანმა მკერდში დანა ჩაპრა ჯაბა-  
4. „მაცნე“, სამართალი, 1993, № 1

დარს, მაგრამ მან შესძლო დანის წართმევა და თავდამსხმელი მუცელში დაჭრა. თუ თმეტი დღის შემდეგ აკიმიანი გარდაიცვალა. სახალხო სასამართლომ ჯაბადარის საქციელი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად ჩათვალა.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მხარი არ დაუჭირა განახენს. იგი იმ დასკვნამდე მივიღა, რომ თავდამსხმელის ხელიდან მომგერიებლის ხელში დანის გადასვლა და ამის შემდეგ თავდამსხმელის მოკვლა ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად. ჯაბადარმა შესძლონ დანა წიერთმია აკიმიანისათვის და ამის შემდეგ, თთქოს, მას საფრთხე აღარ ემუქრებოდა — განიარაღებული კაცი ხომ ნაკლებ საშიშია! მაგრამ ჯაბადარი მძიმედ იყო დაჭრილი, მან რომ გონი დაკარგა, განა გამორიცხული იყო, რომ აკიმიანს თუნდაც იგივე დანა აელო და ჯაბადარი მაინც მოეკლა? ამიტომ, სასამართლო კოლეგიამ ჯაბადარის ქცევა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებად არ ჩათვალა, იგი გაამართლეს.

მოგერიება რომ მართლზომიერი იყოს, სულაც არ არის აუცილებელი თავდამცველმა ისეთი იარაღი იხმაროს, როგორითაც მას თავს ესხმიან.

მაგალითისათვის მოვიტანოთ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება რიაბინის საქმეზე.

რიაბინი და მისი ამხანაგი ჩილავე კლუბის წინ იდგნენ და მუსიკას უსმენდნენ. მათ მთვრალი გალკინი და ტროფიმოვი მიუახლოვდნენ და უმიზეზოდ აუხირდნენ. გალკინმა სახეში გაარტყა ხელი და წააქცია რიაბინი. წაქცეულს ტროფიმოვმაც ცემა დაუწყო, რიაბინმა მოახერხა იქვე დაგდებული ხის პალო აელო და მოსაგერიებლად გალკინს თავში დაარტყა. დაშავებული მეორე დღეს გარდაიცვალა.

უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რიაბინი გაამართლა. განჩინებაში მითითებული იყო: მართალია, გალკინს იარაღი არ უხმარია, მაგრამ მომგერიებელმა იცოდა, რომ იგი იყო ლოთი, ხულიგანი და არერთგერ ნასამართლევი. რიაბინი, რა თქმა უნდა, არ იყო დარწმუნებული, რომ თავდასხმა უფრო საშიშ სახეს არ მიიღებდა.

კანონი არ მოითხოვს გავეჭეთ თავდამსხმელს ან მასთან შებრძოლებას მოვერიდოთ. ამგვარი მოთხოვნა უნდა შეფასდეს — როგორც ზნეობისა და მართლშეგნების პრინციპებთან შეუთავსებელი მსოფლმხედველობის გამოვლინება.

პაპუაშვილს თავს დაესხა მისივე მეზობელი ეძგვერაძე. ეძგვერაძემ ცული მოუღერა მას, მაგრამ პაპუაშვილმა დაასწრო, სარი დაპკრა და მძიმედ დააშავა.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ პაპუაშვილი გაამართლა. მნ ჩასთვალა, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ ყოფილა. რაიონის პროკურორმა განახენი გააპროტექტა: პაპუაშვილს თავდასხმის აცილება გაქცევით შეეძლო და, რადგან ეს არ ჰქნა, — აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები დაარღვიაო, ასეთი იყო პროტესტის ერთ-ერთი მოტივი.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა პროტესტი. მომგერიებელი არ იყო ვალდებული მოძალადეს გაქცეოდა. პაპუაშვილი რომ გაქცეულიყო, მაგრამ ეძგვერაძე უფრო ფეხმარდი აღმოჩენილიყო, მაშინ რალა ექნა პაპუაშვილი!?

ოქვამია: გაქცეულის დაჯინა უფრო ადვილია, ვიღრე ვაჟკაცურად დამხვედრის.

თუ თავდამსხმელის დაშავება აშკარად არ შეესაბამება მისგან მოსალოდნელ ზიანს, მოგერიება მაშინაც არათანაზომიერად ითვლება. უნდა ითქვას, რომ ასეთი აშკარა შეუსაბამო ქცევა სასამართლო პრეტიცებში იშვიათად გვხვდება (ვთქვათ, ყმაწვილმა ქალიშვილს ნაწნავის შეჭრა დაუპირა. ქალიშვილის მამამ რომ ამისათვის იგი მოკლას, ეს იქნება მიყენებული და მოსალოდნელ ზიანს შორის აშკარა შეუსაბამობა):

თუ კაცმა მოკლა ან მძიმედ დააშავა თავდამსხმელი აშკარად უმნიშვნელო სიკეთის ხელყოფისათვის, ეს იქნება არა აუცილებელი მოგერიება ფარგლების გადამეტებით, არამედ შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე ჩადენილი დანაშაული.

ერთ-ერთ ქალაქში გუმბას ვაშლის ბალი ჰქონდა. მოგეხსენებათ, ვაშლს ყველგან „ემტერებიან“ ბავშვები. ერთ სალამოს გუმბას რაღაც ფაჩუნი შემოესმა. იგი თოფით ხელში გამოვარდა გარეთ. დაინახა, რომ ბავშვი ვაშლის მოწყვეტას ლამობდა, გუმბამ თოფი დაუმიზნა მას და ესროლა. დაჭრილი ბავშვი თავის სახლისკენ გაიქცა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია — გზაში გარდიცვალა.

განა ამ შემთხვევაში რაიმე თავდასხმასა და მოგერიებაზე მსჯელობა შეიძლება!? რა თქმა უნდა, არა!

გუმბამ ერთი ვაშლის გულისათვის არ დაინდო ბავშვი. ასეთი სისატიკის მეტევება არ შეიძლება, გუმბა მკაცრად დასაჭეს არა როგორც მომგერიებელი, არამედ როგორც განზრას მკვლელი.

რა უფლებაზი აპვს მოგალავს დამნაშავის შეგვრობისა?

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დამნაშავის შეპყრობაა საჭირო.

დამნაშავის შეპყრობის მოვალეობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციაა, მაგრამ რაც უნდა კარგად იყოს ორგანიზებული ამ ორგანოთა შემსახუა, მან არ შეიძლება სათანადო ეფექტი მოვცეს, თუ ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობა არ მიიღებს მონაწილეობას.

დამნაშავე ხშირად ცდილობს დაუძრეს მართლმსაჯულებას და მისი შეპყრობის დროს ზოგჯერ წინააღმდეგობასაც მიმართავს. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება ძალის გამოყენება. არ არის გამორიცხული, რომ შეპყრობისას დამნაშავე დაშავდეს.

იბადება კითხვა: დაისჯება თუ არა მოქალაქე, თუ მან დააშავა დამნაშავე მისი შეპყრობის დროს?

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ჯერჯერობით არ არის შეტანილი მუხლი, რომელიც მოქალაქეს ასეთ უფლებას აძლევს. ამგარი მუხლი არ არის გათვალისწინებული აგრეთვე ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. გამონაკლის წარმოადგენს უკრაინისა და უზბეკეთის სისხლის სამართლის კოდექსები.

უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მოქმედება, რომელიც ჩადენილია უშუალოდ ხელყოფის შემდეგ დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ ღმინაშავის შესაბყრობად და ხელისუფლების შესაბამის ორგანოებში წარსაღვენად, გათანაბრებულია, როგორც მართლზომიერი, აუცილებელ მოგე-

აიებასთან, თუ იგი აუცილებელი იყო დაკავშირებისათვის და შეესაბამებოდა ხელყოფის საშიშროებასა და დამნაშავის შეპყრობის ვითარებას (უკრაინის სსკ-ის მე-15 მუხლის მესამე ნაწილი).

დამნაშავის დაკავების მართლზომიერებაზე მიუთითებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება, „ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“\*.

დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების შესახებ სახელმძღვანელო მითითებას იძლეოდა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „მოქალაქეთა მოქმედება, მიმართული დამნაშავის შესაპყრობად, რომელიც განხორციელებულია დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად, ანდა უშუალოდ ხელყოფის შემდეგ, ხელისუფლების სათანადო ორგანოში დამნაშავის წარდგენის მიზნით, სასამართლომ უნდა განიხილოს როგორც ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, აღნიშნულ შემთხვევებში, დამნაშავისათვის ზიანის მიყენების გამო შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედება რომელმაც ზიანი მიაყენა დამნაშავეს, არ იყო აუცილებელი მას დასაკავებლად, აშკარად არ შეესაბამებოდა ხელყოფის ხასიათსა და საშიშროებას და დაკავების ვითარებას“.

ამგარად, სისხლის სამართალი უფლებას აძლევს მოქალაქეს დამნაშავის შესაპყრობად ზიანი მიაყენოს მას. ამ უფლებას დამნაშავის შეპყრობის უფლება ეწოდება. მართლზომიერების თვალსაზრისით იგი აუცილებელ მოგერიებასთან არის გათანაბრებული, თუმცა დამნაშავის შეპყრობა საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი ღამოუკიდებელი გარემოებაა და მას აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებული მართლზომიერების პირობები აქვთ.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, თავდასხმის შეწყვეტასთან ერთად, შესაბამისად ამისა, თუ ვიმე მიიღებს ზომებს დამნაშავის წინააღმდეგ, რომელიც არავის აღარ ესხმის თავს, ეს ზომები არ წარმოაგენენ აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებას. ამავე დროს, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას წარმოშობს არა ყოველგვარი თავდასხმა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მიმართულია სამართლით დაცული კონკრეტული ობიექტის რეალური და უშუალო მატერიალური ხელყოფისაკენ. რაც შეეხება დამნაშავის დაკავების უფლებას, იგი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღამიანმა დამნაშაული ჩაიდანა.

ამგარად, მდგომარეობა, როდესაც დამნაშავის წინააღმდეგ ძალის გამოყენება შეიძლება განხილული იქნას, როგორც დამნაშავის დაკავების მართლზომიერი ქტი, შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის შემდეგ.

ამავე დროს, დამნაშავის შეპყრობა უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენისთანავე. კანონი ამას იმიტომ მოითხოვს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კაცი შეიძლება შეცდეს და დამნაშავე კი არა, სხვა პირი დამნაშავოს.

\* აღნიშნული იურიდიული ქტი ავტომატურად განგრძობს მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვინაიდნ მისი შემცვლელი სისხლისამართლებრივი ნიჩი ჯერჯერობით არ არის მოებული, ხოლ დამნაშავის დაკავების უფლების არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს.

დამნაშავის შეპყრობის უფლების გადამეტება ხდება მაშინ, თუ კაცი იმიტომ შეიძყრობს დამნაშავეს, რომ თვით გაუსწოროს ანგარიში. ასეთ შემთხვევაში იგი პასუხს ავებს. შეპყრობა შეიძლება მხოლოდ ერთი მიზნით — დამნაშავე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხელისუფლების ორგანოებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქალაქეს დამნაშავის შეპყრობის დროს უფლება აქვს გამოიყენოს ძალა: შებოჭოს იგი, ჩაკეტოს ოთახში ან სხვაგან, ქვა ესროლოს გაქცეულს ფეხებში, ე. ი. გამოიყენოს ისეთი ღონისძიებან, რომლებიც, თუ დამნაშავის დაკავება არა, სხვა შემთხვევაში დანაშაულად ჩაითვლებოდა.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ მოქალაქემ დამნაშავის შეპყრობის დროს არ უნდა გადაამეტოს თავის უფლებებს და არ უნდა მიაყენოს დამნაშავეს იმაზე მეტი ვნება, რაც კანონითაა დაშვებული.

დამნაშავის შეპყრობის უფლების გადამეტება ხდება მაშინ, როცა შემპყრობი აყენებს მას ისეთ ვნებას, რაც არ იყო აუცილებელი მის შესაბყრობად, ანდა ისეთ შემთხვევაში, როცა, მართალია, ვნების მიყენება აუცილებელი იყო დამნაშავის შეპყრობისათვის, მაგრამ იგი თავისი სიმძიმით არ შეესაბამებოდა ჩადენილ დანაშაულს და დამნაშავის საშიშროებას.

ორი მაგალითით განვმარტოთ ეს.

ა-მ საკუთარ სახლში ქურდი შეისწრო. ქურდმა გაქცევა დააპირა. ა-ს ოთხი მეზობელი წამოეშველა. ხუთ კაცს თავისუფლად შეეძლო ქურდის უმტკივნეულოდ შეპყრობა, მაგრამ ამ მის შესაბყრობად დაუშვებელი ხერხი გამოიყენა — ქურდის წალდით მკლავი მოკვეთა.

ა. პასუხს ავებს — ქურდის შესაბყრობად სულაც არ იყო აუცილებელი ასეთი უკიდურესი ღონისძიება.

ახალგაზრდამ ქალიშვილს სილა გააწნა. გოგოს მამა შეურაცხმყოფელს დაედევნა. ახალგაზრდა სწრაფად გარბოდა. მდევარმა, რაკი შეატყო, რომ ვერ დაწეოდა, ტყვია ესროლა მას და მძიმედ დაჭრა.

რა თქმა უნდა, გოგოს მამა სხვა გზით ვერ შეიძყრობდა შეურაცხმყოფელს, მაგრამ შეპყრობაც არის და შეპყრობაც! სილის გაწნისათვის მისი გამეტება მოსაკლავად, ცხადია, შეპყრობის უფლების გადამეტებაა. მისი მოქმედება მართლზომიერი იქნებოდა, იარალი მკვლელის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის შესაბყრობად რომ გამოეყენებინა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოქალაქეს უფლება აქვს მოკლას გაქცეული დამნაშავე.

დამნაშავის მოკვლა არასოდეს არ განიხილება დამნაშავის დაკავების მართლზომიერ აქტად, რადგან მოკლულზე მართლმსაჯულება ვერ განხორციელდება და, ბუნებრივია, ამგვარი მოქმედება არ შეიძლება ემსახურებოდეს დამნაშავის შეპყრობის მიზანს.

დანაშაულის ჩადენა დამნაშავის შეპყრობის უფლების გადამეტებით საზოგადოებრივად საშიში მოქმედებაა, მაგრამ იგი უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე იგივე მოქმედება, ჩადენილი ჩვეულებრივ ვითარებაში. ეს აისანება სხვადასხვა გარემოებით: ასეთ შემთხვევაში მოქალაქე მოქმედებს დამნაშავის შეპყრობის და არა სხვა საძრახისი მოტივით. მართალია, მოქალაქე გადაჭარბებულ ზომებს იყენებს დამნაშავის შესაბყრობად, მაგრამ ობიექტურად მაინც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

\*

\* \* \*

ვფიქრობთ, სადავო აღარ უნდა იყოს ის, რომ აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება ხელს უწყობს დანაშაულის პროფილაქტიკას და სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, თუკი უფლება გამოყენებულია კანონის ცოდნით, კანონის შესაბამისად.

ჩვენი საუბარი გვინდა დაგამთავროთ ცნობილი რუსი იურისტის ე. ნებრიოვსკის სიტყვებით, რომელმაც ჯერ კიდევ 1924 წელს სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში დაგვიხსიათა აუცილებელი მოგერიების უფლების მნიშვნელობა. საქმარისია წარმოვიდგინოთ, — წერდა იგი, — თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობა მოგერიების დაუშვებლობის შემთხვევაში, სურათი ფრიად უნუგეშო იქნებოდა: ენერგიული მოგერიების შიში, რომელიც ხშირად უფრო მთამავრნებელია, ვიდრე სასჯელის რილი, ვეღარ შეაკავებდა ბოროტმოქმედს; დანაშაულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, მოძალადის დამარცხების შანსები ძალზე შემცირდებოდა, ხოლო მშვიდობიანი მოქალაქენი მართლწესრიგის გათელვის პასიური მაყურებლები იქნებოდნენ, და თუ, როგორც უნდა ვივარაუდოთ, ისინი არ დაკმაყოფილდებოდნენ ასეთი როლით და მაინც გაუმქლავდებოდნენ მოძალადეს, მაშინ სისხლის სამართლის რეპრესია დაატყდებოდათ თავს! განა საჭიროა უფრო დამაჯერებელი მტკიცება იმისა, რომ კანონმა კი არ უნდა აკრძალოს, არამედ უნდა წახალისოს მოგერიება, და არა მარტო სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით, არამედ, აგრეთვე როგორც მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლების სერიოზული ფაქტორი!

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიმა

### მარინა რობაკიძე

ხულიგნობის პედიატრიის საპითხები სასამართლო პრაქტიკაში

ხულიგნობა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულია. მის მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს არა მხოლოდ ამ დანაშაულის ხელყოფის ობიექტის მაღალი ღირებულება, არამედ მისი გავრცელებული ხასიათი, და რაც მთავარია ის გარემოება, რომ ხულიგნობა, სწირად კვებავს სხვა უფრო მძიმე დანაშაულს: მკვლელობას, სხეულის მძიმე დაზიანებას და სხვა. ბევრი განსაკუთრებით საშიში დამნაშავე თავის დანაშაულებრივ გზას სწორედ ხულიგნობით იწყებს, ვინაიდან სწორედ ამ დანაშაულში ვლინდება ადამიანის უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, კანონისადმი, მისი მოთხოვნილებაა თავი დააღწიოს სამართლებრივ კონტროლს, ამბობი გამოუცხადოს მართლწესრიგს.

ხულიგნობის შემადგენლობა მეტისმეტად რთული შემადგენლობაა. სწორედ ამიტომ ბევრი შეცდომაა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ამ დანაშაულის კვალიფიკაციის დროს. რთულია ხულიგნობის მოტივის დადგენა, ხულიგნობისა და ხულიგნობის მოტივით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნა, ხელიგნობის გამიჯვნა ცემისაგან, სხეულის დაზიანებისაგან. რთულია სისტემის სამართლის წესით დასჭადი ხულიგნობის და წერილმანი ხულიგნობის გამიჯვნა და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეოთხეულს — ძირითადად პრაქტიკოს იურისტებს და სტუდენტებს შევთავაზოთ მასალა იმის თაობაზე თუ როგორ წყდება ხულიგნობის კვალიფიკაციის საკითხები სასამართლოს პრაქტიკაში. ვინაიდან დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხების სისტორე პირდაპირაა დამოკიდებული ამ დანაშაულის შემადგენლობის სწორი გაგებით, ამიტომ პრაქტიკის ანალიზს ვუკავშირებთ დანაშაულის შემადგენლობის გარკვევას.

1. სისტემის სამართლის თეორიაში კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ახსიათებენ ქმედობას, როგორც საზოგადოებრივად საშიშა და დასჭადს, ეწოდება დანაშაულის შემადგენლობა<sup>2</sup>.

სისტემის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები სავალდებულოა უპირველეს ყოვლისა სასამართლოებისათვის. მათ სწორად უნდა /განსაზღვრონ შემადგენლობის ნიშნები, რათა არ დაუშვან პრაქტიკაში უკანონო განაჩენების, განჩინებების, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების გამოტანა.

<sup>1</sup> წერილი ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამართლებრივი ინფორმატიკისა და კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყოფილების მასალებს.

<sup>2</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე — მოძვრება დანაშაულზე 1969 წ. გვ. 89.

ხულიგნობის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგი.

ფაზულტატურ დამატებით ობიექტად შეიძლება იყოს საზოგადოებრივი უშიშროება (მაგ. თავდასხმის ზოგადსაშიში საშუალებების გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობა).

ხულიგნობის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს აქტიური მოქმედება, რომელიც უხეშად აღლვებს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას.

სისხლის სამართლის წესით დასჭადი ხულიგნობა განისაზღვრება, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის განზრახ უხეში დარღვევა, გამოხატული საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობით. ამ ნიშნებიდან თუნდაც ერთ-ერთის უქონლობისას პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის გამორიცხულია<sup>3</sup>.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში იგულისხმება დარღვევა, რომელიც თავისი ხასიათით წარმოადგენს არსებით და მნიშვნელოვანს, ხოლო საზოგადოებისადმი უპატივცემულობაში იგულისხმება საზოგადოებაში ქცევის წესების დაუფარავი, ცხადი უგულვებელყოფა.

ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა იგანვისა და კაციას საქმე და მსჯავრი დასდო მათ რსფსრ სსკ-ის 206-ე მუხ. მე-2 ნაწილით, დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის. ღამიაშვილმა ნასვამ მღვმარეობაში გალახეს ავტომანქანის გარაჟებთან მოთამაშე ბავშვები — არასრულწლოვანი ლოპუხოვი და ტარსკი.

სასამართლომ სცნო, რომ ივანოვისა და კაციას მოქმედებანი ჩადენილ იქნა ხულიგნური მოტივით.

საკავაციო ინსტანციის სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა, ხოლო იმავე საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით, პროტესტი, რომელიც მოითხოვდა მსჯავრდებულების მოქმედების გადავალიფიცირებას რსფსრ-ს სსკ-ის 109-ე მუხ. I ნაწილზე დაუკმაყოფილებელი დარჩა.

რსფსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კი დააკმაყოფილა სსკ-ის გენ. პროკურორის მოადგილის ანალოგიური პროტესტი და მიუთითა შემდეგი:

მსჯავრდებულთა ბრალი საქმის მასალებით დამტკიცებულია. ამასთან ერთად სასამართლოს დასკვნა, რომ მათი მოქმედება შეიცავს ბოროტი ხულიგნობის ნიშნებს და უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ბოროტი ხულიგნობა, არასწორია, შემდეგი საფუძვლების გამო:

ჩვენებაში, რომელიც სასამართლოს მისცა ივანოვმა ირკვევა, რომ მოქალაქეთა გარაჟებში ხშირად ხდებოდა ქურდობა. საღამოს სახლში დაბრუნებულმა მსჯავრდებულმა მოთამაშე ბავშვები ჩათვალა ქურდებად და დაპირა კაციასთან ერთად მათი დაკვავება. მათგან წინააღმდეგობის გაწევის პროცესში ივანოვმა და კაციამ არასრულწლოვანებს მიაყენეს სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ასეთი გარემოებების გამო მსჯავრდებულების მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ-ის 109-ე მუხ. I ნაწილით<sup>3</sup>.

3. წვრილმანი ხულიგნობისა და სისხლის სამართლის წესით დასჭადი ხულიგნობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა უმნიშვნელოვანესი საკითხია სასა-

3 რსფსრ სსკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 421, პ. 1.

მართლო პრაქტიკაში. ეს განსხვავება მდგომარეობს საზოგადოებრივი წეს-ჩივის დარღვევის ხარისხის განსაზღვრაში<sup>4</sup>.

სასამართლოებმა თავიანთ პრაქტიკაში არ უნდა დაუშვან სისხლის სამართლის წესით დასჭადი ხულიგნობის განვრცობით განმარტება იმისათვის, რათა გამოირიცხოს სისხლის სამართლის პასუხისვებაში იმ პირთა მიცემის შემთხვევები, რომელთაც ბრალი მიუძღვით წვრილმან ხულიგნობასა და უმნიშვნელო სამართლდარღვევებში, რომლებიც იწვევენ აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ან საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვაგვარი ღონისძიებების გამოყენებას

სასამართლოები თავის საქმიანობაში არ უნდა უშვებლენენ წვრილმანი ხულიგნობისათვის პირთა პასუხისმგებაში მიცემის შემთხვევებს, რომელთა მოქმედებაც შეიცავს დანაშაულთა ნიშნებს (შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება და სხვ.) ან გადაცლომებს, რომლებიც არ წარმოადგენენ წვრილმან ხულიგნობას, მაგრამ კანონით იწვევს აღმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ნასვამ მდგომარეობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენა, მოძრაობის წესების დარღვევა ქუჩებსა და გზებზე და სხვ.<sup>5</sup>

3. საქართველოს ოპკუბლიკის სსკ 228-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას ამ დანაშაულის ჩადენის განსაზღვრულ ადგილისა და საჯაროობის ნიშანზე, თუმცალა ეს გარემოებები სასამართლო პრაქტიკაში უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც მოქმედების კვალიფიკაციისას, აგრეთვე სასჯელის დანიშნვისას.

სასამართლოების უპირველესი ამოცაა ხულიგნობის გამიჯვნა სხვა დანაშაულისაგან, დამნაშავის განზრახვის შინაარსისა და მიმართულების მათ მიერ ჩადენილი მოქმედების მოტივების მიზნებისა და გარემოებების მიხედვით. შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყნება და სხვა მათი მსგავსი მოქმედება ჩადენილი ოჯახში, ბინაში, ნათესავების ან ნაცნობების მიმართ რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის მხრიდან პირადი მტრული მოქმედებით, არასწორი დამკაიდებულებებით და სხვა... უნდა დაკვალიფირდეს მხოლოდ იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულთათვის.

ასეთი მოქმედებები შეიძლება დაკვალიფირდეს როგორც ხულიგნობა ის შემთხვევებში, როცა ისინი ერთდროულად დაკავშირებულნი იყვნენ დამნაშავის მიერ გაცნობიერებულ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან და გამოხატავდნენ საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. ამასთან, ხულიგნური მოქმედება, რომელიც უკავშირდება პიროვნების ხელყოფს, სრულად მოიცავს ხულიგნობის შემაღენლობას და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დამატებით კვალიფიკაციის არ მოიხოეს<sup>6</sup>.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ესტონეთის პირველი

4 სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966, № 30, გვ. 595. რსფსრ სისხლის სამართლის კომენტარები. 1985 წ., გვ. 421, პ. 4.

5 სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს დადგენილება № 9. (პლენუმის დადგენილებათა კებული 1924—1986 წ., გვ. 710).

6 რსფსრ სსრკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 421, პ. 5.

7 სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის № 9, 1972 წ., 16/10, დადგენილება, გვ. 709.

ინსტანციის სასამართლომ პეტროვი გაასამართლა სისხლის სამართლის კოდექსის 15-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 115-ე მუხლის I ნაწილით.

პეტროვი დამნაშავედა ცნობილი მასში, რომ მან მთვრალმა დაპირა თ-ს გაუპატიურება. წაქცია იგი, შემოაგლიჭა მას ტანსაცმელი, და ემუქრებოდა დახრჩობით. თ-ს ძლიერი წინააღმდეგობის გამო მსჯავრდებულმა შეწყვიტა დანაშაულებრივი მოქმედება.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნით თ-ს მიყენებული ჰქონდა სხეულის მსუბუქი დაზიანება განმრთელობის მოუშლელად.

საკასაციო ინსტანციამ სცნო, რომ გაუპატიურების მცდელობისას პეტროვმა რეალური წინააღმდეგობის გაწევის გამო ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანისგან და გადააკვალიფიცირა მისი მოქმედება სსკ 195-ე მუხ. II ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბოროტი ხულიგნობისათვის. ასეთი დასკვნის დასაბუთებისას სასამართლო კოლეგა დაეყრდნო იმას, რომ პეტროვმა დანაშაული ჩაიდინა მასობრივი დასვენების ზონაში, რომელიც საზოგადოებრივ ადგილად ითვლება. სასამართლოს აზრით, ის გარემოება, რომ გაუპატიურების მცდელობა არავის არ შეუნიშვნავს და დანაშაული მოხდა უკაცრიელ ადგილზე არ გამორიცხავდა ბოროტი ხულიგნობის ნიშნების არსებობას იმდენად, რამდენადაც პეტროვის მოქმედება წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას და გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას.

სრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ გაიზიარა საკითხისადმი აშგვარი მიღობმა. მისი აზრით, პეტროვის მოქმედება განზრახვის შინაარსით განსხვავდება ხულიგნობისაგან. საქმის მასალებიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს ჰქონდა ერთი მიზანი — დაეჭირა თ-სთან სქესობრივი კავშირი., პეტროვმა გაიტყუა თ. სეირნობით თავშეყრის ადგილიდან უკაცრიელ ადგილზე. ასეთ შემთხვევაში გაუპატიურების მცდელობის შეფასება ხულიგნობად დაუშვებელია, თუნდაც დანაშაულის ადგილი დასვენების ზონად ითვლებოდეს. მოქმედებები, რომლებიც ჩადენილია პირადი მოტივებით, თუ ისინი არ იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან და არ გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემობას, უნდა დაკვალიფირდეს კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთათვის.

პეტროვის მოქმედებები, რომელთაც დაზარალებულის სხეულის მსუბუქი ღაზიანება გამოიწვიეს, სავსებით თაგვიდება იმ შემადგენლობაში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის მსუბუქი დაზიანებისათვის.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით პლენუმმა გააუქმა პრეზიდიუმის დადგენილება, ხოლო შესაბამისმა სასამართლო ინსტანციამ შეცვალა განაჩენი და გადააკვალიფიცირა მოქმედება 112 მუხ. I ნაწილზე<sup>8</sup>.

ჩვენი აზრით, საფსებით სწორია პლენუმის მსჯელობა, როდესაც იგი უარყოფს პეტროვის მოქმედებაში ხულიგნობის ნიშნების არსებობას. უკაცრიელ ადგილზე ქალის გაუპატიურება არ შეიძლება განხილულ იქნეს — ხულიგნობად, ამ დანაშაულის სუბიექტის და, რაც მთავარია, ხულიგნობის მოტივის არასებობის გამო, მაგრამ ვერ დავეთანხმებათ ზემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას, თითქოს აქ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებაზე

<sup>8</sup> სრკ-ის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ., № 6.



ნებაყოფლობით ხელის აღებას. არავინ არ უარყოფს იმას, რომ პეტროვმა გაუპატიურების მცდელობაზე ხელი აიღო დაზარალებულის მხრივ აქტიური წრნააღმდეგობის გამო, ეს კი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. მითომ, ჩვენი აზრით, პეტროვის მოქმედება უნდა დაკავალიფიცირებულიყო არა როგორც სხეულის მსუბუქი დაზიანება, არამედ, როგორც გაუპატიურების მცდელობა.

4. დაზარალებულის შეურაცხყოფა, ცემა, სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ჩადენილი ოჯახში, ბინაში ნათესავებისა და ნაცნობების მძიმართ, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ხულიგნობა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ასეთი მოქმედება ერთდროულად დაკავშირებული იყო დამნაშავისათვის გაცნობიერებულ საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან და გამოხატვდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას<sup>9</sup>.

კომენტარების ამ გამნარტებას ნათლად წარმოაჩენს სასამართლო პრაქტიკის შემდეგი მაგალითი: ქ. გროზნოს ერთ-ერთი რაიონის I ინსტანციის სასამართლომ მსჯავრი დასდონ სოკოლოვს რსფსრ სსკ-ის 206-ე მუხლის მეორე ნაწილით. ის დამნაშავედ სცნეს იმისათვის, რომ კომუნალური ბინის საერთო სამზარეულოში მოვრალმა უმიზეზოდ, ხულიგნური ქვენაგრძნებით აუტეხა ჩეუბი მეზობელ აბდულოვს. სახეში დარტყმით მიაყენა მას სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ განაჩენი უცვლელად დატოვა. იმავე სასამართლოს პრეზიდიუმმა არ გაიზიარა პროკურორის პროტესტი და დაუქმაყოფილებელი დატოვა იგი. პროტესტში დასმული იყო საკითხი განაჩენის ცვლილებების შესახებ, საქმის ფაქტიური გარემოებებისა და სასამართლოს დასკვნების შეუსაბამობისა და აგრეთვე სოკოლოვის მოქმედების არასწორი კვალიფიკაციის გამო.

ამავე საფუძვლით რსფსრ პროკურორის მოაღილის მიერ შეტანილ იქნა პროტესტი რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სესამართლო კოლეგიაში. პროტესტში მითითებული იყო, რომ კამათი სოკოლოვსა და აბდულოვს შორის მოხდა პირადულ ნიადაგზე — საერთო სამზარეულოს გამოყენების თაობაზე, მეზობელების დაუსწრებლად და ამდენად არ იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან. ამასთან დაკავშირებით პროტესტი მოითხოვდა მსჯავრებულის მოქმედების გადაკვალიფიცირებას რსფსრ სსკ-ის 112-ე მუხ. II ნაწილზე.

სასამართლო კოლეგიამ პროტესტი დაკმაყოფილა შემდეგი საფუძვლებით: მტკაცებულებათა ანალიზმა დამტკიცა, რომ სოკოლოვსა და აბდულოვს შორის კომუნალურ ბინაში კამათი, ხოლო შემდეგ ჩეუბი მოხდა საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან ჩეუბის თვითმხილველი მოწმე არ ყოფილა. ასეთი მონაცემების არსებობა არ ძლევდა სასამართლოს საკმარის საფუძველს ჩაეთვალა, რომ სოკოლოვის მოქმედება დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან.

რსფსრ სისხლის სამართლის კოლეგიამ შეცვალა განაჩენი და გადაკვალიფიცირი დამნაშავის მოქმედება სსკ-ის 112-ე მუხლის II ნაწილზე<sup>10</sup>.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 24 და რსფსრ-ს სსკ-ის კომენტარები 1985 წ., გვ. 421 პ. 7.

<sup>10</sup> რსფსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1986 წ., № 11.

5. ხულიგნური მოქმედებები, დაკავშირებული პიროვნების ხელყოფასთან, რომლის პროცესშიც დაზარალებულის მხრიდან ხდება შეურაცხვოფა, ცემა, ანდა სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძმე დაზიანება, მთლიანად შემოიფარგლება ხულიგნობის შემადგენლობით და დამატებით კვალიფიკაციის მუხლებით, რომლებაც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთათვის, არ მოითხოვს<sup>11</sup>.

თუკი სხეულის მძმე დაზიანების მიყენება ხდება ხულიგნური ქვენაგრძნობით და ადგილი აქვს ამ ორი დანაშაულის რეალურ ერთობლიობას, ამდაგვარ შემთხვევაში მოქმედებანი ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 228-ე მუხლისა და 110-ე მუხლით კვალიფიკაციას.

ხულიგნობაზე უფრო მძმე დანაშაულებები (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის განზრას მძმე დაზიანება და სხვ.) ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის შესაბამისი მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ასეთი მძმე დანაშაულის ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენისათვის (მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 104 II პუნქტით განზრახი მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით).

იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არსებობს რეალური ერთობლიობა, ასეთი დანაშაულებები უნდა დაკვალიფიცირდეს ხულიგნობასთან ერთობლიობით.

ხოლო დანაშაულთა რეალური ერთობლიობის ნიშნების უქონლობისას დამნაშავის მოქმედება, რომელიც გამოიხატა ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრას მკვლელობის ჩადენაში, დამატებით კვალიფიკაციას იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხულიგნობისათვის, არ მოითხოვს.

ისევ მოვიშველიოთ სასამართლო პრაქტიკის მაგალითი: (საქართველოს სსრ უშავლესი სასამართლოს პლენუმის 1986 წ. 17 აპრილის დადგენილებიდან ამონაკრები).

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაშ მსჯავრი დასდო ი. ლომსაძეს სსკ 228-ე მუხლი შე-2 ნაწილითა და 104-ე მუხლის II ნაწილით, იგი დამნაშავედ აღიარეს ბოროტი ხულიგნობისა და ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრას მკვლელობის ჩადენაში.

ერთ დღეს ი. ლომსაძე მეგობრებთან ერთად, რომელთა შორისაც იყო ლ. ტაკიძე, წავიდა ნაცნობ გოგონა ზარიძესთან დაბადების დღის მისალოცად, ოჯახში მშობლების გარდა იყვნენ იუბილარის მეგობარი გოგონებიც — მ. დ. და ი. ქეიფის პროცესში ი. ლომსაძესა და ლ. ტაკიძეს შორის წვინკლავების ნიადაგზე მოხდა ჩეუბი, მაგრამ დამსტრენებმა ისინი შეარიგეს. მოგვიანებით, როდესაც მსჯავრდებულმა ერთ-ერთი სტუმარი ი. მარიამიძე სახლამდე გააცილა, დაინახა მის სახლთან მდგარი ლ. ტაკიძე და მისი მეგობრები, მივიდა მათთან და ხულიგნური ქვენაგრძნობით დაარტყა ხელი მხარზე, რის გამოც ის წაბორძივდა და ხელით შეეხო ასფალტს, წელში გამართვის შემდეგ ახლა მან დაარტყა ლომსაძეს. ეს ჩეუბი დასრულდა ი. ლომსაძის მიერ ლ. ტაკიძის მკვლელობით, მსჯავრდებულმა მას მიაყენა სასიკვდილო დარტყმა მუცლის არეში დანით.

<sup>11</sup> სსფსრ სსკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 421, პ. 19.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის და-დგენილებით დაუკმაყოფილებელი დატოვეს სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს თამაშობარის მოადგილის პროტესტი, რომელშიც დასმული იყო საკითხი განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლი გამოძიებისათვის გადაცემის შე-სახებ.

სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარებ შეიტანა პროტესტი სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში, რომელშიც დააყენა საკითხი ი. ლომსაძის ბრალდებიდან 228-ე მუხ. II ნაწილის ამონებაზე.

პლენუმმა დაკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძლებით: სცნ რა 6. ლომსაძე დამარაშვილ ლ. ტაჭიძის ხელიგნური ქვენაგრძნობით განზრახ შევლელობის ჩადენაში, სასამართლომ სწორად დაკვალიფიცირა მისი მოქმედება საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის II ნაწილით, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის დამატებითი კვალიფიკაცია კი საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის II ნაწილით წარმოადგენს ორაშორის, რაღაც არ არსებობს ორი დანშაულის რეალური ერთობლიობის ნიშნები და ჩადენილ ქმედობას სრულად მოიცავს სსკ-ის 104-ე მუხ. II ნაწილის რისპონძირა.

პლენუმმა I ინსტანციის განაჩენი და პრეზიდიუმის დადგენილება შეცვალა, ამორიცხა განაჩენიდან და დადგენილებიდან 228-ე მუხ. II ნაწ. როგორც ზედმეტად წარდგენილი<sup>12</sup>.

## (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

12 რსული უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1986 წ., № 11.

## გიორგი ნადარევიშვილი

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის ფიგურის 49-ე მუხლის ერთი ადგილის გაგების საპირობოს

პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი შედგენილი უნდა იყოს XIII საუკუნის ბოლოს ან მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში. ეს თარიღი მისალები ჩანს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხანებში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაცემა უკვე დაწყებულია, რამაც თავისი ასახვა პჰოვა სამართლის წიგნშიც და ეს გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ იგრძნობა კულტურის ერთგვარი დაცემა, საჯარო-სახელმწიფო ბრივი ხელისუფლების დაკნინება, არამედ თვით სამართალგანვითარების დონის და იურიდიული ტექნიკის გარდაქმნის უარესისაკენ.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 49-ე მუხლი, სადაც ვკითხულობთ: „ექნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირჩავს, — იგი წესია, სამართალი არა.

საუხუცესოცა ამად წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი „დაბადებასა“ შეიგან დასწერს.

წესი რამე დადებული ძნელად მომზლების, შუანი არა ემართლებიან.

თუ არაოდეს ქმნილა მათსა გვარსა შეიგან, თუ ურჩევნისთ იბრძოდენ; თუ უმცროსი კარგად არ შეების, ანუ სიკეთითა მიღმა შეეხვეშების, გმეყავ, დამესენ, — აღარც ვითარ უწესო დაგვინახავს მისთანაო“... (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 443).

ზემოთ მოტანილ მუხლში „ალაგის წესი“, ჩვენი აზრით, ნიშნავს მოცემულ მცირე აღმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში გავრცელებულ წეს-ჩვეულებას, ხოლო „გვარის წესი“ — რომელიმე გვარის, როგორც ნათესაური კავშირისათვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებას, დახლოებით იმას, რასაც ძველ რომში „გვნტილიციუმ იუსს“ უწოდებენ. მაგრამ ჩვენ ახლა სულ სხვა რამ გვაინტერესებს. როგორც ვხედავთ, მოტანილი მუხლის თანახმად აღგილობრივი საგვარულო თუ სათემო ჩვეულების მიხედვით დასაშვებად ითვლებოდა ოჯახში მცხოვრები უმცროსი ცოლიანი ვაჟიშვილის გარეთ „გაყვანა“, მას აღგილ-მამულს მიუჩენდნენ და როგორც ჩანს, ცალკე დასახლებდნენ. ეს „წესი“ იყო, მაგრამ „სამართალი“ არა. ე. ი. მას კანონმდებელი კი არ აღენება და, არამედ მხოლოდ დასაშვებად თვლიდა (თუკი ასეთი წეს-ჩვეულება საღმე არსებობდა). შუანთ — „შუანთ“ უფლება არა პქონდათ უმცროსი ვაჟიშვილის წილი საოჯახო ქონებაში შეემცირებინათ.

იმ შემთხვევაში თუ საგვარულო წესის არსებობა საცილობელი შეიქნებოდა, მაშინ კანონმდებელი ძმებს შორის დავის გადაწყვეტის მიზნით „ბრძოლას“, „შებმას“ უშევებდა. თუ უმცროსი მას „კარგად არ შეებმოდა“ ე. ი. თავს აარიდებდა „შებმას“ მაშინ მას (უმცროს ძმას) საქმე მორიგებით, „შეხვეწნით“ ან „სიკეთით“ უნდა მოეწესრიგებინა.

ბეჭასა და ოლბულას სამართლის წიგნის ქართულიდან რუსულად მთარ-გმნელები — პროფ. ვარლამ დონდუა და პროფ. ისიდორე დოლიძე „ბრძო-ლას“ („ბრძოდეს“) თარგმნიან „ედინობორსტვოდ“.

საკითხევია ბრძოლასა და შებმაში იგულისხმებოდა „სასამართლო ორთა-ბრძოლა“, დუელი თუ უბრალოდ ჭიდილის სხვა რამ სახეობა?

ილია აბულაძის „ცელი ქართული ენის ლექსიკონში“ „შებმის-ყოფის“ მრავალი მნიშვნელობაა აღნიშნული — „გარე-მოხუევა“, „პყრობა“, ხელის მოყიდება, შეჭიდება და ა. შ. და ბოლოს სხვათა შორის მოტანილია ადგილი პავლე მოციქულის ეპისტოლედან ფილიპელთა მიმართ (4, 6) „შებმა-უყო თმათა მისთა“.

ვფიქრობთ, რომ ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 49-ე მუხ-ლი ძმებს შორის ბრძოლა-შებმაში ხმალში გასვლას, მათ შორის სასიკვდილო ბრძოლას არ გულისხმობს. რა ოქმა უნდა, საქართველოში ცნობილი იყო სა-სამართლო დუელი, ხმალში გასვლა და ა. შ., მაგრამ ეს უკიდურეს შემთხვე-ვაში ხდებოდა, როდესაც მტკიცების სხვა ხერხები და საშუალებები ამოწუ-რული იყო. ბეჭას სამართლის 49-ე მუხლში კი ასეთ ვითარებასთან არა გვაქვს საქმე.

პიპოთეზის სახით გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ზემოხსენებულ მუხლში იგულისხმება ბრძოლა-შებმის რაღაც სხვა სახეობა და არა სასიკვდი-ლოდ შებმა.

ცველ რუსეთში ცნობილი იყო დავის გადაწყვეტის ასეთი სახეობა: მოწი-ნააღმდეგები ხაზზე დადგებოდნენ და ერთმანეთს თმებში ჩავლებდნენ ხელს. ვინც მოწინააღმდეგეს თავის მხარეზე გადმოქაჩივდა და დაძლევდა, ის ითვლებოდა გამარჯვებულად. აქედან ჩანს გაჩენილი ძველი რუსული ანდაზა „პოდავაისია პო რუკამ, ტკ ბუდეტ ლეგჩე ვოლოსამ“<sup>1</sup>. ანდაზის იდეა იყო ის, რომ ასეთი მტკიცებულება დრომოჭმულია, მიუღებელია (ვ. დალი).

ძველ ქართულ ენაში იხსენიება „საზიდი“, უფრო სწორად „საჩელი და საზიდი“...

„საზიდი“ ხომ არ მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ საქართველოში ოდეს-საც არსებოდა რაღაც სარჩელთან ან დავასთან დაკავშირებული ჭიდილი, რო-მელიც რაღაც ფიზიკური ძალის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სასიკვდილო მაინც არ იყო?

<sup>1</sup> ი. ბ. დალი, Толковый словарь живого великорусского языка. Том III, М. 1955 № 159. ვ. დალი ამ ანდაზის ასეთ განმარტებას აქცივდა. Так теребят за чуб, встарь перетягивались за волоса“.

## ქრონიკა და ინფორმაცია

საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში  
„დემოკრატია და არჩევნები“

1992 წლის 13 ოქტომბერს თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ჩაატარა საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე „დემოკრატია და არჩევნები“, რომელიც მიეძღვნა გასული წლის 11 ოქტომბერს საქართველოში გამართულ არჩევნებს. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სწავლულმა იურისტებმა, ფილოსოფოსებმა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა წარმომადგენლებმა. სიმპოზიუმზე წარმოადგინეს თავიანთი მოხსენებები უგრეთვე უცხოელმა მეცნიერებმა, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ როგორც საერთაშორისო ექსპერტები. ისინი მეთვალყურეობას უწევდნენ 11 ოქტომბერს საქართველოში გამართულ არჩევნებს.

სიმპოზიუმის მსგავსობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა და ორგაზმი ესწრებოდა რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოწვევული სტუმრები. აღნათ სრულიად ზედმეტია იმ პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე საუბარი, რომელიც სიმპოზიუმის სამუშაო თემას წარმოადგინდა. აღნიშნული თემის მნიშვნელობამ განაპირობა ერთგვარად თვით სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამის შინაარსობრივი სიმდიდრე, განსახულად გამოტანილ საკითხთა ფართო სპექტრი, წარმოდგენილ მოხსენებათა მრავალმხრივობა სიმპოზიუმის მოწყობაში, რომელიც ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტმა, როგორც ორგანიზაციული თვალსაზრისით, ისე წარმოდგენილი მოხსენებების სახით.

სიმპოზიუმი გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ. მან წაიკითხა ბატონ ელუარდ შევარდნაძის მისასალმებელი წერილი სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი. მასში ნათევამი იყო: საერთაშორისო სიმპოზიუმი „დემოკრატია და არჩევნები“ მუშაობას შეუდგა იმ დროს როცა ჭერ კიდევ დაზუსტებული არ არის საქართველოს პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები, მაგრამ უკვე ცნობილია ერთი უმთავრესი შედეგი, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის — არჩევნები შედგა, ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ გამოაცილინა საკუთარი ნება; არჩევნები ჩატარდა კანონის სრულ შესაბამისობით, საერთო ეროვნული, მოქალაქეობრივი თანხმობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. 11 ოქტომბრის არჩევნებმა, არჩეულმა უზენაესმა ხელისუფლებამ სათავე უნდა დაუდოს საქართველოში დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალ ერას, ეროვნული აღორძინების ერას.

მისასალმებელ წერილში გამოთქმული იყო დიდი მაღლიერება რესპუბ-  
ლიკის მთელი მოსახლეობისადმი, რომელმაც ერისა და ქვეყნისათვის უმძი-  
მესი განსაცდელის უამს, ეკონომიკური სიდუხჭირის, სოციალური, პოლიტი-  
კური სირთულეების მიუხედავად, ერთსულოვნად, მაღალი მოქალაქეობრივი  
შეგნებით გააკეთა ერთობ საბასუხისმგებლო არჩევანი. ამ პოლიტიკურ აქტში  
კადევ ერთხელ გაცხადდა ქართველი ხალხის, საქართველოში მცხოვრები ყვე-  
ლა კეთილი ნების ადამიანის მისწრაფება სამოქალაქო თანხმობის, მშვიდობის,  
დემოკრატიის იდეალებისაკენ.

მისალმების ავტორი მაღლობას უცხადებდა უცხოელ სტუმრებს, რომ-  
ლებმაც იკისრეს არჩევნების მიუკერძოებელი მეთვალყურის საპასუხისმგებ-  
ლო როლი, პირუთვნელი აზრი გამოთქვეს და მონაწილეობა მიიღეს საქარ-  
თველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში. დაბო-  
ლოს გამოთქმული იყო რწმენა, რომ სიმპოზიუმის რეკომენდაციები სასიკე-  
თოდ წაადგება დემოკრატიული აღმშენებლობის საქმეს საქართველოში.

სიმპოზიუმზე ძარისადი მოხსენება „დემოკრატიულ საარჩევნო სისტემა-  
თა შეფასებისა და არჩევანის პროცედურები (საქართველოს პარლამენტის 1992  
წლის 11 ოქტომბრის არჩევნების მაგალითზე)“ — გააკეთა საქართველოს  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მერაბ ალექ-  
სიძემ. მოხსენება შედგებოდა შესაგალისა და ოთხი ნაწილისაგან. შესაგალში  
აღნიშნული იყო: მიუხედავად იმისა რომ ჩვენს საუკუნეში მმართველობის  
პარლამენტურმა ფორმამ ფართო გავრცელება პირვე მისი საარჩევნო საფუ-  
ძლები შედარებით სუსტადა გამოკვლეული. აქედან გმირმდინარე საარჩევ-  
ნო რეფორმის საკითხი მოითხოვს ახალ ფუნდამენტურ შესწავლას. პირველ  
ნაწილში გაანალიზებული იყო ის ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოთხოვნა,  
რომელიც დემოკრატიულ საარჩევნო სისტემებს წაეყენება.

მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო საარჩევნო სისტემას ერთადერთი  
გადასაცემი ხმის უფლებით. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა აღნიშ-  
ნული საარჩევნო სისტემის ისეთ მომენტებსა და ისეთ ნაკლოვან მხარეებზე,  
რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ამომრჩევლის თავისუფალი ნების იგნორირება  
ან დამახიჯება.

მოხსენების მესამე ნაწილში წარმოდგენილი იქნა საქართველოში 1922  
წლის 11 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების მიმდინარეობისა და მისი  
შედეგების საფუძვლიანი ანალიზი. ბოლოს მომხსენებელმა მიმოიხილა თანა-  
მედროვე დემოკრატიული საარჩევნო სისტემები. ყურადღებას იქცევს მო-  
მხსენებლის მიერ მოხმობილი აზრი იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც  
გარანტირებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, არჩევნების ჩატარება  
საყოველთაო აჭანების თანაბარმნიშვნელოვანი ხდება, ხოლო პარლამენტი  
გადაიქცევა საზოგადოების გარდაქმნის იარაღიდ.

სიმპოზიუმზე დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი საქართველოს მეცნიე-  
რებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტო-  
რის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამაზ შავგულიძის  
მოხსენება თემაზე „ნებისყოფის თავისუფლება და თავისუფალი არჩევანი“.  
მომხსენებელმა დასვა უმთავრესი კითხვა — რას ნიშნავს თავისუფალი არჩე-  
ვანი? მან თავისუფალი არჩევანის საკითხი განიხილა ნებისყოფის თავისუფ-  
ლების პრობლემასთან და საერთოდ ადამიანის თავისუფლების არსთან მი-

მართებაში. გარკვეული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბა შემდეგი დასკვნები:

- 1) თავისუფლება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სრული დამოუკიდებლობა ბუნებისა და საზოგადოებისაგან, სახელმწიფოსა და სამართლისაგან;
- 2) ბუნებისა და საზოგადოების კანონებისაგან დამოკიდებულება აღამიანს არ ართმევს თავისუფლებას, ვინაიდან არ არის ამ კანონების მონა, იგი შეგნებული არსება და შეუძლია შეიცნოს და გამოიყენოს ეს კანონები;
- 3) თავისუფლება გამოიხატება სწორედ ამ კანონების შეცნობაში, რაც ადამიანს აძლევს მათი გამოყენების საშუალებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მომხსენებლის აზრით, არჩევანი თავისუფალია მაშინ, როცა ოვით ადამიანი არის თავისუფალი ანუ როდესაც არჩევანი კეთდება საქმის ცოდნით, რწმენით, შეგნებით, ე. ი. როცა იგი ობიექტურად სწორია. მისივე დასკვნით არჩევნებში საბედისწერო შეცდომის დაშვება გამორიცხულია მაშინ, როდესაც ნებისკოფის თავისუფლების საფუძველზე მოქმედებს ამომრჩეველთა 50—51%, ეს კი მიიღწევა ორი გზით: 1. საზოგადოების პოლიტკური და სამართლებრივი შეგნების ამაღლებით, და 2. საარჩევნო კანონის გამარტივებით, მისი მისადაგებით ამომრჩეველთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეგნების დონისათვის.

სიმპოზიუმის მსვლელობისას ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელი ექსპერტების სლაიდების, ტომას ბერტრანდის, მაიკლ მედოუკროვტისა და ტომას ფიშერის მოხსენებებმა, რომლებიც თავიანთ გამოსვლაში შეეხება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს როგორიცაა: ვადაზე აღრე ჩატარებული არჩევნები და დემოკრატიზაცია საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში (ს. დარელი), არჩევნების თავისებურებანი საქართველოში (ტ. ბერტლანდი), საარჩევნო სისტემების პოლიტიკური შედეგები (ზ. მედოუკროფტი), საარჩევნო უფლების დაცვა (ტ. ფიშერი); მითითებული პრობლემების თაობაზე წარმოადგინეს თავიანთი დასკვნები და დასაბუთებული მოსაზრებები. მათ ყურადღება გაამახვილეს საქართველოში 1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარებული დემოკრატიული არჩევნებისა და მისი შედეგების უდიდეს მნიშვნელობაზე ქვეყნის შინაგანი სტაბილიზაციის მიღწევის საქმეში. ამასთანავე ზოგიერთ იმ ხარვეზსა და ნაკლოვანებაზეც ისაუბრეს, რომელიც თან ახლდა არჩევნების მსვლელობას, რაც გასათვალისწინებელია სამომავლოდ.

დემოკრატიის შემდგომი განვითარების თანამედროვე პრობლემებს მიეძლვნა ქართველი სწავლული იურისტების გამოსვლები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: უშუალო დემოკრატიის ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში (იყობ ფუტკარაძე), თვითგამორკვევის და არჩევანის უფლება (დიმიტრი ბარათაშვილი), დემოკრატია და ახალი სოციალიზმი (ზორის ყურაშვილი), ფინანსობრივ მეცნიერებათა კანდიდატის დიმიტრი კინაძის გამოსვლა თემაზე: „დემოკრატიული არჩევნების არსი და კრიტერიუმები“. სიმპოზიუმზე მოსმენილი იქნა აგრეთვე მთელი რიგი სხვა საინტერესო საკითხები, კერძოდ, „ხელისუფლების ლეგიტიმურობა“ (ვაჟა კეშელავა), „დემოკრატიის თანამედროვე გაგება“ (ვახტანგ ერქომაიშვილი), „დემოკრატია და ლინებალიზმი“ (გია ნოდია) და სხვ.

ძნელია გადაჭარებით შეაფასო სიმპოზიუმის მნიშვნელობა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მართებული გააზრებისა და დემოკრატიული სტრუქტურების შემდგომი განვითარებისათვის.

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ პროფესორმა თამაზ შავგულიძემ გაზეთ „ვეწერნი ტბილისი“-ს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც გამოიიქვა არჩევნების შემდეგ, აგრეთვე სიმპოზიუმის მუშაობისას უცხოელი ექსპერტებისა და ჩვენი მეცნიერების მიერ. მეცნიერული აზრი არ უნდა ჩამორჩეს საზოგადოების განვითარებასა და მიმღინარე მოვლენებს. დაყენებულია საკითხი იმის თაობაზე, რომ უახლოეს ხანს მოწვეული იქნას საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა, პოლიტოლოგთა და იურისტთა კონფერენცია, სადაც სათანადო შეფასება მიეცემა აფხაზეთის მოვლენებს. ასევე აუცილებელია კომპეტენტური მეცნიერული ძალების მაქსიმალურად ჩართვა მიმღინარე საკანონმდებლო რეფორმისა და საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი კვლავინდებურად ეცდება. არსებითი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკისათვის ყველა ამ მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაწყვეტაში.

#### დავით სულაქველიძე

## † მიხეილ კაპელიას ნათელ ხსოვნას

**1993** წლის მარტი ავი გამოდგა ქართული იურიდიული მეცნიერებისათვის. სამი პროფესორი დაქარგა ჩვენმა გაწამებულმა ქვეყანაში. მარტის ბოლოს დავკარგეთ შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ მიხეილის ძე კეკელია.

ის ეკუთხნდა იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერის უდიდესი სამაგრე სამშობლოს სიყვარულია, რომ ადამიანი პირველ-ყოვლისა თავისი ქვეყნის გულმხრივალე პატრიოტი უნდა იყოს.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს იყო ორმოცი წლის წინათ — 1953 წლის მარტი. ხალხი მიწოდები ღმერთის — სტალინის გარდაცვალებას გლო-ვობდა... მე ის-ის იყო პროფესორ ივანე სურგულაძის კათედრაზე დავიწყე მუშაობა, რომ ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შორიდან ვიც ნობდი, როგორც პროფესიონალის თანამშრომელს... პირდაპირ საქმეზე დამი-წყო საუბარი. მე გამაკვირვა მისმა სურვილმა. მას უნდოდა საკანდიდატო დი-სერტაციის დაწერა ქართული სამართლის ისტორიის განხრით. მე, მართალი გითხრათ, მას ვურჩიყ: უმჯობესია, რომ თქვენ სადისერტაციო თემად აირ-ჩიოთ საბჭოთა სისხლის სამართლის რომელიმე ნაკლებად დამუშავებული სა-კოთხი. ასე აჭობებს, შედარებით ნაკლები შრომის დახარჯვა მოგზავთ, ვინაი-დან თქვენ თქვენი პრაქტიკული მუშაობით მასთან უფრო ახლო დაგახართ-მეთქი.

თურმე ჩემამდე მას იგივე კითხვა დაუსვამს პროფ. ივანე სურგულაძი-სათვის და დაახლოებით ანალოგიური პასუხი მიეღო.

საქმე ისიც იყო, რომ თვით ქართული სამართლის ისტორია, როგორც კვლევის განსაკუთრებული დარგი, ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში იყო. „ისტორიზმით“ გატაცება ცოდვად ითვლებოდა. ძეველ ისტორიაზე წერა „ის-ტორიის საბჭოთა პერიოდის“ უგულვებელყოფად მიაჩნდათ.

მოუხდავად ამისა, მაშინ 25—26 წლის ნიჭიერება და ლამაზმა ყმაშვილმა, ვინ ციის, პრაქტიკული ბრწყინვალე კარიერის საზიანოდ, გადაწყვიტა მოელი დავისი სიცოცხლე ქართული სამართლის ისტორიის პრობლემების კვლევი-სათვის შეეწირა.

მახსოვს, რომ ბატონმა მიხეილმა დაახლოებით ასეთი რამ მითხრა:

— მე დავიბარე ქართველი პატრიოტის ოჯახში. დავიმთავრე ქართული საშუალო სკოლა, ქართულად მივიღე უმაღლესი განათლება. ვარ ქართველი სულით, ხორცით და მსურს ვემსახურო ქართულ ეროვნულ მეცნიერებას. ჩემთვის თვითმიზანი არ არის საკანდიდატო დისერტაცია. მე არ მსურს იოლი გზით სიარული და არ დავწერ ისეთ დისერტაციას, რომლის ავტორობისა უნ-და შემრცხეს გარკვეული წლების შემდეგ... მე ვიცნობ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს, ვიცნობ ქართული სამართლის ძეგლებს, — მე უთუოდ დავწერ კარგ დისერტაციას....

შე მომხიბლა მისმა ამოუწურავმა სიყვარულმა ქართველი ხალხისა და ქართული სამართლის ისტორიისადმი. და გავიფიქრე: ჩემს წინაშეა ჭაბუკი, რაინდი, რომლისათვისაც პატივი და ღირსება უფრო მაღალი ფასეულობაა, ვიდრე მატერიალური ინტერესები...

თუ მოვახდენთ ცნობილი სიტყვების პერეფრაზირებას, ჩემს წინაშე იდგა გაცოცხლებული ანტიური ქანდაკება, სამშობლოს სიყვარულით ამეტყველებული...

აქედან მოყოლებული ორმოცი წლის მეგობრობა მაკავშირებდა მასთან. ბატონმა მიხეილმა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად შესძლო, რა თქმა უნდა, გადამეტებული შრომის ხარჯზე, საკანდიდატო დისერტაციის წარმოდგენა. გახდა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელიც, დაიცვა სადოქტორო დისერტაციაც... ფეხით შემოიარა მთელი სკართველო... სვანეთიდან ხევსურეთმდე, აგროვებდა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს... იყო ენოუზიასტი ალეზარდა ახალგაზრდები ქართული იურიდიული სიძველეების მაღალ დონეზე შესწავლის სულისკვეთებით და ეს შესძლო კიდევ. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა რამდენიმე წიგნი ქართული ჩვეულებითი სჯულის მასალებისა, შემუშავდა პროგრამა უფრო დიდი მუშაობის გასაშლელად...

მრავალფეროვანი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფეროც, მაგრამ ყველაზე მეტი წვლილი მას მიუძღვის ქართული სასამართლო პროცესის შესწავლის საქმეში. მისი ორტომიანი ნაშრომი შევიდა ქართული სამართლის ძალის საგანძურში.

მისი მრავალი ნაშრომი სამუდამოდ შერჩება ქართული სამართლის ისტორიის პროგრამებს, როგორც სტუდენტთა და მკვლევართათვის საჭირო სამეცნიერო თხზულებები...

ჩვეულებრივი ბედის მიცვალებულზე ამბობენ, რომ ის იცოცხლებს, მანამ მისი ხსოვნა იქნება მის ნაცნობ-მეგობრებში...

ბატონი მიხეილი, თავისი შრომების მეშვეობით დიდხანს იცოცხლებს... მას ზეგარემო მომადლებული ჰქონდა ბუნებისა და ადამიანების სიყვარული და არ დაიმალება რაც ბუნებისაგანაა მომაღლებული.

ჩენ ორივეს გვიყვარდა ჭორჭ სტერლინგის სიტყვები:

„ნუ შეყოვნდები საკუთარი გვამის საზოგადოებაში; გააკეთე საქმე? მაშასაღამე სიცოცხლე დასრულებულია გამოემშვიდობე და წადი...“ მაგრამ გაი, რომ შენ ჭირ კიდევ ბევრის გაკეთებაც შეგეძლო და, გასაკეთებელიც ბევრი გქონდა...

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პითაგორა ამბობდა:

„ადამიანებს ღმერთებისაგან ებობათ ორი უმნიშვნელოვანები ძღვენი: სიმართლის თქმისა და სიკეთის ქმნის ნიჭი — რა თქმა უნდა, ეს რჩეულთა სფეროია. შენ, ჩემო მიხეილ, ორივე ეს ნიჭი გაგაჩნდა და იყავი რჩეული, ბედის ნებიერი, მაგრამ... 1993 წლის მარტში შენ უღალატო კაცს, ბედმა მაინც გილალატა...“

ამიერიდან შენი წიგნები დაამშვენებენ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პროგრამებს... და შენი წილი მზე, არა მარტო შენს საფლავს, არამედ შენს კეთილ ნამოქმედარსაც გაათბობს...

## † მიხეილ ეურდაძე

**ბოროტოქმედის ტყვიამ იმსხვერპლა ცნობილი იურისტი, ქ. თბილისის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოკტორი მიხეილ ქურდაძე.**

1 აპრილს მას 56 წელი შეუსრულდებოდა.

მიხეილ ქურდაძემ 1966 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად. შემდეგ დააწინაურეს ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების პროკურორად, იმავე განყოფილების უფროსად, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების უფროსად. ამის შემდეგ ნიშავენ ქ. რუსთავის პროკურორად. 1987 წელს გადმოჰყავთ ქ. თბილისის პროკურორის პირველ მოადგილედ, ხოლო 1989 წლიდან მუშაობს დედაქალაქის პროკურორის თანამდებობაზე.

მიხეილ ქურდაძე იყო ჭეშმარიტი მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, ობიექტური, პრინციპული და მომთხოვნი მუშაკი, რომელიც სამი ათეული წლის მანძილზე ცოდნას, ენერგიასა და გამოცდილებას აზ იშურებდა რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, იურისტთა ღირსეული კადრების აღზრდისათვის.

მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით გაიხსნა არაერთი უმძიმესი დანაშაული, მხილებულია მრავალი ბოროტომოქმედი.

პრაქტიკულ საქმიანობას მიხეილ ქურდაძე წლების მანძილზე წარმატებით უთავსებდა თეორიულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწავლული იურისტი 1974 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს — საღოქტორო დისერტაციებს. ამავე წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორია. არის მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი.

დაუგიშუარია მიხეილ ქურდაძე, როგორც მოქალაქე, რომელიც შემკული იყო ადამიანური ღირსებებით და კეთილშობილებით.

მიხეილ ქურდაძე მართლაც დააკლდა ქალაქს, რომელიც მას თავდავიშებით უყვარდა და იღვწოდა მისი კეთილდღეობისათვის, დააკლდა ოჯახს, საზოგადოებას, მეგობრებს. და ეს მოხდა ყველაზე დიდი შეჭირვების უამს, როცა იგი განსაკუთრებით სჭირდებოდა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ჩვენს ქვეყანას, მას დედაქალაქს. ეს ავბედითი ამბავი მოხდა მაშინ, როცა ბატონი მიხეილი იყო სრული მოწიფულობის ხანაში და კიდევ მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო.

მიხეილ ქურდაძის, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისა და მამულიშვილის, ნათელი პიროვნების ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების, აღზრდილებისა და იმ ადამიანთა გულში, რომლებსაც მასთან ჰქონდათ ურთიერთობა. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ვ. გოგუაძე, თ. კიტოვანი,  
ქ. იოსელიანი, თ. ნინიძე, თ. ხაჩიშვილი, ი. ბათიაშვილი,  
პ. კემულარია, მ. უგრეხელიძე, კ. გაბაშვილი, რ. მეტ-  
რეველი, ზ. რატიანი.

## † თამაზ შავგულიძე

**ქართველმა** საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. შოულოდნე-ლად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფე-სორი თამაზ შავგულიძე.

თამაზ შავგულიძე დაიბადა 1930 წელს ქ. თბილისში. თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს მეცნიერულ მუშა-ობას ცნობილი ქართველი მეცნიერის თ. წერეთლის ხელმძღვანელობით.

მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მოიცავდა სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის სამართლებრვ პრობლე-მებს. თ. შავგულიძეს ეკუთვნის მრავალი თვალსაჩინო მონოგრაფია, რომელიც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. მის მეცნიერულ ნაშრომებზე და მისი უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდა მეცნიერ-იურისტთა ახალი თაობა.

იგი წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას პედაგოგიურ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, ხოლო წლების მანძილზე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დიდია მისი წვლილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციაში, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. იგი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე და ხელმძღვანე-ლობდა სხვა დარგობრივი კოდექსების კომისიების მუშაობას. იყო საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მაცნეს“ სამართლის სერიის რედაქ-ტორი, უურნალ „სამართლის“ რედაქტორი შევრი, სხვადასხვა სამეცნიერო და სპეციალიზებული საბჭოების წევრი.

თამაზ შავგულიძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული სამართლებ-რივი კულტურის განვითარებაში. მისი არაერთი თვალსაზრისი საფუძვლად დაედო ერის ცხოვრებაში ისეთი ეპოქალური მოვლენის იურიდიულ შეფასებას, როგორიც იყო 1989 წლის 9 აპრილს ტრაგედია. თამაზ შავგულიძე სათავეში ედგა ამ ტრაგედიის შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება.

ე. შევარდნაძე, თ. სიგუა, ვ. გოგუაძე, რ. ბე-რიძე, ა. თავხელიძე, ლ. ალექსიძე, ა. ავაქიძე, გ. ინ-წკირველი, კ. კემულარია, დ. მელიქიშვილი, თ. ნინიძე, ზ. რატიანი, გ. სანაძე, გ. ტყეშელიაძე, მ. უგრეხელიძე, ს. ჭორბენაძე.

6 53/67

